


# გაზეთი

გამოცემა 1934 წლის 13 აპრილიდან

8 თებერვალი საფაზათი 2011  
№ 030 (13327) ფასი 60 თეთრი

## ქართვალუბი და სოფსუბი ქუნძულზე



მოსკოვი, ლუუნიკი, ბროლის თასი... ჩვენ იმ დროს გამოვცდით, ახლა, უბრალოდ, ერთმანეთს გამოვცდით

2

1976 წელი, 3 სექტემბერი. სსრკ თასის ფინალი. „დინამო“-„არარატი“ 3:0. დავით ყიფიანის გოლი



ეროვნული  
ბიზლიოთეკა


10

### ირაკლი შირაკიძე ბატამს დაუბრუნდა



### იაპონია შოქშია ბაშო ბაუქმდა

11




9

### მაკლარანი ბერმანიიდან ბააბდუს

## მერე რა, რომ ყაბარია...

### მსოფლიოს ჩემპიონატი ზაფხულში ბაიბართეზა

ზეპ ბლატერმა BBC-ს განუცხადა, რომ 2022 წლის მსოფლიოს ჩემპიონატი აუცილებლად ზაფხულში გაიმართება. ამრიგად, ფიფას პრეზიდენტმა გააბათილა თავისივე ნათქვამი, თითქოს ყატარის ცხელი კლიმატის გამო მუნდიალს ზამთარში გადაიტანდნენ. როგორც გაირკვა, ბლატერს საბოლოო გადაწყვეტილება ყატარელთა საგანგებო დელეგაციის წარმომადგენლებმა მიადებინეს. მათვე მსოფლიო ფეხბურთის ხელმძღვანელი დაარწმუნეს, რომ ეს პატარა ქვეყანა სამოცდაოთხივე შეხვედრის მასპინძლობას გაართმევს თავს და მეზობელი არაბული ქვეყნებისგან ქალაქების „თხოვება“ არ დასჭირდება.





ქართული ფეხბურთი

საქართველო-სომხეთის წინ

მოდი, გავიხსენოთ კვლევი, რვენ სომა პრემიერის მოგვინაობა

6 თებერვალს საქართველოს ფეხბურთის ფედერაციისა და ეროვნული ნაკრების ხელმძღვანელობა კვირის გაემგზავრა, სადაც 9 თებერვალს სომხეთის ეროვნულ გუნდთან ამხანაგური შეხვედრა გაიმართება.

ჩვენი ეროვნული ნაკრები უკვე ლიბანოსშია და სასტუმრო „პოსიდიონ ბიჩში“ დაბინავდა. იქვე განთავსდა სომხეთის ეროვნული ნაკრების დელეგაციაც.

ფეხბურთის ფედერაციის პრესამსახურის ცნობით, თემურ ქეცბაიას თავკაცობით ნაკრებმა შეკრება უკვე დაიწყო. დამლელი და ხანგრძლივი მგზავრობის შემდეგ ფეხბურთელები ქეცბაიამ 7 თებერვალს ლიბანოსის სტადიონზე მსუბუქად ავარჯიშა - სულ რაღაც 40 წუთი. თუმცა ამ დროისთვის არასრული შემადგენლობა იყო შეკრებილი და მხოლოდ რამდენიმე ივარჯიშა - ნუკრი რევიშვილი, გიორგი ლორია, ლევან კაკუბავა, ზურაბ ხიზანიშვილი, ლაშა სალუქვაძე, გოგიტა გოგუაძე, ჯაბა კანკავაძე და მათე ვანაძე.

7 თებერვლის საღამოს შეკრებაზე კიდევ შვიდი ფეხბურთელი გამოცხადდა: ალექსანდრე იაშვილი, ლევან კობიაშვილი, ჯანო ანანიძე, გიორგი მერევაშვილი, მურთაზ დაუშვილი, ალექო ამისულაშვილი და დავით კვიციანი.

სამწუხაროდ, სომხეთთან პაიფას „მაქაბის“ თავდასხმელ ლადო დვალიშვილის თამაში გამოირიცხა - ლადოს ისრაელის ჩემპიონატის ბოლო ტურის შეხვედრის მე-80 წუთზე კუნთი დაეჭიმა, თამაში ვეღარ გააგრძელა და უახლოესი ათი დღე დასვენება მოუწევს.

საეჭვო იყო ლვოვის „კარპატის“ თავდასხმელ სანდრო გურულის თამაშიც, რომელმაც საკონტროლო შეხვედრაში ასევე კუნთი დაიზიანა, თუმცა მისი ტრავმა სერიოზული არ აღმოჩნდა და 25 წლის შემტვი ნახევარმცველი ნაკრებს შეუერთდება.

თემურ ქეცბაია ნაკრებს ყოველდღე მხოლოდ ერთხელ, თბილისის დროით 18 საათზე ავარჯიშებს.

სრული შემადგენლობით კი გუნდი 8 თებერვალს შეიკრიბება.


ბოლო ამბები გუშინ საღამოს ფედერაციის პრესატაშე ლაშა დვალიშვილმა გვითხრა: „ახლა გუნდი ლიბანოსის სტადიონზე ვარჯიშობს, ქეცბაიას განკარგულებაში უკვე 18 ფეხბურთელია. ცოტა ხნის წინ გურამ კაშია და აკაკი ხუბუტია გამოცხადდნენ. ასე რომ, მხოლოდ კახა კალაძესა და სანდრო გურულს ველოდებით, ისინი გვიან შემოგვიერთდებიან. ყველაზე დასაინტერესებელი დვალიშვილის ტრავმაა, რის გამოც ის 9 თებერვალს ვერ ითამაშებს. არადა, წლეულს ძალიან კარგად დაიწყო და მშვენიერ ფორმაში იყო.“

დვალიშვილის თქმით, ნაკრების ყველა ვარჯიშს კვირისში მცხოვრები ასამდე ქართველი ესწრება: „იმედი გვაქვს, სომხეთთან მატჩზე ბევრად მეტი ჩვენებური მოვა. დასაფიქრებელი მხოლოდ ის არის, რომ მატჩი კვირისის დროით 3 საათზე იწყება, როდესაც აქ სამუშაო საათებია და, შესაძლოა, ამან სტადიონს მაყურებელი მოაკლავ.“

მატჩისთვის ემზადებიან სომხებიც. მათი ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა რუბენ აირაპეტიაძემ პრესკონფერენციაზე განაცხადა, რომ დენიკოს „შახტარის“ თავდასხმელ შენის მხითარიას კვირისში გამგზავრებასთან დაკავშირებით პრობლემები შეექმნა. უკრაინული კლუბი ესპანურ შეკრებაზე, სადაც კვირისის ყველა ავიარების ბილეთი გაყიდული აღმოჩნდა და მხითარიას მგზავრება გადაჯდომა-გადმოჯდომით შესთავაზეს, ასე კი კუნთულზე ჩასასვლელად მთელი დღე დასჭირდებოდა.

აირაპეტიაძემ აღიარა, ამის გათვალისწინებით მხითარიას ვუთხარი, შეკრებაზე შენი გამოცხადება ამდენ ნაკლებად არ გვიღიროს, მაგრამ თავდასხმელმა ნაკრებში თამაში თავად ისურვა.

სამაგისტრო, ლიბანოსში არ იქნება ამსტერდამის „აიაქსის“ 20 წლის შემტვი ნახევარმცველი არაზ ოზ-



თემურ ქეცბაია

ბილისი, რომელსაც ერთდროულად თურქეთისა და სომხეთის ეროვნულ ნაკრებებში იწვევენ.

სომხურმა ინტერნეტპორტალმა „არმფუტბოლმა“ მომავალ შეხვედრასთან დაკავშირებით ჩვენი ნაკრების ყოფილ თავდასხმელ ზაზა ჯანაშიას ჩამოართვა ინტერვიუ.

„საქართველოს ამჟამად ნორმალური ნაკრები ჰყავს, რომელიც მიმდინარე შესარჩევ ციკლში ერთხელაც არ დამარცხებულა. თუ ჩვენი ნაკრები ასევე გააგრძელებს, სადაც წარმატებას მოაღწევს... ახლა ჩვენი კოზირი ძლიერი დაცვაა. თავდასხმაში პრობლემებია, მაგრამ ორი ახალი ფეხბურთელი დაგვემატა და ვფიქრობ, ისინი შეტევას გააძლიერებენ.“

თუმცა თქვენთვის რამდენიმე შეხვედრა ვნახე და სომხეთიც სოლიდური გუნდია... თქვენი ნაკრებიდან არავის ვიცი. ვინ გაიმარჯვებს? - მეგობრობა. ჩვენ შორის ხომ, ტრადიციულად, კარგი ურთიერთობაა, მატჩიც მეგობრულ ატმოსფეროში ჩაივლის, - ამბობს ჯანაშია.

მატჩი 9 თებერვალს თბილისის დროით 17 საათზე დაიწყება - შეხვედრის პირდაპირ ტელევიზორტაქს „საზოგადოებრივი მაყუყევილი“ შემოგვთავაზებს.

ინტერვიუ



ზაზა ჯანაშია ბეგლარიშვილი

ვიუსი, რამო ზაქარია, ბანა ფლორა ზაქარია გაგლარიშვილია ისტონელია ვირაფერი ბაზო

თაველთა შეკრებაზე წავიდეთ - თუ გჭირდებათ, მათამაშებთ-მეთუ. მე არაფერს ვახვიადებ, ვარჯიშზეც კარგად ვარ, თამაშებსაც ნორმალურად ვატარებ და ვერ ვხვდები, რას მერჩიან. ამის მოუხედავად, შემადგენლობაში ხშირად მაინც არ მაყენებდნენ. ასე გაჩერებას კი აზრი არ აქვს.

- კი, მაგრამ, თანამგობრობის თასზე ხომ ნაგყვანეს?

- წამიყვანეს, მაგრამ მწვრთნელმა პირველი შეხვედრაში პეტერბურგის „ზენიტთან“ არ მათამაშა. ეს კიდევ გასაგები იქნებოდა, რომ არა მეორე ტაიმში განხორციელებული ცვლილება: ჩემს ადგილს მცველი დააყენა, მე კი არ მათამაშა. ამას ვაგებობდი და სწორედ მაშინ გადაწყვიტე მწვრთნელთან შესვლა და დალაპარაკება, - რა გინდა, რას მერჩი, თუ არ გჭირდება, წავალ-მეთუ.

თუმცა კლუბი არ დამიტოვებია, დავრჩი და მეორე და მესამე შეხვედრები თურქმენეთის ჩემპიონთან და ბელაიუსულ კლუბთან ძირითადად მათამაშეს, მაგრამ ჩემთვის ასეთი დამოკიდებულება მიუღებელი იყო. ამიტომაც წავიდე „ოლიმპის“ შეკრებაზე. საქართველოს ჩემპიონი გუნდადაც მომენონა და კარგი ატმოსფეროც დამხვდა.

- „ოლიმპს“ შენი დამატება ივარით სურს თუ კონტრაქტის გამოსყიდვასა მოლაპარაკება?

- რუსთაველებს ივარა უნდათ, მაგრამ ესტონელები ბევრს ითხოვენ.

- თუ საიდუმლო არ არის, რამდენს?

- 200 ათას ევროს.

- ამხელ თანხას ექსთონია ივარაში ითხოვენ?

- ივარაში არა, ტრანსფერის გამოსყიდვაში. ესტონელებს ჩემი არენდით გაშვება არც სურთ, ან მთლიანად გამოგისყიდონ, ან „ფლორაში“ უნდა იყო. თუმცა პირველ დალაპარაკებაზე შევნიშნე, რომ 200 ათასს კატეგორიულად არ ითხოვენ, შესაძლოა, აზრი შეიცვალონ და ივარით გამიშვან. უიმედოდ არ ვარ, არ გამოვრიცხავ, იფადა ან სულაც უფასოდ გამიშვან. მოკლედ, დასალაპარაკებელია.

- „ფლორასთან“ კონტრაქტი ხომ არ გიმთავრდება?

- კიდევ ერთი წელი ამათ საკუთრებაში ვიქნები.

ახლები ჩემი

პარტიის პარტიულად რიგი უღას

ლაშქრის ვირსლიგის (უმალესი ლიგა) კლუბ „დაუგავაში“ ხუთი ქართველი თამაშობს - მცველი გიორგი ჩინაძე, ნახევარმცველები დავით ფაილოძე, ჯემალ ჯალიაშვილი, გიორგი ნაქაძე და თავდასხმელი მამუკა ლონდაძე.

ზამთრის მოსამზადებელ ეტაპზე „დაუგავას“ ქართველმა მთავარმა მწვრთნელმა თამაზ პერტიამ კიდევ რამდენიმე ჩვენებური მიიწვია გასასინჯად: მეკარეები ნიკოლოზ ჯალიაშვილი და სოსო ხომერიკი, მარჯვენა ნახევარმცველები გიორგი ჯავახიშვილი და შალვა ფურცელაძე, საყრდენები ილია სორდია და თემურ აფრიაშიძე, აგრეთვე თავდასხმელი თომა ტაბატაძე. ფეხბურთელების მენეჯერი გიორგი ნიკურაძე ამტკიცებს, რომ „დაუგავასთან“ კონტრაქტის გაფორმების ყველაზე დიდი შანსი პირველივე „ნორჩი დინამოს“ თავდასხმელ ტაბატაძეს აქვს.


„ორი კვირაა, ლატვიურ კლუბში რამდენიმე საინტერესო ფეხბურთელი ჩამოვიყვანე. ამ ეტაპისთვის ყველაზე მეტად თომა ტაბატაძე მოეწონათ და, სავარაუდოდ, უახლოეს პერიოდში ორწლიან კონტრაქტს გააფორმებს. თომა 19 წლისაა, პირველი ლიგის „ნორჩ დინამოში“ ვალერი გაგუასთან თამაშობდა. მიმანჩია, რომ ნიჭიერი ბიჭია და დიდი მომავალიც აქვს. სხვების ამბავი ჯერ კიდევ გასარკვევია. შეკრება 15 თებერვალამდე გაგრძელდება და თამაზ პერტიას საბოლოო პასუხს ამის მერე იტყვის. ახლა ჩვენ ფინეთში ვართ, სადაც „დაუგავას“ საერთაშორისო ტურნირი მოეწყვეტა. პერტიამ ფეხბურთელები სწორედ ამ ტურნირზე გასინჯა, თუმცა ტესტირებას კვლავაც აგრძელებს“, - გვითხრა ნიკურაძემ.

სხვათა შორის, საინტერესო მეკარეა ნიკა ჯალიაშვილი, რომელიც „ზესტაფონი 2“-ში, „35-ე საფეხურით სკოლაში“, ბოლოს კი ხობის „კოლხეთში“ თამაშობდა. „35-ე სკოლის“ ყოფილი მწვრთნელის, კახა გოგიჩაიშვილის თქმით, მსგავსი ნიჭიერი მეკარე ბევრი არ გვუღებია, მაგრამ მის მიმართ სერიოზულად არც ერთი ძლიერი ქართული კლუბი არ დაინტერესებულა.

სანდრო სანდროვას სისლით ამკობებს

დენაროპატრონის „დინამოს“ ნახევარმცველი სანდრო კობახიძე კიევის „არსენალში“ რჩება და გუნდს მერე შეკრებაზეც გაჰყვება, რომელიც მეთექვსმეტე ისრაელში დაგეგმეს. გადწვეტილება კლუბის მთავარმა მწვრთნელმა იური ზოკოლოვმა პირველი შეკრების ანალიზის საფუძველზე გააკეთა. „არსენალის“ პირველი შეკრება კი ორიდღის წინ თურქულ ანთალიში სანდროსთვის სავალალოდ დასრულდა. „არსენალი“ საკონტროლო მატჩში სერბულ „ავოლინას“ დაუპირისპირდა. კიეველთა ოფიციალური ვებგვერდის ცნობით, ქართველი ფეხბურთელი აქტიურობდა და თავის ფლანგზე მონივრულად მუშაობდა. ერთ-ერთ ეპიზოდში მეტოქე უფლებს, ბუტი პირდაპირ ცხვირში ჩაარტყა, სისხლი ადინა და დაუზიანა. კობახიძემ კიევის ერთ-ერთ კლინიკაში სამედიცინო შემოწმება უკვე გაიარა. მედიკოსები მიიჩნევენ, რომ „არსენალის“ მეორე შეკრების დაწყებამდე სრულად მომჯობინდება და კვლავ კლუბთან ერთად მოემზადება.

გვირდი მოაგზავნა მერაბ მამულაშვილი



სანდრო კობახიძე

მთავარი რედაქტორი თინათინ ბარჩილაძე
მთავარი რედაქტორის მოადგილეები: ვია თვალაბიშვილი, ნიკოლოზ ნეფარიძე; ტექნიკური ჯგუფის ხელმძღვანელი მიხეილ ჯაში; ფოტო: ალექსანდრე კოტორაშვილი.
1934 წლიდან გაზეთის ხელმძღვანელობა სარედაქციო კოლეგია. „ლელოს“ მთავარი რედაქტორები: მიხეილ კაკაბაძე (1949-52, 1964-76), ერემო მახათაძე (1952-53), ირაკლი უგულავა (1953-64), ანზორ ბასილაია (1976-83), არჩილ გოგელია (1984-85), თინათინ ბარჩილაძე (1985-დან).
პალიტრა მედიის ცხელი ხაზი: 383-384. ელექტრონული ფოსტა lelo@palitra.ge
მისამართი: იოსებძისი, 49. ტელეფონები: 42 32 73, 899 55 48 97 (მთ. რედაქტორი); ფაქსი: +995 32 38 08 63; ელფოსტა: lelo@palitra.ge; ინდექსი: 66435 INDEX. რეკლამა: 37 78 07
რედაქციისთან შუამავსებად გაზეთის კომპლექსის სასაქონლო-სამომსახურეო სამსახურის ხელმძღვანელი აკრძალულია

ასაკობრივი ნაკრებები

ეპროპიისკან მიახვალა ორი თაობა

უხსლოსი ოფიციალური შეჯიბრება, რომელიც საქართველოს ასაკობრივ ნაკრებებს ელით, ევროპის 17-წლამდე...

რა სჭირდება ტრადიციის გაბრძნობას...

დავინყოთ 16-წლამდელებით, რომლებიც 17-წლამდელთა სკატუსს შემოდგომიდან შეიძენენ და ევროპის ჩემპიონატის...

სანამ მისიურადის გუნდის გეგმებზე გეტყვით, მოკლედ გადავავლოთ თვალი მისი ნაკრების შექმნის ისტორიას.

სამწვრთნელო შტაბი მუშაობას 2010 წლის დასაწყისში შეუდგა. პირველი შეკრება გუნდმა აზერბაიჯანში ჩაატარა...

აზერბაიჯანული შეკრების შემდეგ მომავალმა 17-წლამდელებმა საქართველოში კიდევ რამდენიმე შეკრება მოაწყვეს...

სამწვრთნელო შტაბი მუშაობას 2010 წლის დასაწყისში შეუდგა. პირველი შეკრება გუნდმა აზერბაიჯანში ჩაატარა...



ვასილ მაისურაძე გელა შეყილაძე

2011 წლის დადგომასთან ერთად სელექცია კიდევ უფრო ინტენსიური გახდა. ყოველ უქმეებზე ტარდება საკონტროლო მატჩები...

მაისურაძე თავიდან შემოფოთებული იყო იმით, რომ შერჩეული ფეხბურთელების აბსოლუტური უმრავლესობა თბილისელი და დედაქალაქში საცხოვრებლად ჩამოსული იყო...

ახალთაობა

ჩვენი ბიჭები და იბათი კანონები

ინანკარში თბილისის საფეხბურთო სკოლების, "საბურთალოს" და "ოლიმპის" ვაზრდობა არნების "ვიტესში" გასინჯვაზე იმყოფებოდნენ...

ეპროპიისკან მიახვალა ორი თაობა

ნინოზე თავი შებოჭილად რომ არ იგრძნონ, საერთაშორისო გამოცდილება შაერივით სჭირდებათ.

გუნდის სამოქმედო გეგმა ასეთია: აპრილში ყაზახეთში "პრეზიდენტის თასის" გათამაშება იგეგმება და იქ ჩვენებიც...

გეგმაშია ივნისში უკრაინულ საერთაშორისო ტურნირზე გამგზავრება, სადაც ასევე მხოლოდ ნაკრებები იასპარეზებენ.

უმთავრესი შეკრება კი საკვალიფიკაციო ეტაპის წინააუცილებელი. მწვრთნელის თქმით, იმისთვის, რომ გუნდი...

"ოფიციალურ მატჩებზე დიდი დრო აღარ დარჩა და თადარიგი დროულად უნდა დავიჭიროთ. ვიმედოვნებ, ევროპის ჩემპიონატის საკვალიფიკაციო ციკლის მოახლოებასთან ერთად ჩვენი მზადება უფრო ინტენსიური და მრავალფეროვანი გახდება..."

რეპონებაში დაჭირილი თადარიგი

იმ გუნდს, რომელიც კონტინენტის 17-წლამდელთა ჩემპიონატზე მოსაწვევრად ბეძგობს გაისად დაინყვებს, გელა შეყილაძე საწვრთნელის შტაბშია.

შეყილაძის გუნდმაც საქართველოში უკვე რამდენიმე შეკრება მოაწყვა და აქაც დაახლოებით 40 სანაკრებო კანდიდატი გამოიკვეთა.

რეგიონული ასაკობრივი ნაკრებების ჩამოყალიბება შეყილაძის იდეა იყო და როგორც ამბობენ, ამ პროექტმა წარმატებით იმუშავა.

შეყილაძის მთავარი სანუხარი ისაა, რომ ნაკრების კანდიდატთა უმრავლესობა სხვადასხვა ელემენტარულ საფეხბურთო ნიუანსს პირდაპირ სანაკრებო შეკრებებზე ითვისებს.

ფეხბურთელთა შერჩევის პროცესი კი წლებულსაც აქტიურად ვრცელდება. მაისურაძის გუნდის მსგავსად, 15-წლამდელებიც კვირამი ერთხელ აწყობენ ტესტმატჩებს და სამწვრთნელო შტაბი ახალ-ახალ კანდიდატებს აკვირდება.

"ჩვენი მიზანია, რაც შეიძლება მეტი ფეხბურთელის გასინჯვა, რათა ეტაპობრივად გუნდის ბირთვი შეიკრას. ნაკრების კარი სიტყვით მონაგებელი მოთამაშისთვის კლია და ეს ცარის ყველას მიეცემა", - გვითხრა გელა შეყილაძემ.

15-წლამდელების სამომავლო გეგმებზე ჯერ მხოლოდ ზოგადი ინფორმაციაა ცნობილი. შესაძლოა, შეყილაძის გუნდი მარტის ბოლოს რომელიმე საერთაშორისო ტურნირზე გაემგზავროს.

ლევან ჯანაზაშვილი

ეპროპიისკან მიახვალა ორი თაობა

შესწავლას ემსახურებოდა, ინტერესი კი კვლავაც რჩება. თბილისში დაბრუნდა კიევის "დინამოში" გასინჯვაზე მყოფი ბაჩო არაბული. საქართველოს 17-წლამდელთა ნაკრებისათვის შეხვედრა ჩაატარა და სამი გოლი გაიტანა.

არაბული კი დღეს 17-წლამდელთა ნაკრებს შეუერთდება, რომელიც მალე ერაყში გაემგზავრება და უკრაინის მიმართულია გუნდის უკანა მხარეზე დაუბრუნდება.

მერაბ მამულაშვილი

მოხაველი ფეხბურთი

ეროვნული გუნდი



საფეხბურთო სკოლა "ავაზა" 1970 წელს ლეგენდარულმა მიხეილ მესხმა დააარსა. სკოლის აღზრდილთა შორის არიან იაკო უორჟიკაშვილი, ლევან კობიაშვილი, რევაზ არჩილ და შოთა ავრელიძეები, სხვა...

დიდობა ქველი და დიდი

გია ჯანაგაძე: "სკოლას ორი ბაზა აქვს, დიდიმისი ასაკის ბავშვები და დიდი დიდი. 13-წლამდელთა მასივს ბავშვები იმდენი...

ვაცალოთ გავშვავს გავშვოვა

ბავშვებთან მომუშავე მწვრთნელი მათ ფსიქოლოგიაში უნდა ერკვეოდეს. სამსუხაროდ, ისეც ხდება, მწვრთნელები მოზარდებთან ურთიერთობისას...

დავუჯაროთ ბრაზილიას: ფსიქოლოგი მშობლებს უფრო სჭირდებათ

მშობლები საფეხბურთო სკოლაში ბავშვის მიყვანისას შვილებში მხოლოდ პულსა და მარადონას ხედავენ. მათ აინტერესობთ მთავარი - ბავშვები ფეხბურთის თამაშის გარდა თანატოლებთან ურთიერთობას და ჯანსაღ ცხოვრების წესს ეჩვენებენ.

გავშვოთ ფეხბურთი ქუთაისშიც

ამოიწვევს საფეხბურთო სკოლაში ბავშვის მიყვანისას შვილებში მხოლოდ პულსა და მარადონას ხედავენ. მათ აინტერესობთ მთავარი - ბავშვები ფეხბურთის თამაშის გარდა თანატოლებთან ურთიერთობას და ჯანსაღ ცხოვრების წესს ეჩვენებენ.

რჩევა ქუთაისიდან

დღესდღეობით ქუთაისში ბავშვთა სკოლა ფუნქციონირებს. სამსუხაროდ რეალობიდან გამომდინარე, გაუმართავი საფეხბურთო ვარემო ხარისხიანად მოთამაშე თათბირს ვერ აღზრდის. შესაძლოა საფეხბურთო სკოლაში გაემგზავროს მისცემს, ჯანსაღ გარემოში ივარჯიშონ. ქუთაისელები სიახლეს მიესალმებიან, თუმცა მიანიშნავს, რომ ვარკვეულ ასაკამდე სკოლაში სწავლა უფასო უნდა იყოს.

სალომე სარატიშვილი

ქართული ფეხბურთი

● მატჩი. სომხეთის ნაკრები

ოთხშაბათს, 9 თებერვალს საქართველოს ნაკრები ახალ საფეხბურთო ნელს იწყებს: ამხანაგურ მატჩში სომხეთის ნაკრებს გაეჯიბრება. ქართულ-სომხურ საფეხბურთო დაპირისპირებებზე „ლელოს“ ხვალისდელ ნომერში ვისაუბრებთ, მანამდე კი ჩვენი მეტოქე გვინდა წარმოგიდგინოთ.

ლინაო-პარაკილიან ლეონი

...სომხური ფეხბურთი, ვიდრე დამოუკიდებლად არსებობას გადაწყვიტდა (1992 წლამდე), ამ ქვეყნის უძლიერეს კლუბთან, ერევნის „არარატთან“ ასოცირდებოდა. თავდაპირველად გუნდი „სპარტაკის“ სახელწოდებით ასპარეზობდა (დაარსდა 1935 წელს), გასული საუკუნის 40-იანი წლებიდან კი უკვე „დინამო“ დაერქვა და იმდროინდელ საკავშირო მეორე ლიგის გათამაშებაში მონაწილეობდა. უმაღლეს ლიგაში დებიუტი 1949 წელს ჰქონდა, თუმცა, 1966 წლამდე ერევნის „დინამო“ ვერც განსაკუთრებული შედეგებით დაიკვეთდა და ვერც სტაბილურობით. პირიქით — გუნდი მუდამ პირველსა და უმაღლეს ლიგებს შორის „მოგზაურობდა“ და მხოლოდ 70-იანი წლების დასაწყისიდან დამკვიდრდა უძლიერესთა შორის. ოღონდ, ამ დროს გუნდი უკვე „არარატის“ სახელით ასპარეზობდა და პირველი წარმატება 1971 წელს „მოვიდა“, როცა გუნდმა საკავშირო ჩემპიონატის ვერცხლის მედლები მოიპოვა. თუმცა, მთავარი მიღწევა წინ იყო: 1973 წელს „არარატმა“ მართლაც სენსაციურად იასპარეზა და „დუბლი“ შეასრულა! ერთი მხრივ, ერევნელთა გუნდის ჩემპიონობა და სათასო ტროფეი ბერესისთვის მოულოდნელი კი გახლდათ, მაგრამ სურც ის დაგვაინტერესებს, თუ როგორი კვალიფიკაციის ფეხბურთელებით იყო დაკომპლექტებული იმდროინდელი „არარატი“: მიქაბერაძე - ალიოშა აბრამიანი, მცხელები - ალექსანდრ კოვალენკო, ნორიკ მესრობიანი, სურენ მარტიროსიანი, ნახაპტარ მცხელები - არკადი ანდრეასიანი, ოვანეს ზანაზანიანი; მსპ-დამსხმელები - ედუარდ მარქაროვი, ლევონ იმტოიანი. 1975 წელს „არარატმა“ მეორედ მოიპოვა საბჭოთა კავშირის ჩემპიონობა, მომდევნო სეზონში საგაზაფხულო პირველობაზე III ადგილი დაიკავა და ამით მორჩა კიდევ ამ გუნდის წარმატებული ასპარეზობა. თუმცა, „არარატს“ კიდევ ერთი ტიტულის მოპოვების შანსიც ჰქონდა, მაგრამ 1976 წლის თასის ფინალში თბილისის „დინამოსთან“ დიდი ანგარიშით (0:3) წააგო. არადა, ამ შეხვედრამდე ჩვენი მეზობლები თავიანთ გამარჯვებაში ღრმად იყვნენ დარწმუნებულნი; ეგ კი არა, მოსკოვიდან... პირდაპირ სამშობლოში კი არა, სოჭამდე აპირებდნენ გადმოფრენას, იქიდან კი ავტობუსით... საქართველოს გავლით უნდოდათ ჩასვლა ერევანში. მათდა სამწუხაროდ, ასე არ მოხდა: „დინამომ“ შეეცადა და პირველად სწორედ 1976 წელს შეძლო ამ საბატიო პრიზის მოგება; თანაც, არანაკლები მნიშვნელობა ჰქონდა იმ ფაქტსაც, რომ „დინამომ“ ეს ტიტული თავისი ერთ-ერთი ყველაზე პრინციპული მეტოქის დამარცხებით მოიპოვა. პო, „არარატისა“ და „დინამოს“ დაპირისპირებები ხომ, საერთოდ, ცალკე სასაუბრო თემაა; მნიშვნელობა არ ჰქონდა, სად ტარდებოდა მატჩები (ერევანსა თუ თბილისში), არც იმას, გუნდებს კონკრეტულ სეზონში რამიზნები ჰქონდათ, — „არარატისა“ და „დინამოს“, თითქმის კი არა, ლამის აბსოლუტურად ყველა პაექრობა უაღრესად დაძაბულად და საინტერესოდ მიმდინარეობდა. ოღონდ, პრინციპულობა და დაძაბულობა, ემოციები და ზომავზე მეტად ხისტი თამაში, ანუ ყველაფერი, მხოლოდ... უშუალოდ მატჩის დროს იყო; თორემ, შეხვედრა მთავრდებოდა თუ არა, რამდენიმე წამის წინ რომ „დაუძინებელი მტრები“ იყვნენ, ახლა ისევ მეგობრებად რჩებოდნენ. ასე გრძელდებოდა 60-იანი წლებიდან და ასეა დღესაც: ქართველ ვეტერანებს სომხეთში რომ მიიწვევენ ხოლმე, მოფერება და პატივისცემა არ აკლიათ; აღარაფერს ვამბობთ სომეხი მეგობრების საპასუხო ვიზიტებზეც — აი, თუნდაც შარშანდელი მაგალითი გავისხენოთ, როცა სომხური ფეხბურთის, ალბათ, ყველა დროის საუკეთესო წარმომადგენელს ხორენ ოვანესიანს 55 წლის იუბილე... თბილისში გადაუხადეს ქართველმა მეგობრებმა (ყოფილმა მეტოქეებმა და საბჭოთა კავშირის ნაკრებში ყოფილმა თანაგუნდელებმა)...

ქართულ-სომხური პარაკილიანი

სომხურმა ფეხბურთმა დამოუკიდებლად არსებობა ჩვენზე ოდნავ გვიან, 1992 წლის დასაწყისიდან გადაწყვიტა და სწორედ იმ წელს ჩაატარა კიდევ პირველი მატჩი: 14 ოქტომბერს მოლოდინს უმასპინძლეს (0:0). ფიფა-უეფას ეგიდით სადებიუტო ციკლიც, ჩვენსავით, 1996 წლის ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ ტურნირზე ჰქონდათ. ისე, შესარჩევ ტურნირებზე ვიდრე 1996 წლიდან დღემდე ნაჩვენებ შედეგებზე ვისაუბრებდეთ, ისიც უნდა ვახსენოთ, რომ სომხეთის ნაკრების სარეგულარო ანგარიშით მოგება მხოლოდ შარშან დაფიქსირდა, როცა შინ ანდორასთან 4:0 გაიმარჯვეს. აი, რაც შეეხება სარეგულარო მარცხს, ასეთი ორი მატჩია და სომხეთის ნაკრები ორჯერვე 0:7 დამარცხდა. სხვათა შორის, ორივე ეს მტკივნეული მარცხი 1997 წელს იყო: 4 იანვარს, სტუმრად ამხანაგურ მატჩში ჩილესთან და მერე, 30 მარტს... თბილისში, საქართველოს ნაკრებთან...

... შესარჩევ ტურნირებში სომხეთის ნაკრებს არასდროს ჰქონია ჯგუფის ფავორიტობაზე პრე-

# პრინციპი, ეპოქა და... მემორია

ტენზია, თუმცა, დროდადრო ძლიერი მეტოქეების გამწვანებაც უყვარდა (ვფიქრობთ, ნაცნობი სურათია). ისე, ურიგო არ იქნებოდა 1994 წლიდან დღემდე ჩატარებულ შესარჩევ ტურნირებში სომხეთისა და საქართველოს ნაკრებების შედეგებიც შეგვედარებინა...

... სადებიუტო, 1996 წლის ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ ციკლში სომხეთის ნაკრებმა ექვსგუნდიან ჯგუფში V ადგილი დაიკავა (5 ქულა); მაშინ როცა ალექსანდრ ჩივაძის ხელმძღვანელობით მოასპარეზე საქართველოს ნაკრები 15 ქულით III ადგილზე გავიდა.

მეზობლებზე უკეთესი შედეგი გვქონდა მომდევნო წელსაც: სომხეთმაც და საქართველომაც თავიანთ ქვეჯგუფებში IV ადგილი დაიკავეს, მაგრამ იმათ თუ 8 ქულა მოაგროვეს, ჩვენ ორით მეტი გვქონდა; და აი, 2000 წლის ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ ციკლის დროც დადგა, როცა ფეხბურთის ქართველ გულშემატკივარს სრული იმედგაცრუება ელოდა! შეგახსენებთ, რომ მართლაც სუსტ ჯგუფში მოხვედრილმა საქართველოს ნაკრებმა ტურნირი 5 ქულით დაასრულა და ბოლო ადგილზეც გავიდა; აი, სომხეთის ნაკრებმა კი ძლიერი მე-

გებმა კი — შეიძლება. თითქმის იგივე სიტუაცია იყო 2008 წლის ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ ციკლშიც: საქართველოს ნაკრებმა შეიძლება ჯგუფში VI ადგილი დაიკავა (10 ქულა), სომხებმა კი რვაგუნდიანში — VII (9 ქულა). ოღონდ, ჩვენ თუ ვერცერთიან გამარჯვებითა და შოტლანდიასთან მოგებით „ვიწინებდით“ თავს, სომხებმა ეს ქულები პორტუგალიასთან, პოლონეთთან და სერბეთთან მოიპოვეს.

და აი, ბოლო ციკლიც, ქართველ გულშემატკივარს მუდამ მწარედ რომ ემახსოვრება: 2010 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევ ტურნირი ჩვენმა ნაკრებმა მოუგებლად დაასრულა და მხოლოდ და მხოლოდ სამი ქულა მოაგროვა; აი, სომხებმა კი გვაჯობეს: ყველაფერს თავი რომ დავანებოთ, ჩვენზე ერთი მეტი ქულაც ჰქონდათ და ბელგიის ნაკრებიც დაამარცხეს.

ივანის თაობა

ახალი შესარჩევ ციკლი სომხეთის ნაკრებმა მართლაც წარმატებულად დაიწყო: გუნდს დღეს-დღეობით 7 ქულა აქვს და არღანდის ნაკრებთან ერთად მეორე-მესამე ადგილზე იყოფს! არადა,



შენის მხითარანი



სარქის ოვსეფიანი

ტიქეების (საფრანგეთი, უკრაინა, რუსეთი) გარემოცვაში 8 ქულით V ადგილი დაიკავა. სამაგიეროდ, მომდევნო ციკლში სიტუაცია რადიკალურად შეიცვალა: ჩვენ 10 ქულით თუ შესამდე ადგილზე გავიდით, სომხები 5 ქულით ბოლო ადგილზე დარჩნენ. საკმაოდ საინტერესო სიტუაცია იყო 2004 წლის ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ ციკლშიც — საქართველომაც და სომხეთმაც 7-7 ქულა მოაგროვეს, ოღონდ, მეზობლები თუ ხუთგუნდიან ჯგუფში IV ადგილზე გავიდნენ, ჩვენ ბოლო საფეხურზე დავარჩით. ამის შემდეგ ისევ ვაჯობდით: ორივე ნაკრები შეიძღვნიან ქვეჯგუფში VI ადგილზე გავიდა, მაგრამ ჩვენ 10 ქულა მოვაგროვეთ, სომ-


სტარტი წარუმატებელი გამოდგა: პირველსავე მატჩში ერევანში ჯოვანი ტრაპატონის განვრთნილ ირლანდიასთან წააგო (0:1); ამის შემდეგ სტუმრად მაკედონიასთან ჰქონდათ თამაში და გამარჯვებასთან ძალიან ახლოს იყვნენ, მაგრამ მასპინძლებმა პენალტით ქულის გადარჩენა შეძლეს (2:2); არადა, უკვე 96-ე (!) წუთი იწურებოდა... მაკედონიასთან ნაჩვენებმა საბატიო შედეგი შემთხვევითი რომ არ იყო, მომავალმა მატჩმაც დაადასტურა: 8 ოქტომბერს, ერევანში სომხეთის ნაკრებმა თავის ქომაგებს მართლაც სასიამოვნო სიურპრიზი შესთავაზა, როცა 2010 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის ერთ-ერთი აღმოჩენა - სლოვაკე-

თის ნაკრები დაამარცხა (3:1). იმის მიუხედავად, რომ სლოვაკები, ფაქტობრივად, ოპტიმალური შემადგენლობით (მარეკ ჰამშიკი, ვლადიმირ ვაისი, მიროსლავ კარპანი, მარტინ შკრტელი) ასპარეზობდნენ, არნახული მოტივაციით მოთამაშე მასპინძლებთან მაინც ვერაფერი გააწყვეს. სლოვაკებთან გამარჯვებიდან ოთხ დღეში კი სომხებს ბევრად იოლი მატჩი ელოდათ და ანდორის ნაკრებთან დიდი ანგარიშით (4:0) გამარჯვებაც უკვე აღარავის გაჰკვირვებია. უახლოესი მატჩი კი ჩვენ მეზობლებს ჯგუფის ფავორიტებთან, რუსეთის ნაკრებთან აქვს, თუმცა სომხეთის ნაკრების მთავარი მწვრთნელი ვარდან მინასიანი ამ შეხვედრის წინ ერთობ ოპტიმისტურად არის განწყობილი და თავისი შეგირდების იმედი აქვს. სხვათა შორის, სომხეთის ნაკრების ბოლოდროინდელი წარმატებების გამოც არის, ჩვენი მეზობლები ფიფას რეიტინგში ამჟამად 62-ე ადგილზე რომ იმყოფებიან (საქართველო-71-ე ადგილზეა).

... მინასიანი ვახსენებთ და ამ შემთხვევაშიც შეგვიძლია სომხურ და ქართულ ფეხბურთის შორის პარალელების გაღება; პო, ისე როგორც ჩვენთან, წლების განმავლობაში სომხეთის ნაკრებშიც არაერთ უცხოელ სპეციალისტს უშუშავია; ოღონდ, ეს პროცესი 2002 წლიდან დაიწყო, მანამდე კი სომხეთის ნაკრებს მხოლოდ ადგილობრივი მწვრთნელები ხელმძღვანელობდნენ: ედუარდ მარქაროვი, სამეფლ დარბინიანი, ხორენ ოვანესიანი, სურენ ბარსეგიანი, ვარუჟან სუკიასიანი, ანდრანიკ ადამიანი; აი, 2002 წლიდან კი, როგორც უკვე გითხარით, უცხოელი სპეციალისტების იმედად იყვნენ, მაგრამ სასურველ შედეგს ვერც ერთმა მიაღწია: ოსკარ ლოპესმა (არგენტინა), მიხაი სტოიკოვიჩი (რუმინეთი), ბერნარდ კაზონი (საფრანგეთი), პენკ ვისამა (პოლანდია), იან პორტელფილდმა (შოტლანდია), იან პოულსენმა (დანია). 2009 წლიდან კი, ნაკრებს ადგილობრივი სპეციალისტი ვარდან მინასიანი ხელმძღვანელობს და საკმაოდ წარმატებულადაც. 37 წლის მინასიანი სხვადასხვა დროს სომხეთის ნაკრების სამწვრთნელო შტაბში შედიოდა, ამას გარდა, მისი ხელმძღვანელობით „პიუნიკი“ სამჯერ გახდა სომხეთის ჩემპიონი, ორჯერ კი თასი აიღო (2009 და 2010 წლებში სომხეთის საუკეთესო მწვრთნელადაც დაასახელეს); თავის დროზე, ფეხბურთელობისასაც არ ჰქონია ურიგო კარიერა: „პიუნიკის“ შემადგენლობაში ექვსჯერ გახდა სომხეთის ჩემპიონი, „ლოზანას“ შემადგენლობაში შვეიცარიის თასი აქვს მოპოვებული, ამას გარდა, ორი სეზონი რუსეთის პირველ ლიგაშიც (სანქტ-პეტერბურგის „ლოკომოტივი“) თამაშობდა. რაც შეეხება სომხეთის ნაკრებს, 1996-99 წლებში გამოდიოდა და თავისი ქვეყნის ძირითად გუნდში 11 მატჩი აქვს ჩატარებული.

სომხეთის ნაკრების დღევანდელ შემადგენლობაში რამდენიმე გამორჩეული მოთამაშეა; მათ შორის, უპირველეს ყოვლისა, 22 წლის შენის მხითარანი უნდა ვახსენოთ, 16 წლის ასაკში „პიუნიკის“ ერთ-ერთი ლიდერი რომ იყო. მხითარანი სომხეთის ყველა ასაკობრივ ნაკრებში გამოირჩეოდა და 18 წლისას უკვე ეროვნულ გუნდში ჰქონდა დებიუტი. ამ ფეხბურთელის შესაძლებლობებში შარშანაც დავრწმუნდით, როცა სომხეთის ახალგაზრდული ნაკრების კაპიტანმა ქართველ თანატოლებს უამრავი თავსატეხი გაუჩინა. სხვათა შორის, მხითარანი მამის ტრადიციას აგრძელებს - სამეფლ მხითარანი წლების განმავლობაში „არარატის“ ერთ-ერთი საუკეთესო გოლეადორი გახლდათ. უმცროსი მხითარანი ამჟამად უკრაინული გრანდის, დონეცკის „შახტარის“ ლირსებას იცავს და ამ კლუბში არსებული „არანორმალური“ კონკურენციის მიუხედავად, გუნდის ერთ-ერთ ნამყვან ფეხბურთელად მოიაზრება. მხითარანმა თავისი შესაძლებლობები ბოლომდე თუ გამოავლინა, ამას ვერ ვიტყვით 24 წლის ედგარ მანუჩარიანზე - 17 წლისა ჰოლანდიის „აიაქსში“ რომ ჩაირიცხა, მაგრამ იქ დამკვიდრება ვერაფრით შეძლო. ახალი თაობის ფეხბურთელთაგან გეორგ კაზარანი, გრაჩ ივანოვი და არტაკ დაშაიანი უნდა ვახსენოთ, — ასევე სომხეთის ახალგაზრდული ნაკრებიდან რომ გვახსოვს. რაც შეეხება ვეტერანებს, სომხეთის ნაკრებში ორი თავისი ფეხბურთელია: 36 წლის მეკარე რომან ბერეზოვსკი და გუნდის კაპიტანი, 38 წლის მცველი სარქის ოვსეფიანი. 1996 წლიდან ბერეზოვსკი რუსეთში ასპარეზობს და სხვადასხვა დროს „ზენიტში“, „სატურნიში“, „ტორპედოსა“ და „დინამოში“ თამაშობდა. 2006 წლიდან დღემდე კი „ხიმკის“ ლირსებას იცავს. აი, ოვსეფიანი კი თანამედროვე სომხური ფეხბურთის ცოცხალ ლეგენდად უნდა მოვისხენოთ: „პიუნიკის“ შემადგენლობაში ათჯერ (!) გახდა სომხეთის ჩემპიონი, ხუთჯერ ქვეყნის სუპერთასი მოიპოვა და ოთხჯერ — თასი; სუთი სეზონის განმავლობაში რუსულ პრემიერლიგაში ასპარეზობდა და „ზენიტის“ შემადგენლობაში ორჯერ რუსეთის თასი აქვს მოპოვებული. თუმცა, არანაკლებ ფასეულია ოვსეფიანის სანაკრებო კარიერაც, — 1992 წლიდან ... დღემდე რომ გრძელდება! სარქის ოვსეფიანს სომხეთის ნაკრებში 117 მატჩი (ქვეყნის მასშტაბით სარეკორდი მაჩვენებელი) აქვს ჩატარებული და, რაც მთავარია, ერთადერთი ფეხბურთელია, საქართველოსა და სომხეთის ნაკრებების წინა ოთხივე შეხვედრაში რომ უთამაშია...

გამომხატვენი



ფერნანდო ტორესმა ყოფილ გუნდთან თავი ვერაფრით გამოიჩინა

ბორჯის უდიდესი დაბრუნება

ასადა კიდევ უფრო მწარედ შეაფასა ბრიტანულმა პრესამ ის, რაც კვირას „სტემფორდ ბრიჯზე“ ნახა - „ჩელსის“ შემადგენლობაში ესპანელი ვარსკვლავის, ფერნანდო ტორესის დებიუტი საშინლად უღიმღამო აღმოჩნდა. რა შესხვება უნდა, მაგრამ მაინც გავიმეორებთ, რომ „ელ ნინოს“ ლონდონური დებიუტი იმით ვახლდათ ყურადსაღები, რომ ის ერთი კვირის წინ სწორედ „ლივერპულის“ თავდამსხმელი იყო. ტორესი მერსისაიდდან ლონდონში იმდენად სწრაფად და მოულოდნელად გადავიდა, რომ ტრანსფერის გაქცევას უფრო დაემსგავსა და, შესაბამისად, კვირას „ლივერპულის“ გამარჯვებას შურისძიების ელფერი დაჰკრა. 50 მილიონ ფუნტად ნაყიდი ფორვარდი თითქოს უნიათოდ დარბოდა მოედანზე და, თან, ეტყობოდა, რომ ახალი თანაგუნდელეების არ ესმოდა. „ლურჯების“ მწვრთნელმა კარლო ანჩელოტიმ 65-ე წუთზე ის შეცვალა.

მატჩის შემდეგ „ლივერპულის“ გოლის ავტორმა, პორტუგალიელმა რაულ მერიელემმა თქვა: „დღეს „ჩელსის“ თავდამსხმელთაგან ვერც ერთმა ვერ გამოიჩინა თავი. ჩვენი მეკარე ვერც ერთმა მათგანმა ვერ შეაზუნა. „ლივერპულის“ დაცვამ დიდებულად ითამაშა. მასპინძლებმა მხოლოდ ერთხელ დაარტყეს კარში.“

ფეიქრობთ, მერიელეში ცამდე მართალია. ტორესი მისი ტრანსფერის გამო ინვესტორებისთვის უსრულდება, თორემ ამ შეხვედრაში არც დიდი დროებას გამოუჩენია თავი და არც მოედანზე მოგვიანებით შესულ სალომონ კალუს თუ ფლორან მალუდას. სხვა საქმეა, რომ მასმედიისთვის მაინც დაინტერესებულნი არიან „ლივერპულის“ დაბრუნებასთან დაკავშირებით. „ჩელსის“ და „ლივერპულის“ შეხვედრას არ ეხსნებოდა ინგლისის ჩემპიონთა რუსი მუბატორი რომან აბრამოვიჩი, მწვრთნელმა კარლო ანჩელოტიმ კი სცადა მომხდარისგან ტრაგედია არ შეექმნა:

„პრობლემა ის კი არ იყო, რომ ჩვეული ტაქტიკა და შემადგენლობა შეეცვალა და ტორესი ვათამაშე, არამედ ის, რომ „ლივერპულმა“ საუცხოოდ დაიცვა თავი. ფერნანდო თავისებურად მოძრაობდა და დიდი სამუშაო გასწავლია. მოდი, მას ახალ გუნდთან შესაგებლად დრო მივცეთ, თავიდანვე ბევრს ნუ მოვთხოვთ. რატომ გამოეცვალა? იმიტომ, რომ გასული კვირა მისთვის ძალიან რთული და დატვირთული იყო.“

იქნებ, სწორედ იმიტომ, რომ ტორესს ახალ გუნდთან შეგუებისთვის დრო სჭირდება „ლივერპულთან“ მისი სასტარტო შემადგენლობაში გამოყვანა სულაც არ იყო უპრობლემა? მაგრამ, მეორე მხრივ, რა გინდა ქნა, როდესაც ამ შეხვედრას მთელი დედაამინა სწორედ ტორესის ლურჯ ფორმაში ნახვის გამო ელის. ძნელია, მსოფლიოს „არა“ უთხრა.

ახსენი

ჩაქვინა პენალტის იმსახურებდა

ყოველმა ინგლისელმა მსაჯმა, გრემ პოლმა, რომელიც თავის მოსაზრებებს „დეილი მილი“ აქვეყნებს, „ჩელსისა“ და „ლივერპულის“ შეხვედრა განიხილა და იმ ორ ეპიზოდს შეეხო, როდესაც ინგლისის ჩემპიონს პრეტენზია გაუჩნდა, რომ არბიტრ ანდრე მარინერს „ლივერპულის“ კარში პენალტი უნდა დაენიშნა. პოლი წერს, რომ მარინერმა ამ ორი მომენტიდან ერთი სწორად შეაფასა, მეორეში კი შეცდა, რადგან პენალტის დანიშვნა მართებდა. ფიფას ყოფილი არბიტრის აზრით, ეპიზოდში, როდესაც ბურთი ლუკასს მოხვდა ხელში, ფეხბურთელს ხელი ბუნებრივად ეჭირა და, შესაბამისად, ის კი არ შეეხო ბურთს, არამედ ბურთი შეეხო მას. მეორე შემთხვევაში კი გლენ ჯონსონმა ბრანისლავ ივანოვიჩი „დაბლოკა“ და ამისათვის თერთმეტმეტრიანი უნდა დანიშნულიყო. პოლი ამბობს, რომ ამაზე მკაფიო მაგალითს, თუ რა არის „ბლოკი“, ადამიანი ძნელად თუ იპოვებს სადმე.

იყო კიდევ ერთი ეპიზოდი, როდესაც რაულ მერიელემმა შეახო ბურთს ხელი, მაგრამ, პოლის მტკიცებით ეს ამბავი საჯაროობის გარეშე მოხდა და ამას საპენალტე სიტუაციებზე ლაპარაკისას ვერ განვიხილავთ.

რომანი დასრულდა

რომანი აბრამოვიჩის „ტოტენჰემის“ მწვრთნელს ჰარი რედნაპს შეუტყა: „სეზონის ბოლოს „სფურზიდან“ უნდა წავიდე.“

რუს თავდამსხმელს სათადარიგოთა სკამზე ჯდომა მოჰპებრდა და „დეზებთან“ ახალი კონტრაქტის გაფორმებაზე უარი თქვა. ფორვარდი ამბობს, რომ „უაით ჰართ ლინზე“ ყველაფერი მოსწონს, გარდა ერთისა - რედნაპის მას სხვა გუნდში გადასვლისკენ უბიძგებს.

„არ მესმის, რატომ არ მათამაშებს რედნაპი. თავად ამის შესახებ არაფერს მეუბნება. გაუგებარია, იმ შეხვედრის შემდეგ, რომელიმე გოლი შევაკვდე, რატომ უნდა ვიკვდე სათადარიგოთა სკამზე. ძალიან დამალა გაუგებრობაში. ადრე საზარდულის ტრავმა მანუხებდა, მაგრამ ბოლო ორი შეხვედრისთვის სრულიად მზად ვიყავი. მეტიც, „ფულჰემთან“ 4:0-ს რომ ვაგებდით, რედნაპმა მაშინაც კი არ შემომვა მოედანზე. არადა, ინტერვიუებში მწვრთნელი იმიოვებს, რომ ვჭირდები და ჩემს გაყიდვას არ აპირებს. ჩემი აგენტი „ტოტენჰემის“ თავმჯდომარეს შეხვდა, მაგრამ ამან სასიკეთო არაფერი მოიტანა. მოედანზე თავმჯდომარე ხომ არ გამიშვებს.“

გაზიანი კარს უკან

რომანოვს „არსენალის“ რუსი თავდამსხმელი ანდრე არშავინი ჰყვება: „ნიუკასლთან“ 4:4-ის შემდეგ გასახდელში შესულმა არსენ ვენგერმა ხმა ვერ ამოიღო. შეგახსენებთ, რომ „მეთოფები“ 4:0-ს იგებდნენ.“

„მან საერთოდ ვერაფერი გვითხრა. ის საშინლად დაზაფრული იყო. რა ვასაკვირ, ასე იქნებოდა მის ადგილას ყველა. ფეხბურთელებიც საშინელ გუნებაზე ვიყავით. იმ საღამოს ცოტა „მანჩესტერ იუნაიტედის“ ნაგებამ გამოგვაფიზლა. საბედნიეროდ, ფსიქოლოგიურად არ გავტეხილვართ. უფლება არ გვაქვს გავტყდეთ. თუ წარმატება გვინდა ყურების ჩამოყრისთვის ვერ უნდა მოვიცალოთ. იმ დღეს კი, ვერ მივხვდარვარ, რა მოხდა. რვა გოლი ერთ კარში გავიდა - თითქოს იმ კარის უკან მაგნიტი იყო დამონტაჟებული. მაგრამ, მორჩა, ნიუკასლი უკვე წარსულს ჩაჰპარდა.“

მოსხნა

დი მატეო და მუხარებია

„მანჩესტერ სიტისთან“ 3:0 დამარცხების შემდეგ „ვესტ ბრომვიჩ ალბიონმა“ თანამდებობიდან რობერტო დი მატეო გაათავისუფლა, რაც როი ჰოჯსონისთვის ფეხბურთში ელვის სისწრაფით დაბრუნების შანსი აღმოჩნდა: ცოტა ხნის წინ „ლივერპულიდან“ გაგდებული ჰოჯსონი ვესტბრომვიჩელთა ყველაზე სასურველი კანდიდატი აღმოჩნდა. ბირმინგემიდან სულ რაღაც 8 კილომეტრში მდებარე პატარა ქალაქის გუნდს შაბათს, 12 თებერვალს, „ვესტ ჰემთან“ პრინციპული შეხვედრა ელის. 26 ტურის შემდეგ „ვესტ ბრომვიჩი“ მე-17 ადგილზეა და გასაზარდნ საბუნებრივად იმიტომ არ არის, რომ „უიგანთან“ შედარებით გატანილი-გამეფულთა სხვაობა ერთი უკეთესი აქვს, „ვესტ ჰემი“ კი ბოლოზეა. მწვრთნელის ასეთი მნიშვნელოვანი მატჩის წინ შეცვლას, რასაკვირველია, თავისი დადებითი მხარეც აქვს და უარყოფითიც, თუმცა, რო-

ეროვნული

ზიზლიოთიქა

აუტსაიდერთან „ეულვერპემპტონთან“ უნვეს შეხვედრა.

40 წლის დი მატეო ჯერემი პისმა ინგლისში „მუხარებია“ დატოვების სახელწოდებით ცნობილი პრინციპის მიხედვით მოხსნა. სხვა სიტყვებით, შეიცვარიამ დაბადებულ-გაზრდილი იტალიელი „ვესტ ბრომვიჩში“ ხელფასს მაინც მიიღებს, მაგრამ ის თავმოყვარე კაცი და ანტიტრესებს, რა შედეგს ითხოვდნენ მისგან, როდესაც პრემიერლიგაში ახალაღზვევული გუნდი ვერც ბოუჯეტით დაიკვეხნის და ვერც ძლიერი ფეხბურთელებით. გარდა ამისა, ამბობენ, რომ დი მატეოს კონტრაქტში იყო რამდენიმე პუნქტი, რომელთა გამო მწვრთნელს კლუბთან გაუგებრობა აქვს. ნაწილობრივ აქედანაც დაწყებულა ყველაფერი:

როგორც დი მატეოს მეგობრები ჰყვებიან, მასა და პისს შორის შავმა კატამ ჯერ კიდევ სამი კვირით ადრე, „ბლექჰულისთან“ შეხვედრის წინ გაიბრინა. ზემოთ, რომე-



დი მატეო მოხსნეს, ჰოჯსონი მოდის?

გორც ამბობენ, შაბათამდე გუნდს მაინც დი მატეოს ახლა უკვე ყოფილი ასისტენტი მიკელ ეპლიტონი მოამზადებს.

ამრიგად, ჰოჯსონი „ვესტ ბრომვიჩისთვის“ ყველაზე სასურველი კანდიდატი გამოდგა, მაგრამ განა ევრეტონოდებულ მორთ-ლისტიში მარტო ერთი კაცი ენერა? რასაკვირველია, არა. „შაშვების“ მოსაწონ მწვრთნელთა სიაში არიან „ნიუკასლის“ ყოფილი თავკაცი კრის ჰოუტონი და დერეკ მაკლენი, რომელიც დღეს შოტლანდიის პრემიერლიგის „სენტ ჯონსტონს“ უდგას სათავეში. ისე, „შაშვებს“ „კაჭკაჭების“ („ნიუკასლი იუნაიტედის“) თავკაცი რომ მოსწონთ, ლოგიკას არ არის მოკლებული...

„ვესტ ბრომვიჩმა“ სეზონი ცუდად არ დაიწყო, პირველ 9 შეხვედრაში 15 ქულა მოიპოვა, მაგრამ შემდეგი 17 შეხვედრიდან 11 ქულაზე მეტი ვეღარ შეიმატა და კლუბის თავმჯდომარე ჯერემი პისსაც მოთმინების ფილა აეგო. გაზეთები წერენ, რომ პისმა დი მატეო „ვესტ ჰემთან“ თამაშის წინ იმიტომ გაათავისუფლა, რომ „ვესტ ჰემის“ შემდეგ კიდევ ერთ

ლილაც საკონტრაქტო საკითხი ვახსენეთ. სწორედ ამაზე ყოფილა ლაპარაკი სამსაათიან შეხვედრაზე, რომელსაც პისი და კლუბის ორი დირექტორი ესწრებოდნენ. შეხვედრის შემდეგ ვესტ ბრომვიჩში ხმა დარწმუნდა, რომ საქმე მთლად კარგად აღარ არის. ის შეხვედრა, იან პოლოუის გუნდთან „ვესტ ბრომვიჩმა“ 15 იანვარს 3:2 მოიგო და ამ შედეგმა ადამაბულობა მიიჩქმალა, მაგრამ „ვესტ ჰემსა“ და „ეულვერპთან“ პრინციპული შეხვედრების წინ პისმა მაინც მდგომარეობის გადახალისება ამჯობინა.

ლიგის მწვრთნელთა ასოციაციის შეფმა რიჩარდ ბივენმა დი მატეოს დაუჭირა მხარი და გაოცებულმა იკითხა, რა არ მოეწონათ „ვესტ ბრომვიჩში“ ასე უცბად კაცისა, რომელმაც მათი გუნდი მარშან პრემიერლიგაში პლეი-ოფის გაწერე გადაიყვანა, ხოლო ნოემბერში სწორედ იქ, პრემიერლიგაში თვის საუკეთესო მწვრთნელად დაასახელეს. „ვესტ ბრომვიჩში“ კი დაიჩემეს, დი მატეო მეტოქეებს ჯეროვნად არ სწავლობდა.

არსენალი

გვიგარი სასიფათოა!

ინგლისის ფეხბურთის ასოციაციამ „არსენალის“ ვარსკვლავი ჯეკ უილშირი კინაღამ დასაჯა. მიზეზი: 19 წლის ფეხბურთელმა მსაჯ ფილ დოდზე ჯავრი სოციალურ ქსელ „ტვიტერში“ იყარა. სხვა საქმეა, რომ როგორც კი „ორთული გამოუშვა“, უილშირმა თავისი ნაწერი წაშალა და... მაშინვე ცნობილი გახდა, რომ არც ასოციაციას ნდობიბა მაინცდამაინც მისი დასჯა, მაგრამ ვალდებული იყო ემსჯელა.

უილშირი, რომელიც ფაბიო კაპელომ ნაკრებში გამოიძახა და ოთხშაბათს, დანიელების წინააღმდეგ ამხანაგურ შეხვედრაში, საგარეოდ, ძირითად შემადგენლობაში ათამაშებს კოდეს, „ტვიტერში“ ჩიოდა - რატომ გავვიგდო დოდმა ნიუკასლში თამაშის დღეს მოედნიდან აბუ დიაბი და იმავე შეხვედრაში, ზუსტად ისეთივე საქციელისთვის, კევინ ნოლანი მოედანზე რატომ დატოვაო. შეგახსენებთ, რომ გარკვეული ხნის წინ ასოციაციას „ლივერპულის“ ყოფილი მითამაშის, დღეს „ჰოფენჰაიმის“ თავდამსხმელის რაიან ბაბელის დასჯა მოუხდა. მიზეზი: პოლანდიელმა „ტვიტერში“ მოათავსა მსაჯ ჰოვარდ ების დამონტაჟებული ფოტო, სადაც ის „მანჩესტერ იუნაიტედის“ ფორმაში ჩაცმული.



ჯეკ უილშირი

გვირდი მოამზადა ილია ბაპუნაშვილმა



უხსოვარი ფაქტები

სერია A XXIV ტურის მიმოხილვა

# ფორვარდებმა აიწყვიტეს

## უხვმოლიანი ტური

XXIII ტურში „დასვენებულმა“ თავდამსხმელებმა გასულ უქმეებზე აინყვიტეს და გოლების ფორევერ-კი მოიხვედნენ. არაერთი ძალიან საინტერესო მატჩი ვიხილეთ, ტურის კულმინაცია და ნამდვილი მშვენიერება კი „ინტერი“-„რომას“-დაპირისპირება გახლდათ. ამ ყველაფერზე ქვემოთ უფრო ვრცლად ვისაუბრებთ...

### ტურის სიგოლური

**შულონიზარი (ინტერი) - პორტანოვა (ბოლონია), შუანი (რომა), პარტალი (ოვენტუსი) - ჰემპინი (ფიორენტინა), კამპინისი (ინტერი), პუჩა (ჯენოა), პასტორე (პალერმო) - დინატალი (უდინეზე), მატრი (ოვენტუსი), ეტორი (ინტერი).**

იმვითად, მეკარე სამი გოლი გაუშვას და მიუხედავად ამისა, პრესისგან მაღალი შეფასებები მიიღოს. ამ შემთხვევაში კი სულაც უნიკალურ შემთხვევასთან გვაქვს საქმე, რადგან **ფულიო სეზარი** ტურის სიგოლური ნაკრებში მოხვდა. დიხ, მეკარე, რომლის კარიერა რომელიმე სამეფო დელაშერეს, საუკეთესოდ დასახელდა. სეზარმა არაერთხელ გადაარჩინა გუნდი გაშვებული გოლისგან და თანაც, ყველაზე საჭირო მომენტში. მებუთევერ მოხვდა რჩეულ ფეხბურთელთა შორის **ხაიერ პასტორე**, რაც ძალიან კარგი მაჩვენებელია - „პალერმოს“ მიერ „ლეჩეს“ ძღვევაში არგენტინელმა დიდი წვლილი შეიტანა. იგივე შეიძლება ითქვას **ანტონიო დინატალი**ზე, რომელმაც შეასე გოლი გაიტანა „უდინეზეს“ შემადგენლობაში. მათთან ერთად, შეტყვის ნინა ხაზზე შეუდარებელ **სამუელ ეტორის** ცხედავთ...

### ტურის მატჩი

ტურის მატჩად ცენტრალური შეხვედრა უნდა მივიჩნიოთ, რადგან „ინტერმა“ და „რომამ“ სრულად გამართლეს გულშემატიკვართა მოლოდინი. თამაშის პერიპეტეიების აღწერას ტურის მიმოხილვაში ნაკითხავდით და აღარ გავიმეორებთ, მხოლოდ იმას შეგახსენებთ, რომ მიღწეულმა ნ:3 მოიგეს და ჩემპიონატის ლიდერს ერთი ფეხის ნაბიჯზე მიუახლოვდნენ. ბედნიერმა **ლეონარდომ** ჟურნალისტებს შემდეგი განუცხადა: „იმდენად ვახარებული ვარ მოპოვებული გამარჯვებით, რომ არსებულ ხარვეზებზე დღეს საუბარი გამიჭირდება. ჩვენ თვითონვე გავართულეთ ცხოვრება და არაფრისგან ინტრი-გა შევქმენით, მაგრამ მაღალი გამოფიზილით და მებუთე გოლი გავუტანეთ მეტოქეს. სასკუდეტო მართათონი ბოლო ტურებამდე გავრძელებდა და დღეს რაიმე პროგნოზის გაკეთება რთულია, მთავარია ასე გავაგრძელოთ“



ალესანდრო მატრი

### ტურის გმირი

ტურის გმირად შეგვეძლო „ინტერი“-„რომას“ მატჩში მონაწილე ნებისმიერი ფეხბურთელი დაგვესახელებინა, რადგან მათ ნამდვილი დელსასნაული აჩუქეს გულშემატიკვარებს. თუმცა, უმჯობესია მაინც ერთი გამოვარჩიოთ და ეს ფეხბურთელი არა „ინტერში“ ან „რომამში“, არამედ „ოვენტუსში“ ასპარეზობს. **ალესანდრო მატრი** ამ ზამთარს „კალიარის“-„ოვენტუსში“ გადაბარდა და თუ პირველი მატჩებით ვიმჯღელებთ, ახალ გარემოს იოლად აულო ალლო. „პაკერმოსთან“ შეხვედრაშიც ძალიან სახიფათო იყო, თუმცა დამაგვირგვინებელ ფაზაში არ უმართლებდა, „კალიარის“ კი ორი გოლი გაუტანა და ლომის წილი დაიღო „ოვენტუსის“ მიერ ნანატ-

რი გამარჯვების მოპოვებაში. საგულსხმოა, რომ მატრიმ „ოვენტუსი“-„კალიარის“ პირველი წრის პაექრობაშიც დუბლი გაახერხა, თუმცა მაშინ სარდინიულ გუნდში ირგებოდა და **მარკო სტორარი** დაამსუხრა.

### ტურის დაბრუნება

**ადრიან მუტუ** მოკვეთილი იყო „ფიორენტინას“ მთავარი გუნდიდან და ვერაინ წარმოიდგენდა, თუ ერთ მშვენიერ დღეს კვლავ მოირგებდა იისფერ მაისურს. საქმე იმაშია, რომ რუმინელმა ფორვარდმა გუნდის განწესი არაერთხელ დაარღვია, რამაც **ანდრეა დელა ვალეს** მოთმინების ფილა აუვსო. „ფიორენტინას“ პრეზიდენტმა საჯაროდ განაცხადა, მუტუ გავდებულია გუნდიდან და „ფიორენტინას“ შემადგენლობაში ვეღარ ითამაშებსო.

„სამპდორიას“ პრეზიდენტის **რიკარდო გარონესგან** განსხვავებით, დელა ვალე ნაკლებად პრინციპული ადამიანი აღმოჩნდა - მუტუმ ბოდიში მოიხადა და პრეზიდენტმაც შეუნდო. ამ ყველაფრით **სინიზა მიხაილოვიჩი** დარჩა ყველაზე კმაყოფილი, რომელმაც უმაღ შეიყვანა რუმინელი სამატრო განაცხადში და „პარმასთან“ პაექრობაში ათამაშა კიდევ.

### ტურის ფრაზა

**ლუიჯი დელ ნერი (ოვენტუსის მთავარი მწვრთნელი):** „იცი, თავდამსხმელებით თამაში გაცილებით იოლი ყოფილა“.

### ციფრები და ფაქტები

- „სამპდორიას“ კარში გატანილი გოლი ანტონიო დინატალესთვის მეხუთე „უდინეზეს“ შემადგენლობაში;
- „რომას“ 2005 წლის შემდეგ არ ჰქონდა „ინტერთან“ გასვლითი შეხვედრა ნაკლები;
- **დუგლას მაიკონმა** მეორასე შეხვედრა ჩაატარა „ინტერის“ შემადგენლობაში;
- „კალიარისთან“ პაექრობაში **ლუკა ტონი** მეხუთე გოლი გაიტანა სერია A-ში;
- **ალესანდრო დელ პიერო** ჯამპიერო ბონიპერტის გაუთანაბრდა, მათ ანგარიშზე 444 მატჩია სერია A-ში;
- „ნაპოლის“ საკუთარ მოედანზე 562 წუთია, რაც გოლი არ გაუშვია;

ლაშა ნიკლაური

### ჰამბურგი

## ეროვნული გიგლიოთიქე



რუულ ვან ნისტელრო

# ზაფხულში აუხილვლად ნავალ!

## ჰოლანდიელს ქაოსი და მუდმივი გაურკვევლობა ყელში ამოუვიდა

**ჰკირას** „ჰამბურგის“ გულშემატიკვრებმა ინტერნეტგამოცემა goal.com-ზე რუულ ვან ნისტელროის ინტერვიუ ნაკითხეს, სადაც HSV-ს 34 წლის ჰოლანდიელი თავდამსხმელი ამბობს, რომ თუ რდილოგერმანული კლუბი ევროპის ლიგის საგუნურს მოიპოვებს, გუნდში დარჩება. „ჰამბურგის“ ქომაგები ამ ინტერვიუმ ძალიან გაახარა, რადგან ვან ნისტელროის მანამდე ნათქვამი ჰქონდა, „ჰამბურგში“ არაფრის დიდებით არ დავრჩები, ზაფხულში აქედან ნავალო. გუმინ, რუულს „ბილდთან“ დაუკავშირდნენ. აი, მისი ბლიც-ინტერვიუც:

- რუულ, გამოდის, რომ „ჰამბურგიდან“ ნასვლა საბოლოოდ გადაწყვეტილი არ გაქვთ?
- დიდი ხანია, ინტერვიუ არავისთვის მიმიცია და წარმოდგენა არ მაქვს, საიდან მოიტანეს ჩემი სიტყვები goal.com-ზე. ამ საიტის კორესპონდენტთან კი არა, თვეზე მეტია, არც ერთ ჟურნალისტთან არ მისაუბრია.
- ანუ, „ჰამბურგში“ არ დარჩებით?
- დიხ, ასე პროცენტი გადაწყვეტილია, რომ „ჰამბურგთან“ ახალ კონტრაქტს არ გავფორმებ, რაც იმას ნიშნავს, რომ ზაფხულში აქედან ნავალ.
- რატომ მიდისარ?
- აქტიურ სპორტულ კარიერას ალბათ მალე დავასრულებ. ყოველ შემთხვევაში, უკვე 34 წლის ვარ და ფაქტია, რომ ფეხბურთის დიდხანს ვეღარ ვითამაშებ. მაქსიმუმ ორი წელი და ესეც საკითხავია. მინდა, რომ კარიერაში კიდევ მივალნიო რამეს. „ჰამბურგში“ კი ეს შეუძლებელი მგონია, რადგან აქ დიდი ქაოსია. თვითონ განსაჯეთ: რვა ფეხბურთელს კონტრაქტი უმთავრდება, კიდევ ექვსს მომდევნო სეზონში ეწერება ხელშეკრულების ვადა. 9 ფეხბურთელი სხვადასხვა კლუბშია განათხოვრებული. მოკლედ, წარმოდგენა არ მაქვს, როგორია გუნდის მომავალი. ეს კი არ მომწონს.
- ხელმძღვანელებმა ახალი კონტრაქტი არ შემოგთავაზეს?
- ჯერ არა.
- რამდენად მტკივნეული იყო თქვენთვის ის, რომ „ჰამბურგმა“ იანვარში „რეალში“ არ გავიშვათ?
- ეს ამბავი როგორცაა გადავიტანე და თავს უკვე კარგად ვგრძობ. ცუდი მხოლოდ ისაა, რომ „რეალთან“ დაკავშირებული ისტორია ძალიან დიდხანს გაინელა. ათი დღე ნამეტანია.
- გაბრაზდით, ჰამბურგული დერბი რომ გადაიდო?
- არა. იმ მოედანზე თამაში შეუძლებელი იყო. თანაც, დერბი ხომ არ გაუქმდა, უბრალოდ, გადაიდო.

გოტფრიდ ლენცი

### იტალიის ნაკრები

# პრანდელის არჩევანი

## 4-4-2 თუ სამი ფორვარდი?

**ტრადიციულად**, იტალიის ნაკრების მწვრთნელები შემადგენლობას თამამამდე რამდენიმე დღით ადრე ასახელებენ და ასე მოხდა ამჯერადაც. ვინც არ იცის, ვამცნობთ, რომ 9 თებერვალს „სკუადრა აძურას“ გერმანიის ეროვნულ გუნდთან უნვეს ამხანაგური მატჩის გამართვა და თანაც დორტმუნდში, იქ, სადაც მსოფლიოს 2006 წლის ჩემპიონატის ნახევარფინალური მატჩი სწორედ ამ გუნდებს შორის გაიმართა. საერთოდ, იტალია-გერმანიის დაპირისპირება ყოველთვის პრინციპულია და მასზე, როგორც ამხანაგურზე საუბარი, გაუმართლებელიც კი არის. ორი ყველაზე ტიტულოვანი ევროპული საფეხბურთო ქვეყანა, რომელთა ჯახი მართლაც რომ განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს. კიდევ ერთხელ გავეცნოთ **ჩეზარე პრანდელის** მიერ დასახელებულ შემადგენლობას და შემდეგ განვავრცით თემა...

**მეკარეები:** ბუფონი (ოვენტუსი), სირიგუ (პალერმო), ვივანო (ბოლონია).  
**მცველები:** ასტორი (კალიარი), ბონუჩი (ოვენტუსი), კიელინი (ოვენტუსი), კასანი (პალერმო), კრიშტიუ (ჯენოა), მაჯო (ნაპოლი), რანოკია (ინტერი).

**ნახევარმცველები:** აკვილანი (ოვენტუსი), დე როსი (რომა), ჯოვინკო (პარმა), მაური (ლაციო), მონტოლივო (ფიორენტინა), ტიაგო მოტა (ინტერი), ნოჩერინო (პალერმო), პალომპო (სამპდორია).

**თამაშამსხმელები:** ბორიელი (რომა), კასანო (მილანი), მატრი (კალიარი), პაცინი (ინტერი), როსი (ვილიარეალი).

პირველი, რამაც იტალიის ნაკრების გულშემატიკვრები გააკვირვა, **კლაუდიო მარკიზიოს** განაცხადს მიღმა დარჩენა გახლავთ. ბევრმა მოასწრო და უკვე გააკრიტიკა კიდევ ამის გამო პრანდელი, მაგრამ როგორც შემდეგ გაირკვა, სულ ტყუილად. „სკუადრა აძურას“ სამწვრთნელო შტა-

ბის ერთ-ერთმა წარმომადგენელმა პრესისთვის საგანგებო განცხადება გააკეთა და განმარტა, რომ მარკიზიოს სერია A-ს უკანასკნელი ტურის პაექრობაში მიკროტრავმა მიუღია, რის გამოც მისი გერმანიის ნაკრებთან თამაში გამოირიცხა. არადა, პრანდელის კლაუდიოს დიდი იმედი ჰქონდა და ძირითადი შემადგენლობისთვის მოიაზრებდა. აქვე ვთქვათ იმის შესახებაც, რომ ტრავმის გამო „აძურას“ კიდევ ორი ფეხბურთელი დააკლდა: **ანდრეა პირლო** და **ფედერიკო ბალცარეტი**. პირველი სტაჟიანი „აძურელია“, მეორემ კი მიმდინარე სეზონში შეესაბამებდა ასპარეზობით დაიმსახურა ნაკრებში მინვევა და კარგი შანსი აქვს, დამკვიდრდეს კიდევ. პრანდელი „კალიარის“ უკანასხველ **დავიდე ასტორისაც** მიაცქია ყურადღება და სამატრო განაცხადში შეიყვანა.

საინტერესოდ გამოიყურება თავდასხმის ხაზი, სადაც ერთი დებიუტანტია: **ალესანდრო მატრი**. „ოვენტუსში“ გადაბარებულმა ფორვარდმა გასულ ტურში ორი გოლი გაუტანა ყოფილ გუნდს და სანაკრებო მინვევაც მიიღო. არ შეიძლება არ აღვნიშნოთ, რომ განაცხადში „პარმას“ შემტევი ნახევარმცველი **სებასტიან ჯოვინკო** მოხვდა. სება უნივერსალია, ნახევარდაცვის სიღრმიდანაც შეუძლია თამაში და წინა ხაზზეც, ცენტრშიც და ფლანგზეც - ვნახოთ, რა პოზიციას შეურჩევს მას იტალიის ეროვნული გუნდის თავკაცი.

იტალიელ ჟურნალისტებს ძალიან უჭირთ იმაზე საუბარი, თუ რა ტაქტიკით შეიძლება ითამაშოს „სკუადრა აძურამ“. პრანდელის გარემარბებით თამაში უყვარს და გამომსახველ შემადგენლობასაც სწორედ 4-3-3-სეკენ მივყავართ. ცენტრფორვარდის პოზიციაზე **ჯამპაოლო პაცინის**, ალესანდრო მატრის და **მარკო ბორიელის** შეუძლიათ თამაში, თუმცა უპირატესობა მაინც „ინტერისტას“ ენიჭება. ფლანგიდან ალბათ **ანტონიო კასანო** და **ჯუზეპე როსი** შეუტყვენ, თუმცა გარემარბად ჯოვინკოს და იმავე მატრისაც შეუძლიათ თამაში. არც ის არის გამორიცხული, რომ „აძურამ“ 4-4-2-ით იასპარე-



ჩეზარე პრანდელი

ზოს, რადგან გერმანიასთან გასვლაზე ზემეტყვე ტაქტიკით თამაში უპირად სარისკო საქმეა. მაგალითად, **სიმონე პეპე** რომ მოხვედრილიყო განაცხადში, 4-3-3-ზე თამამად ჩამოვიდოდით ფსონს, რადგან „ოვენტინოს“ გარემარბის პოზიციიდან შეუძლია ნახევარმცველებს დაეხმაროს და ამით გუნდის თამაში დააბალანსოს. თუმცა, პეპე ამჯერად განაცხადს მიღმა დარჩა, რაც იმის მაუნყებელია, რომ ან 4-4-2-ს აირჩევს პრანდელი, ანაც თავიდანვე შეუტყვს, თანაც დიდი ძალეობით.

ლაშა ნიკლაური

გერმანია. ბუნდესლიგა. XXI ტურის გამომავარება

აბა, მაშტანა!

ნოიერი შეუვალა, გადგმუხარს ავტოზუსიც გაასრავს...

Flop რომ არ წვიოდს, თან იძონიეთ ძოლგა

„ჰამბურგის“ ნებისმიერ კარგ (ხაზგასმით, კარგ) სასტუმროში რომ შეხედეთ, მაგიდაზე აუცილებლად დაგხედებათ მინიმუმ ადმინისტრატორის, მასიუმე დირექტორის (გაანია ვარსკვლავების რაოდენობას) მიერ ხელმოხერილი ბარათი, სადაც, გარდა იმისა, რომ დროის კარგად გატარებას გისურვებენ, ასევე გაგაფრთხილებენ: „რაც არ უნდა კარგი ამინდი იყოს, გარეთ გასვლისას აუცილებლად ნაილეთ ქოლგა.“ მიზეზი მარტივია: ჰამბურგში სულ წვიმს. სწორედ ერთკვირის გასული ნვიმა გახდა იმის მიზეზი, რომ კვირას დაგემილი ჰამბურგული დერბი გადაიდო. HSV-ს სტადიონზე ახალი მინდორი დააგეს, მაგრამ იმის გამო, რომ დღე და ღამე წვიმდა, ბალახი ვერ გაიზარდა და კვირას ფეხბურთის თამაში შეუძლებელი გახდა.

„ზანკტ პაულის“ სტადიონ „მილერენტორზე“ დიდი ეკრანები იყო დამონტაჟებული, სადაც „პაულის“ იმ ფანებს, ვინც სტადიონზე ვერ მოხვედებოდნენ, თამაშისთვის უნდა ყურებინათ და რაკი ყველაფერი ჩაიშალა, 12 000-დან რამდენიმე ასეულმა ქოლგამ „ზანკტ პაულის“ ბარებს მიასურა - რა თქმა უნდა, გამოსათრობად. სწორედ ერთ-ერთ ასეთ ბარს შეუტყის „ჰამბურგის“ ულტრასებმა შუალაშისა და „ზანკტ პაულის“ გულმემატიკერებს დააყარეს. რამდენიმე პოლიციელს თავი გაუტყეს, ათეულობით (ორივე გუნდის) ფანი კი საავადმყოფოში მოხვდა.

მიუნხენის „ბაიერნი“ ლუის ვან გაალისთვის ფეხბურთელების კონცენტრირება სერიოზული პრობლემა გახდა, ჰამბურგში კი სულაც ფეხბურთის თამაში. „შალკეს“ მეკარე მანუელ ნოიერმა აღიარა, რომ ამ ბოლო დროს ხელბურთის ილეთების გამოყენება დაიწყო - რამდენად კარგი იდეაა ეს, ამას რურის დერბიში შეამჩნევდით. ვოლფსბურგელმა დიეგომ თავი ისევ გაიმასხარავა, „ბაიერნის“ მცველის, ჰოლგერ ბადმტუბერის სიზანტეზე კი უკვე მითები ითხზება... თქვენ წინაშეა ბუნდესლიგის 21-ე ტურის გამომავარება Tops & Flops-ის სახით.



ერთი ფოტო, რომელშიც რურის დერბის 90 წუთი ჩაეგია: მანუელ ნოიერთან ბრძოლაში განგმირული ლუკას ბარიოსი

Flop კლიმაქსი, ღონ იუზ?

„ლევერკუზენის“ მთავარი მწვრთნელი იუზ ჰაინკესი გამოცდილი, ბუნდესლიგის ერთ-ერთი ყველაზე ასაკოვანი მწვრთნელია. განრისხებული და გაცოფებულიც ბევრჯერ გვიჩანავს, მაგრამ ამ დონეზე? არასდროს! ზოგადად, სანამ რამეს იტყვის, „დონ იუზი“ დიდხანს ფიქრობს ხოლმე, მაგრამ ამჯერად აღარ დაფიქრდა და ყველა გალანძლა. „ნიურნბერგთან“ ნაგებული თამაშის (0:1) შემდეგ მან ჯერ თავისი შეგირდები გამოლანძლა, მერე მეტოქე გუნდის ფეხბურთელები, „ნიურნბერგის“ მწვრთნელი, ბოლოს კი მსაჯესაც შეუტია - ცხუტ კირხერი ჩემს ფეხბურთელებს არ იცავდაო.

კლიმაქსი იქით იყოს (უბრალოდ, სათაურს უხდებოდა) და ჰაინკესი მტყუანი არ ყოფილა. „ნიურნბერგის“ ფეხბურთელები ლევერკუზენელებს 90 წუთის განმავლობაში „უგზო-უკვლოდ“ ჩეხავდნენ და ჰაინკესსაც სწორედ ამიტომ მოეშალა ნერვები. თან, თამაშიც ნაავო და სულ ბოლოს ისიც თქვა, იმედა, კირხერს მსაჯად აღარასოდეს დაგვინიშნავენო.

Flop 306 გვარცხვენს? პრანიჩი და ოტლი!

საყრდენი ნახევარმცველები ნებისმიერ გუნდსა და ნებისმიერ ტაქტიკურ სქემაში უმნიშვნელოვანესი ფიგურები არიან. ჩამშლელების როლი სულაც გაორმაგებულია იმ გუნდებში, რომლებიც დღესდღეობით ყველაზე პოპულარული, 4-2-3-1 სქემით თამაშობენ. საყრდენებმა უნდა დაარეგულირონ ტემპი, მოედნის ცენტრშივე ჩაშალონ მეტოქის იერიში, მოიგონ ცენტრი და ა.შ. შაბათს, „ბაიერნი“ „კოილნს“ 2:0-ს უგებდა და საბოლოოდ 2:3 რომ ნაავო, ეს პირველ რიგში რეკორდმასტერის ეფესიანების, ანდრეას ოტლისა და დანიელ პრანიჩის ბრალია. მათ განსაკუთრებით მეორე ტაიმში შეირცხვინეს თავი - თვითონ განსაჯეთ: ოტლსა და პრანიჩს მატჩის მეორე ნახევარში ერთი ორთაბროლისაც კი არ მოუგიათ. ეს კი „ბაიერნისთვის“ ძალიან სამარცხვინო შედეგია - ისევე, როგორც კოლნში ნაგება, განსაკუთრებით მას მერე, რაც გუნდმა პირველი ტაიმი 2:0 მოიგო.

სადაც პრანიჩი და ოტლი თვლემდ-

ტურის სიგოლური ნაქარაი (კიქარი, 4-4-2)

მანუელ ნოიერი (შალკე) - ლუკა პიჩაჩი (ბორუსია დ), მიჰო ბრამო (კოილნი), ლანტე (ბორუსია მ), პრისტიან შულცი (ჰანოვერი) - სარპიო პინტო (ჰანოვერი), სებასტიან რაული (ჰოფენჰაიმი), სპინე ბაღდარი (ბორუსია დ), მარინო გიოტცა (ბორუსია დ) - ანდრე შიურლე (მაინცი), მილოვიჩ ნოვაკოვიჩი (კოილნი)

საუკეთესო ფხეხუთელები

ფხეხუთელი	კლუბი	საგ. შეფასება
1. მანუელ ნოიერი	შალკე	2.50
2. შერი შპინდი	ბორუსია (დ)	2.50
3. შინჯი კაბაჯა	ბორუსია (დ)	2.62
4. მატს ჰუმელსი	ბორუსია (დ)	2.62
5. სპინე ბაღდარი	ბორუსია (დ)	2.68
6. რომან პანიენსევიჩი	ბორუსია (დ)	2.69
7. მარინო გიოტცა	ბორუსია (დ)	2.74
8. მარინო გომიტი	ბაიერნი	2.75
9. პრისტიან შულცი	მაინცი	2.77
10. ოლივიერ ბაუმანი	ფრაიბურგი	2.79

ნენ, „კოილნის“ ნახევარმცველებმა, ვინმე ადამ მატუშკიმა და ვინმე მარტინ ლანიკმა ინავარდეს. და გააღმა თავისი განტყებების ვაცები, ოტლი და პრანიჩი მაინც 90 წუთი ათამაშა. ამ ეტაპზე სხვა გზა არ აქვს და იმითომ...

Flop რა სახელს აფუქავს ეს ბიჭი...

„ვოლფსბურგი“ „ჰანოვერთან“ აგებდა და მატჩის მიწურულს „მგლებმა“ პენალტი მიიღეს - ჰოგატეცი „ნითლების“ საჯარიმოში დიეგოს ეუხებდა. რაკი თერთმეტმეტრიანი ბრაზილიელის მიერ იყო მოპოვებული, დარტყმაც თვითონ მოინდოდა და როცა მათთან ახალნვეული პატრიკ ჰელმესი მიიღო, დამარტყმე ვინეო (ადრე „ვოლფსბურგში“ პენალტებს ედინ ჯაკო ურტყამდა), დიეგომ ზედაც არ შეხედა, უბრალოდ თავი გააქნია და გამომეტყველება ჰქონდა ისეთი, თითქოს ეუხებებოდა, შენ საერთოდ ვინ ხარო. ბრაზილიელმა პენალტი ვერ გამოიყენა (ბურთი ძელს მთარტყა), რის გამოც „ვოლფსბურგის“ მთავარი მწვრთნელი სტივ მაკლარენი სათადარიგოთა სკამიდან ნამოხტა და ხელ-ფეხის ქნევას მოჰყვა - სტივმა თამაშის წინ პენალტისტად ჰელმესი დანიშნა. დიეგოს კომენტარი: „ჩემი აზრით, პენალტი მე უნდა

ტურის ბიჭი

მანუელ ნოიერი (შალკე) „კიკერმა“ ტურის გმირად, რასაკვირველია, „შალკეს“ მეკარე დაასახელა. გულზე ვიხრხენული კლუბი რურის დერბიში რომ არ განადგურდა, მხოლოდ მანუელის დამსახურებაა.

ბოლს პლუს აასის რაიჩინაი

ფხეხუთელი	კლუბი	ბოლი	აასი	ქულა
1. მარინო გომიტი	ბაიერნი	16	3	19
2. არტურო პიდალი	ლევერკუზენი	9	8	17
3. პაპის დეგა სინა	ფრაიბურგი	15	1	16
4. თაოფანის ბაქსი	აინტრახტი	14	2	16
5. თომას მიულერი	ბაიერნი	6	8	14
6. დიდიია კონანი	ჰანოვერი	10	4	14
7. ლუკას ბარიოსი	ბორუსია (დ)	9	4	13
8. სრდინა ლაკიჩი	კაიზერსლაუტ.	11	2	13
9. მარკო რიუსი	ბორუსია (შ)	5	8	13
10. სანიად სალიჰოვიჩი	ჰოფენჰაიმი	5	8	13

ჩია და ზედმეტად მარჯვნივ იყო გადაწეული, რის გამოც კლემენსმა იოლად მიადნია მეკარე კრაფტამდე და მარტივად გაუტანა. მერე კი იმავე ნოვაკოვიჩმა, რომელიც ტანმალაღია და რაც არ უნდა მოინდომოს, შესასური სისწრაფე ვერც ექნება, ბადმტუბერს ორჯერ ისე გაასწრო, როგორც „პორშე 911 ტურბო“ გაასწრებს „პიუნდაი ტუკსონს“.

ჩემი გერმანელი კოლეგები გერმანულად ლადაბენ, თამაშის შემდეგ ბადმტუბერს „ბაიერნის“ ავტოზუსიც გაასწრებდაო.

Top ამხანაგო პინტო...

ქვემოასქონიური დერბის (ჰანოვერი-ვოლფსბურგი 1:0) წინ, „ნითლების“ ნახევარმცველმა სერჯიო პინტუმ ვოლფსბურგზე თქვა, როგორც ქალაქი, ოდნავადაც არ ვარგა, ეს ქალაქი კი არაა, „ვოლფსბურგის“ დიდი ქარხანააო. პინტუს ასეთმა გამოხტომამ ვოლფსბურგის ობერ-ბურგერმასტერი (ანუ, ქალაქის მერი) ძალიან გაანანცა. როლე მწელეკს პინტუს მოუწოდა, სიტყვებს ჭკუა დააყოლო. მთავარი კი ისაა, რომ პინტუმ სიტყვებს ჭკუა კი არა, საქმე დააყოლა. „ჰანოვერმა“ „ვოლფსბურგი“ სწორედ მისი მშვენიერი გოლით (25 მეტრიდან) დაამარცხა.

ეიროვნული Top გიგლიოთეკა პაზამ გლადახი ამოიჩემა

„შტუტგარტის“ რუს თავდამსხმელ პაველ პოგრეზნიაკს მიმდინარე სეზონში სულ შეიდი გოლი აქვს გატანილი და აქედან ოთხი მიონხენგლადახის „ბორუსიას“ შეუგდო - სამი პირველ წრეში, როცა შეგებმა „გლადახი“ 7:0 გაანადგურეს, ერთიც ახლა (3:2 „შტუტგარტის“ სასარგებლოდ). მოკლედ, პოგრეზნიაკი მიონხენგლადახელთა რისხვაა, თუმცა რისხვა ცოტა გადაჭარბებული ნათქვამია. მაინც, რა გააკეთა პაველმა? უბრალოდ, იდგა და დგას ხოლმე იქ, სადაც საჭიროა, თორემ სხვა მხრივ, მთელი თამაშის განმავლობაში ვერ შეამჩნევთ...

Top მარიო, მანუელი და კილი

18 წლის მარიო გიოტცე ნელ-ნელა გერმანელების უსაყვარლესი ფეხბურთელი ხდება. რურის დერბიში მან ისევე ძალიან მაგრად ითამაშა და ერთადერთი, რაც სრულყოფილებამდე დააკლდა, გოლი იყო. ბევრი იდრიობლიორა, თუ ცოტა, გიოტცე რამდენჯერმე გავიდა დასარტყმელ პოზიციაზე, მაგრამ ხან ბურთი ველარ ნაათრია, ერთხელ „შალკეს“ მეკარე მანუელ ნოიერს ვერ გასცდა, ორჯერ ნოიერმა აულო და ბოლოს, როგორც იქნა, პირისპირ კიდე ერთხელ გასულმა, მისი მოტყუება კი შეძლო, მაგრამ ამჯერად ბურთი ძელს მთარტყა.

ხელ გერმანის ნაკრები დორტმუნდში იტალიას ხედება. შოუ უნდა გაგრძელდეს!

Top ფორვარდი ბატახილი გულით

2011 წელს „კოილნის“ თავდამსხმელ მილოვიჩ ნოვაკოვიჩს მეტოქის კარისკენ ერთხელაც (!) კი არ ჰქონდა დარტყმული. თვით „ვერდერთან“ 3:0-ზე მოგებულ მატჩშიც კი არ დაურტყამს, არც ერთხელ! „ბაიერნთან“ კი ნოვამ სამჯერ დაარტყა და თანაც, ორი გოლი გაიტანა! არ დაგავინწყეთ, მაინც მაინც „ბაიერნთან“ და „თხებს“ თამაში მოაგებინა. საფინალო სასტყენის მერე კი ყველა რეპორტიორს უსიტყვოდ ჩაურბინა და კატაკომბეში გაუჩინარდა.

მოუხედავად კარიერის უმნიშვნელოვანესი დებულისა, ნოვაკოვიჩი მაინც შეუარცხოვნი იყო. საქმე ისაა, რომ იანერის მიწურულს, უფრო სწორად, ტრანსფერების ბოლო დღეს „კოილნს“ ჰამბურგის ფორვარდ ჩუპო-მოტინის ყიდეა უნდოდა და ტრანსფერი მხოლოდ იმიტომ ჩაიშალა, რომ „კოილნის“ ოფისში ფაქსის აპარატი გამოვიდა მწყობრიდან და როცა შეაკეთეს, სატრანსფერო ფანჯარა 12 წუთის დაბურული იყო. ნოვაკოვიჩი განანცენებული იყო იმის გამო, რომ „კოილნს“ ახალი თავდამსხმელის ყიდეა უნდოდა.

თხების „თავკაცმა“ ფრანკ შეფერმა მატჩის მერე თქვა, ჩუპო-მოტინის ყიდეა იმიტომ კი არ გვინდოდა, რომ „ნოვა“ არ მოგვწონს, უბრალოდ თავდასხმის გაძლიერება გვსურდაო. რა თქმა უნდა, რა თქმა უნდა... შეფერმა ახლა სწორედ ასე უნდა ილაპარაკოს, რათა ნოვაკოვიჩი უფრო მეტად არ გააბრაზოს. ჩუპო-მოტინი ხომ მაინც ვერ იყიდა და...

Top ბიჭო, ნოიერი, სადამდე?

იაკუბ ბლაშჩიკოვსკი, მარიო გიოტცე, ლუკას ბარიოსი, მატს ჰუმელსი, რობერტ ლევანდოვსკი - აი, იმ დარტყმუნდელი ფეხბურთელების ჩამონათვალი, რომლებმაც რურის დერბიში რეალური, ასპროცენტისანი საგოლე მომენტები ვერ გამოიყენეს. რატომ? იმიტომ, რომ „შალკეს“ კარში ნოიერი იდგა, რომელმაც ყველაფერი (ასალებიც, აუღლებიც) აიღო.

ნოიერთი ყველა აღფრთოვანდა, „ბორუსიას“ თავკაცმა იურგენ კლოპმა კი თქვა, მერე რა, გერმანის ნაკრების მეკარეა და ასეთი თამაში სწორედაც მისი მოვალეობაა, აბა, როგორ ვინდათო. რაც უფრო მედგრად უტყედა „დორტმუნდი“, ნოიერი მით უფრო მეტ რისკზე მიდიოდა. მატჩის შემდეგ მანუელმა თქვა, ხელბურთის მსოფლიოს ჩემპიონატს ვუყუბებდი და სპორტის ამ სახეობის მეკარეებისგან ბევრი რამ ვისწავლეო...

გვერდი მოხაზა ჯოტფრიდ ლინცმა

# სვალ: მუსი-რონადლო

## დუბლის ადგილი ჟინჯის ტბა

### ზოლოს და ზოლოს შინ

არის ახალი დი სტიფანო

უკვე ვნერდით, რომ მას შემდეგ, რაც ლეო მესის პეტიორიკის წყალობით „ბარსელონა“ „ატლელიკო“ დაამარცხა, არგენტინელის თამაშით აღფრთოვანებული მონჩინაო მდებარე გუნდის თავკაცმა კიკე ფლორესმა მას ამ საუკუნის ალფრედო დი სტიფანო უწოდა. რატომ მაინც დამაინც დი სტიფანო? საქმე ისაა, რომ ამ მოგებში „ბარსა“ ლეგენდარული ფეხბურთელის დროინდელი „რეალის“ რეკორდი დაამხო ზედიზედ მე-16 გამარჯვებით. იტალიელ ემიგრანტთა შთამომავალი, არგენტინაში დაბადებული-გაზრდილი დი სტიფანო კარიერაში სამი ქვეყნის ღირსებას იცავდა: არგენტინის, კოლუმბიის და ესპანეთის. „რეალის“ მაისურით „საეტა რუბია“ (დი სტიფანოს მეტსახელია) ესპანეთის ჩემპიონატის 282 მატჩში 216 გოლი გაიტანა. ეს შედარება კიკემ „რეალისა“ და „რეალ სოსიედადის“ დაპირისპირებაში გადაკეთა, რომელშიც კრიშტიანო რონალდო დუბლი შეასრულა. მართალია, პორტუგალიელმა ბომბარდირებმა ერთპიროვნული ლიდერობა ვერ დაიბრუნა, მაგრამ ახლა მას და მესის 24-24 გოლი აქვთ გატანილი. თუ გაიხსენებთ, რომ სეზონის დასაწყისიდან მხოლოდ 22 ტურია გასული და თან მესიმ რამდენიმე თამაში გამოტოვა, ეს ბიჭები უკვე აღარ ხუმრობენ...

მაგრამ დავუბრუნდეთ დი სტიფანოს თემას, ლეგენდარული ფეხბურთელი კიდევ ერთხელ „რეალის“ მატჩის შემდეგ ახსენეს „სამეფო კლუბის“ გენერალურმა დირექტორმა ხორხე ვალდანომ თქვა, რომ „ახალი დი სტიფანო“ მესი კი არა კრიშტიანო რონალდოა: „დი სტიფანოს მესის კი არა კრიშტიანო რონალდოს შევადარებდი. ვერ ერთი, ყველაფერს რომ თავი გაგანებოთ, რონალდო ატარებს იმავე კლუბის მაისურს. მეორეც, რონალდო ფასდაუდებელი ფეხბურთელია და ის კლუბის ისტორიაში ბევრ რეკორდს დაამხო. ჩვენ დედამიწის ზურგზე არც ერთ ფეხბურთელში მას არ გავცვლით. მაგრამ, რა თქმა უნდა, ვალდარებთ მესის ტალანტს, მტკიცებით, რომ ორივე უმალესი კლასის ფეხბურთელია და ბედნიერია ის კლუბები, სადაც ეს ორი ფეხბურთელი თამაშობს“, - განაცხადა ვალდანომ, ახალგაზრდობაში თავადაც კარგმა ფეხბურთელმა.

იმედია, ახლა კიკე ფლორესი და ხორხე ვალდანო ამ თემაზე პოლემიკას არ გააგრძელებენ და მესის და რონალდოს აცლიან კარიერაში იმდენივე ტიტულის მოპოვებას, რაც დი სტიფანოს ჰქონდა, თუმცა ცოტა კი გვეჭვჭვანა - მარტო ის რად ღირს, რომ დი სტიფანოს პრიმერა მ-ჯერ აქვს მოგებულები, ჩემპიონთა თასი (მაშინ ევროპის თასი ერქვა) - 5-ჯერ.

### XXI საუკუნის ტიტალური ფეხბურთელი

ახლა კიდევ ერთ ლეგენდას ვახსენებთ - იოჰან კრუიფს, „ფერინავი პოლანდელი“ „ბარსელონას“ ამჟამინდელ ბოსტონ კარგი ურთიერთობით არ გამოირჩევა, მაგრამ ის თითქმის არასდროს აკრიტიკებებს გუნდს, ხოსკე გვარდიოლასა და ფეხბურთელებს. პირიქით, „ბარსას“ ლეგენდა მათი თამაშით აღფრთოვანებულია - ბოლო სეზონში (კრუიფი რეგულარულად წერს „ელ პერიოდო დე კატალუნიაში“) კი მან ცაში აიყვანა დღევანდელი გუნდი და ძალიან იმეოთი ეპითეტები გაიმეტა. მას შემდეგ, რაც „ბარსელონა“ „რეალის“ 1960/61 წლების რეკორდი (ზედიზედ 15 მოგება ჩემპიონატში) დაამხო, კრუიფმა სეზონი დაწერა: „მ-ზე მეტი წლის წინ, პოლანდიის ნაკრებმა მუნდიალის ფინალში ნაგო, მაგრამ ყველა ახლაც დიდი აღფრთოვანებით იხსენებს იმ გუნდს და აფასებს მას. „ტიტალური ფეხბურთელი“ სწორედ იმ გუნდიდან მოდის. ეს იყო გუნდი, რომლის ფეხბურთელებიც კიდევ და დღემდე რომლის ფეხბურთელებიც დავაიქვით თამაშობდნენ. ეს იყო არნახული რამ მაშინ. ახლა თამაშად შეგვიძლია ვთქვათ, რომ ეს „ბარსა“ 21-ე საუკუნის ტიტალური ფეხბურთის თამაშობს. ამისკენ დიდი ნაბიჯი ჯერ ფრანკ რაიკარდმა გადადგა, ხოლო ხოსკე გვარდიოლამ ყველაფერი დააკვირვინა. ეს არის გუნდი, რომელიც

პრიმერას 22-ე ტურმა ლიდერობა შორის სტატუს-კვო შეინარჩუნა - „ბარსელონა“ ისევ 7 ქულით უსწრებს „რეალს“. სამაგიეროდ, „ავალენსიამ“ „ვილიარეალთან“ ჩამორჩენა ერთ ქულამდე შეამცირა, ხოლო ბასკური „ატლელიკო“ მეხუთე ადგილზე გაშვებულა. ბომბარდირთა დაევაში კი სრული თანაფარდობაა - ლეო მესის და კრიშტიანო რონალდოს 24-24 გოლი აქვთ გატანილი. დღიასთვის, ესპანურ პირველობაში ყველაზე დაძაბული და საინტერესო სწორედ „პირინისთვის“ ბრძოლაა.

თითოეულ თამაშში ისტორიას ქმნის, რომელიც ფეხბურთში რეკოლუციას ახდენს“. დაგვეთანხმები, ამაზე მეტი შეფასება უბრალოდ აღარ არსებობს...

### ზადის ნავიერი ადვანდო

ტოგოელი ემანუელ ადვანდო მესის გუნდში, „სამეფო კლუბში“ თებერვლიდან თამაშობს, თუმცა თავის გამოჩენა უკვე შეძლო - ვერ „სამეფო თასის“ ნახევარფინალში „სევილიას“ კარში ისტორიული გოლი გაიტანა (მე-5000-ე „სანტიაგო ბერნაბეუს“ ისტორიაში), ახლა კი, „რეალ სოსიედადთან“


მედებს ის, რომ მას ჩემი იმედი აქვს. კაცმა თამაშის შანსი მომცა, უნდა გავუმარტო კიდევ, რაც შემეძლება, ყველაფერს გავეაკეთებ საამისოდ, მე ხომ მსოფლიოში ყველაზე მნიშვნელოვან კლუბში ვთამაშობ“, - განუცხადა ადვანდომ „რეალის“ ოფიციალურ საიტს.

### მისი: ბარსას ხო, არგენტინას ვერ?

„ატლელიკო“ დამპირიყვებელი ლეო მესი ამჟამად კოვიდაშია. საქმე ისაა, რომ ოთხშაბათი ამხანაგური მატჩების დღეა და სერხიო ბაპტისტას ნაკრები პორტუგალიას უნდა გაეჯიბროს. ეს თამაში დიდ ინტერესს იწვევს, ვერ მარტო ის რად ღირს, რომ ერთმანეთის პირისპირ, უკვე საერთაშორისო დონეზე, ლეო მესი და კრიშტიანო რონალდო ითამაშებენ აი, რას ამბობს პორტუგალიელთა თავკაცი პაულო ბენტუ: „ჩემთვის ეს დიდი დაპირისპირებაა. და არა მარტო იმიტომ, რომ მესი და რონალდო მოედანზე შეხვედებიან ერთმანეთს. ფეხბურთში ინდივიდუალური დაპირისპირებები ფანებისთვისაა და ისინი ამ ორი ვარსკვლავის თამაშით დიდ სიამოვნებას მიიღებენ“.

### მონა ბორა ახსენა...

„რეალ სოსიედადის“ 4:1 დამარცხების შემდეგ უნდა მოუწინაო... მეორე ადგილი ახსენა. ნიშნავს ეს იმას, რომ „განსაკუთრებული“ ნებდება? თავად განსაჯეთ: „არაფერი საოცარი იმში არ იქნება, თუკი „ბარსელონას“ შემდეგ მეორე ადგილზე გავალთ, მაგრამ ჩვენ მას საჩუქრები



### XXII ტურის სიგელოვანი ნაკრები „მარკას“ გამომართვის მიხედვით

კასინოსი (რეალი) - ჩრბოსი (ბილბაო), პიმპი (პარსელონა), პიმპი (პარსელონა), მანა (ხუტაფე) - ჩამბი (პარსელონა), კახა (რეალი), მუნიაინი (ბილბაო), იონხილი (რეალი) - მესი (პარსელონა), რინალდო (რეალი).

ლა ლიგის გოლ-20

„დონ ბალონს“ ფეხსახეობი

ფეხბურთელი	გუნდი	თი	ქულა	საშ.
1. ლეო მესი	ბარსელონა	19	150	7,89
2. ანდრეს ინიესტა	ბარსელონა	22	161	7,32
3. ვუსაპე როსი	ვილიარეალი	21	153	7,29
4. ბორსა ვალერო	ვილიარეალი	20	143	7,15
5. დიეგო ალვესი	ალმერია	22	156	7,09
6. კრიშტიანო რონალდო	რეალი	22	158	7,09
7. სანტი კასორლა	ვილიარეალი	21	146	7,05
8. ნილმარი	ვილიარეალი	17	116	6,82
9. დაივი პილია	ბარსელონა	21	142	6,76
10. პაულო	ბარსელონა	22	148	6,73
11. დანი ალვესი	ბარსელონა	20	134	6,70
12. ჩავი	ბარსელონა	19	127	6,68
13. მესუთ იოხილი	რეალი	22	147	6,68
14. ნაზირ მარტინეტი	ბილბაო	20	133	6,65
15. ხოსე სორსა	ვილიარეალი	17	113	6,65
16. დიეგო ლოპესი	ვილიარეალი	22	146	6,64
17. ჩავი პრინტი	სოსიედადი	22	146	6,64
18. პარალა პუილი	ბარსელონა	16	106	6,63
19. დიეგო პასტრო	სპორტივგი	18	119	6,61
20. დანიელ პარესი	ხეტაფე	20	132	6,60

შეხვედრაში ანგარიშს საბოლოო წერტილი დაუსვა და ლა ლიგაში პირველი გოლი მიითვალა. „მონაკოსა“ და „არსენალის“ ყოფილი ფორვარდი, რომელიც „მანჩესტერ სიტის“ საკუთრებაა და „რეალში“ იჯარით თამაშობს, მადრიდში უზომოდ ბედნიერია: „ძალიან ბედნიერი ვარ. ყოველი ფეხბურთელის სურვილი თამაში და წარმატების მიღწევაა, რისი საშუალებაც ინგლისში არ მოქმედებდა, აქ მომეცა. მოედანზე თავს ახალბედასთვის უჩვეულოდ თავდაჯერებულად ვგრძობ. იცით რატომ? იმიტომ, რომ ახალმა თანაგუნდელებმა ძალიან კარგად მიმიღეს და გუნდში დამკვიდრება გამიძლიერა. ვფიქრობ, ჩემი თამაშის სტილი ესპანურ ფეხბურთის ძალიან კარგად შეწყობა, ამას უკვე დარწმუნებული ვარ. უნდა მოუწინაოთან ძალიან კარგი ურთიერთობა მაქვს. მა-

### ვალენსიას არგენტინელი ნახევარცენტრი კოსტა შესანიშნავად მოერგო

მან 22-ე ტურის უკანასკნელ მატჩში ბოლო გოლი გაიტანა და ამით ტურის წერტილი დაუსვა. როგორც ხშირად ხდება ხოლმე, ტინო კოსტას გოლი გამორჩეული იყო - ამჯერად მან საჯარიმო დარტყმით „ვალენსიას“ „ერკულესთან“ 2:0 მოაგებინა. მატჩის შემდეგ ტინომ აღიარა, რომ „ვალენსიას“ მიზანი უკვე ცხადზე ცხადია - მე-3 ადგილი, ამაზე მაღლა ოცნებას კი ახრია არა აქვს: „შაბათს ისეთი შედეგები დაფიქსირდა, რომ ჩვენს გამარჯვებას კიდევ უფრო დიდი ფასი დაედო. ჩვენი მიზანი მესამე ადგილია, რომელთანაც ახლა მხოლოდ ქულა გვაშორებს. „ვალენსიაში“ ყველაფერი მზარდობს, აქ ძალიან კარგი სიტუაციაა. ვთამაშობ თანამემამულეებთან, ჩორი დომინგესთან და ვერ ბანეასთან ერთად. ჩვენი სამთელი ძალიან შეთანხმდა, როცა ერთად ვართ, გუნდი უფრო სწრაფად თამაშობს“, - ამბობს ტინო კოსტა.

### რამ ჩააფიქრა სერასო და რა ელის კიკეს

ბოლო დროს „ატლელიკო“ საშინლად თამაშობს. არადა, გუნდის ხელმძღვანელობამ, ამას წინათ, ფეხბურთელებთან შეხვედრა მოაწყო, სადაც მათ განუმარტეს, რომ სეზონის ბოლომდე კიკე ფლორესს არ შეეცვლიდნენ. შესაძლოა, „ატლელიკოს“ პრეზიდენტი ენრიკე სერესო ახლა ნანობს ამ პირობას, თან არც გადათქმა სურს, თან ეჭვებიც ღრღინის: „ძალიან მაღელვებს რა დღემდე კლუბია, ფეხბურთელები ფანებს ვერაფრით ახარებენ, დროა, მოგებები დაიწყეთ. არ ვიცი, რა არის ჩვენი ჩავარდნის მიზეზი, მაგრამ თუკი „ატლელიკო“ სეზონის ბოლოს ოთხეულში არ შევა, სეზონს კრახად ჩაუთვლით მწვრთნელებს. ვიმედოვნებ, რომ ამ სიტუაციიდან გამოსავალს ვიპოვებთ. კიკეს გაშვებაზე ლაპარაკი ზედმეტია - ის სეზონის ბოლომდე „ატლელიკოს“ მწვრთნელია. მაგრამ ახლა მას და ფეხბურთელებს მოგებებს ვთხოვ. დაე, პირველი „ვალენსიასთან“ თამაში იყოს“.

### ესპანური კალენდარი

### ფეხბურთის

ფეხბურთელი

მოხსენიებული ესპანეთის ნაკრები „სანტიაგო ბერნაბეუზე“ ამხანაგურად კოლუმბიას გაეჯიბრება. მსოფლიოს ჩემპიონთა სამაგრი შემადგენლობა უკვე შემოვთავაზებთ, თუმცა ვისინი დედა ბოსკემ ერთი ფეხბურთელი ტრავმის გამო მოისაკლისა - „არსენალის“ კაპიტანი სესე ფაბრესას მუცლის პრობლემები აწუხებს და სამხრეთამერიკელებთან თამაშს ვერ შეძლებს. მართალია, 23 წლის ესპანელმა „ნიუკასლთან“ საოცარ მატჩში (4:4) მონაწილეობა მიიღო, მაგრამ თამაშის შემდეგ ეჭმებს გაუმიღია, რომ თავს ცუდად გრძობდა. ლონდონური კლუბის ექიმები ესპანელ კოლეგას დაუკავშირდნენ და მიილაპარაკეს, რომ ახლა სესეს მადრიდში ჩასვლა მიზანშეწონილი იქნებოდა.

ვისინი დედა ბოსკემ გადაწყვიტა, რომ ფაბრესას ნაცვლად არაჩინ მიინვიოს, „ფურია როხა“ მატჩისთვის მზადებას 20 კაცით აგრძელებს.

### ანდერის 8,5 მილიონად

ბილბაოს „ატლელიკო“ ოფიციალურად გამოაცხადა ის, რაზეც უკვე ერთი კვირა ესპანეთში ხმაბალობდა: ლაპარაკობენ - გუნდმა „სარაგოსას“ ნიქტერი გამოთამაშებული ანდერ ერერა გაიყვანა. 21 წლის ანდერის სანაცვლოდ ბასკები 8,5 მილიონ ევროს იხდიან, სატრანსფერო სეზონი დასრულებულია, ამიტომაც ანდერი 1 ივლისს გახდება ოფიციალურად ბასკური კლუბის წევრი, სეზონის კი ისევ არაგონულ გუნდში ჩამთავრებს. ფეხბურთელის სატრანსფერო ფასი შეიძლება კიდევ 2,5 მილიონით გაიზარდოს, თუკი ის გარკვეული რაოდენობის მატჩებს პირველივე სეზონში ჩაატარებს. ანდერი 2011/12 წლების სეზონიდან ოთხი წელი „ბილბაოსთვის“ გაისარგება. მისი გამოსყიდვა კი სხვა კლუბებს, პირველი ორი სეზონი 36 მილიონ ევროდ შეეძლება, ბოლო ორი სეზონი კი - 40 მილიონად.

ანდერის შექენა „ვალენსიას“ და „ვილიარეალსაც“ სურდათ, ეს უკანასკნელი კლუბი სატრანსფერო ფანჯრის დახურვის დღეს გააქტიურდა, მაგრამ ვერაფერს გამოიჩინა, რადგან თავად ფეხბურთელს მობილური ქალაქში, ბილბაოში თამაში სურს. ანდერი დღემდე ესპანეთის 21-წლამდელთა ნაკრების წევრი იყო, თუმცა ახალ ციკლში მას ასაკით აღარ უწევს თამაში. ასე რომ, ოთარ გაბელიას გუნდთან დაპირისპირებაში მას ვერ ვიხილავთ.

### პედრო ლეონი მილანს სურს

„მილანს“ „რეალის“ განაპირა ნახევარცენტრი პედრო ლეონის აყვანა სურს. „მილან ნიუსი“ იტყობინება, რომ იტალიური კლუბი შეეცდებოდა ზაფხულში მილანი სეზონით ივანთან აიყვანოს ფეხბურთელი, რომელსაც უნდა მოუწინაოთ ხელში თავის გამოჩენისთვის ძალიან მცირე მასნი მიეცა. ამბობენ, „რეალში“ პორტუგალიელ თავკაცს ყველაზე ცუდი ურთიერთობა სწორედ პედრო ლეონთან აქვს, სიტუაცია კიდევ უფრო გართულდა, რაც პედრო ლეონს ფერნანდო გაგოსთან მოუვიდა კონფლიქტი. შეგახსენებთ, რომ ამ კლუბებს შორის, კერძოდ კი ფლორენტიანო პერესსა და ადრიანო გალიანის შორის ძალიან კარგი ურთიერთობაა, რაც სამომავლო ტრანსფერს ნაადგება.

### ესპანეთში ყველაზე უიღბლო

სარჩიო ასანესო ყველაზე უიღბლო ფეხბურთელია თანამედროვე ესპანურ ფეხბურთში. მადრიდის „ატლელიკოს“ ყოფილი მეკარე დიდი ხანი არაა, რაც გამოწვევაა ლედის სერიოზული ტრავმისგან - შარშან მაისში მუხლი დაიშავა და მწყობრში მხოლოდ ნოემბერში ჩადგა. თითქოს უიღბლო პერიოდს წარსულს ჩაბარდა, მეკარე „ატლელიკოდან“ „მალაგაში“ გადავიდა, სადაც პირველი ნომერი გახდა და... „სევილიასთან“ მატჩის პირველი წუთებზე მუხლის ჯვარედინი იარაღი დაიშავდა ახლა წმთი იტულებით უჭიჭა მოუწევს.

ინტერვიუ. ლორან ბლანი

# ყველაფერი ფეხბურთელთა ხელშია

2010 წლის მსოფლიოს ჩემპიონატზე საფრანგეთის ნაკრებისგან საფეხბურთო ექსპერტები ბევრს არაფერს ელოდნენ, მაგრამ ის, რაც ამ გუნდს დაემართა, საყოველთაო აღიარებით, მაინც მოულოდნელი იყო. შიდა დაპირისპირებებმა „მამლებს“ ბანაკს დაატყო თავისი მსახურალი ხელი - გუნდი ჯგუფში უკანასკნელ ადგილზე გავიდა, თანაც ისე, რომ ერთი თამაშის მოგებაც ვერ მოახერხა. ასეთი ჩავარდნის შემდეგ რაიმონ დომენეკს თანამდებობა დაატოვებინეს. ყველასგან მოქალაქეული მწვრთნელის ადგილას კი 1998 წლის მსოფლიოს ჩემპიონთა კაპიტანი ლორან ბლანი დაინიშნა. ადამიანი, რომელმაც თავისი სამწვრთნელო კვალიფიკაცია „ბორდოში“ მუშაობისას დაამტკიცა. ფრანგები ამჟამად „ფიფა-კოკა კოლას“ რეიტინგში მე-19 საფეხურზე იმყოფებიან. ეს, რა თქმა უნდა, მათ თავმოყვარეობაზე უარყოფითად მოქმედებს. ბლანის სამწყსოს ხვალ მსოფლიოს ხუთგზის ჩემპიონი ბრაზილიელები „სენ დენზე“ ნამდვილ გაძროცდას მოუწყობენ. ამ შეხვედრის წინ ლორან ბლანი ფიფას ოფიციალურ საიტს ელაპარაკა.

პატივი ხშირად არ გვაქვს - მხოლოდ ამხანაგურ შეხვედრებზეა თუ მსოფლიოს ჩემპიონატებზე. ეს ჩემს ფეხბურთელებსაც ესმით და რასაკვირველია, სხვა შეხვედრებზე მეტად მოინდომებენ.

- ეს სულ სხვა სახის დაპირისპირება იქნება, არა ისეთი, ფიზიკურად ძლიერ ინგლისთან რომ გქონდათ ნოემბერში.

- ბრაზილიელები სხვა სტილში ირჯებიან და საინტერესო იქნება მათზე დაკვირვება. უნდა ვეცადოთ, რომ ისინი წინეში მოვაქციოთ, რისი გაკეთებაც ძალიან ძნელი იქნება. თუმცა ფეხბურთის ხიბლი სწორედ ის არის, რომ ყველაფერი შეიძლება მოხდეს.

- განსხვავებით ბევრი ყოფილი მცველისგან, თქვენ მწვრთნელობისას შემტევ ტაქტიკას ანიჭებთ უპირატესობას.

- ყველაზე მეტად ფეხბურთში რასაც ვეძებ, ეს არის ბალანსი. მე არ ვარ თავზე ხელაღებული სპეციალისტი, თუმცა მიყვარს, როცა ბურთს ჩემი გუნდი ფლობს და მეტოქისთვის თამაშის პირობების კარნახსა და გოლების გატანას ცდილობს. ჩემმა ნებისმიერმა შეგირდმა ძალისხმევა საერთო საქმისკენ უნდა მიმართოს. სწორედ გუნდურობა აძლევს



- მოსიე ლორან, მოდი, ბრაზილიასთან გამოძახებული 23-კაციანი სიით დავიწყოთ. კოშმლის ნაკრებში ხიზობა მოულოდნელი იყო.

- ლორანი კარგი ფეხბურთელია და მას სეზონის დაწყებიდან, ანუ „არსენალში“ გადასვლის დღიდან ვაკვირდებოდი. კოშმლში ყურადღება მიიქცია თავისი თამაშით. რაღაც პერიოდის შემდეგ უკვე დარწმუნებული ვიყავი, რომ იმსახურებდა ნაკრებში გამოძახებას, თუნდაც სიტუაციასთან შესაგუებლად. მერე რა, რომ ჯერ კიდევ 3 წლის წინ საფრანგეთის მესამე დივიზიონში ასპარეზობდა? ლორანმა სწრაფი პროგრესი განიცადა და არსენ ვენგერის ხელში პროფესიული ზრდის მეტი შანსი აქვს. მე მოწონს ამ ფეხბურთელის მინდვრის ხედვა და ბურთის დაჭერის უნარი.

- გუნდში არის სხვა სიურპრიზებიც. რამდენიმე ისეთი ფეხბურთელი გამოძახებულ, რომლებიც არ არიან ფორმაში. რატომ?

- გამოძახებით რამდენიმე მათგანისთვის მიხლოდა მიმენიშნებინა, რომ მოუხედავად იმისა, რომ ისინი ცუდად თამაშობენ, თუკი სანაკრებო ატმოსფერო მათში თავდაჯერებას გააღვიძებს, მზად ვარ, ეს შანსი მივცე. მათ ყოველთვის შეუძლიათ ჰქონდეთ ჩემი მხარდაჭერის იმედი.

- როცა თანამდებობაზე დაინიშნეთ, განაცხადეთ, რომ არ იცოდით, რამდენი ხანი დაგჭირდებოდათ გუნდის ასალორძინებლად. ახლა თუ გაქვთ ამ შეკითხვაზე პასუხი?

- ეს ყველაფერი ფეხბურთელებზეა დამოკიდებული. პასუხის გაცემა მხოლოდ მათ შეუძლიათ. ეს შეკითხვა ყველას ანუხებს და იმედი, სწორ პასუხებს მალე იმოვიან.

- ბრაზილიასთან თამაში ყოველთვის გამოცდას ჰგავს, თუნდაც ეს მატჩი ამხანაგური იყოს. ფიქრობთ, რომ თქვენი გუნდი ამ გამოცდისთვის მზადაა?

- რა თქმა უნდა, ეს იქნება ურთულესი თამაში. ჩემთვის ბრაზილია ფეხბურთის მექაა, რადგან წლიდან წლამდე ამ ქვეყანაში უამრავი ნიჭიერი ფეხბურთელი იბადება. მათ წინააღმდეგ თამაშის

ფეხბურთის თავის ხიზბლს. ჩვენ ძალიან ამბიციურები ვართ და ეს ამბიცია მუდამ უნდა გვქონდეს. ჩემს განკარგულებაში რამდენიმე ძალიან ნიჭიერი ახალგაზრდა ფეხბურთელია. მე ბოლომდე არც კი ვიცნობ მათ პოტენციულს და წარმოადგენა არ მაქვს, რამდენს შესწვდებიან ისინი. ერთადერთ რამეზე მწყდება გული, რომ მანდვილად არ გვაქვს იმდენი დრო, რომ ისინი ერთად ვავარჯიშოთ და სანაკრებო პროგრესს ამ გზით მივაღწიოთ.

- რომელ მატჩში დარჩით ყველაზე მეტად კმაყოფილი საკუთარი გუნდის ასპარეზობით?

- ბოსნიამ მოგებული მატჩი (2:0 ფრანგების სასარგებლოდ - რედ.), რადგან რამდენიმე დღით ადრე ჩვენ საშინაო შეხვედრაში ბელარუსებთან დასანანი მარცხი ვინჯინეთ. მართალია, ბოსნიამ ბიჭების თამაშს ბრწყინვალე არ ერქვა, მაგრამ მონდომება კი ნამდვილად ეტყობოდათ, მათ სურდათ დაემტკიცებინათ, რომ უკეთეს დონეზე შეეძლოთ თამაში. ჩემი გუნდის თამაშში რამდენიმე უცნობი მტრისი

დავიჭირე. სხენებული მატჩის უმეტესს ნაწილს ჩვენ ვაკონტროლებდით. ერთი სიტყვით, შეეძლოთ მეტოქისთვის ჩვენი თამაშის თავზე მოხვევა.

- საფრანგეთს საკვალიფიკაციო ეტაპის წარმატებით გავლის შესანიშნავი შანსი აქვს. ყველაფერი გვემის მიხედვით მიდის?

- რამდენიმე რთული დაპირისპირება უკვე გადავიტანეთ და რამდენიმე კიდევ წინ გველის. როცა დიდების გზას გსურთ დაუბრუნდეთ, ყველაფერი გვემის მიხედვით არასოდეს გამოდის. სწორედ ამიტომ არის ბრაზილიასთან შეხვედრა ასეთი მნიშვნელოვანი. ჩვენ პროგრესი უნდა განვაგრძოთ და ლუქსემბურგთან 25 მარტის შეხვედრას უფრო ძლიერები შევხვდეთ. უკანასკნელი 6 თვის განმავლობაში ყველაზე სუსტი მატჩი ჩვენ სწორედ მათ წინააღმდეგ ჩავატარეთ და ეს, რა თქმა უნდა, არ დავვიწყებია.

- თქვენი აზრით, რა არის მწვრთნელის შრომის მთავარი დანიშნულება?

- ჩემი საქმეა, დავაგროვო გამოცდილება და გაუზიარო ის ჩემს შეგირდებს, რათა მათ ამით გაუიოლდეთ დავალებების შესრულება. როგორც მწვრთნელმა, ნამდვილად ვიცი, რომ ფეხბურთელეებისთვის დახარჯულ ენერჯიას უკან ვერ დავიბრუნებ, მაგრამ იმ ცოტას, რასაც ვიღებ, ჩემთვის საკმარისია.

- რამდენიმე სიტყვით დაგვიხასიათეთ კარიმ ბენზემა, ფეხბურთელი, რომლისადმი ნდობას თქვენ მუდმივად გამოხატავთ.

- ის ჯერ კიდევ ძალიან ახალგაზრდაა და ამის მოხედვად, ამჟამად საფრანგეთის ნაკრების საუკეთესო ბომბარდირია. ის წარმოუდგენლად დიდი ტალანტის პატრონია. სწორედ ამიტომ ვამტკიცებ, რომ მას თავისი პოტენციული ჯერ ბოლომდე არ გამოუვლენია. ჯერ კიდევ ჩემს წინამორბედებს უნდა მიეცათ მისთვის იმის შანსი, რომ კარიმს ყველაფერი ეჩვენებინა, რისი შემძლეც იყო.

- რას იტყვით საფრანგეთის U-20 ნაკრებზე, რომელმაც ევროპის ჩემპიონატი მოიგო და ამ ზაფხულს თავის კონტინენტს კოლუმბიაში გასამართ მსოფლიოს პირველობაზე წარადგენს.

- მინდა ვთქვა, რომ მშვენიერი თაობაა. ამ ნაკრების რამდენიმე ფეხბურთელს განსაკუთრებულ ყურადღებას ვაქცევთ. ერთია, რომ მხოლოდ რამდენიმე მათგანს აქვს დიდ ევროპულ გუნდში თამაშის რეგულარული პრაქტიკა. ეს, რა თქმა უნდა, სერიოზული პრობლემაა. საფრანგეთის ფეხბურთის შედერაცია და კონკრეტულად მეც, ვაპირებთ, ნიჭიერ ყმაწვილებს გადაწყვეტილებების მიღებაში დავეხმაროთ. იმედი მაქვს, ისინი ამიერიდან ბევრად უფრო მეტს ითამაშებენ.

- დაბოლოს, საფრანგეთი-ბრაზილიის დაპირისპირება მუდამ ასოცირდება 1998 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალთან. მართალია, დისკვალიფიკაციის გამო ის შეხვედრა გამოტოვებ, მაგრამ მაინც გაიხსენეთ ის განცდები, რაც იმ საღამომ დაგიტოვათ.

- მხოლოდ კარგი მოგონებები შემომრჩა, რადგან საფრანგეთმა ის შეხვედრა მოიგო. ფეხბურთი მეტად გუნდური სპორტია და მთავარი ის არის, როცა ერთიანი მიზანი იმარჯვებს იმის მოხედვად, კონკრეტული ფეხბურთელები თუ რა დოზით მონაწილეობდნენ ამ მიზნის მიღწევაში.

ლევან გივილიაშვილი

ამბავი

## მილიტო ბაიერნთან არ იქნება

„ინტერს“ დიეგო მილიტო ერთი თვით გამოაკლდა, ასე რომ, არგენტინელი მილანურ გრანდს ჩემპიონთა ლიგის მერვედფინალში მიუხინესი „ბაიერნთან“ დააკლდება. შეგახსენებთ, რომ შარშან მილიტო „ინტერის“ შეტევების ნამდვილი ლიდერი იყო, ხოლო ლიგის ფინალში მან „ბაიერნს“ 2 გოლი გაუტანა. „ინტერის“ ექიმმა ფრანკო კომპიმი განაცხადა, რომ მილიტომ ტრავმა „რომასთან“ 5:3 დასრულებული მატჩის მიწურულს მიიღო. ეს ტრავმა კი ექიმმა ასე დაახასიათა: „მეორე კატეგორიის დაჭიმულობა ბარძაყის ორთავა კუნთზე“.

დიეგო მილიტო 100%-ით გამოტოვებს მიუნხენლებთან პირველ დაპირისპირებას, რომელიც 23 თებერვალს გაიმართება. ამ ამბავმა ლეონარდო დიდ საფიქრალში ჩააგდო, რადგან „ინტერის“ ახალი შენაძენი ჯამპალო პაცინი ჩემპიონთა ლიგაში ვერ ითამაშებს. მას „სამპდორიას“ რიგებში ჩემპიონთა ლიგის საკვალიფიკაციო ეტაპზე აქვს ნათამაშები.

„დიეგო არ უნდა ფიქრობდეს, რაც მოხდა, ახლა მან უნდა დაისვენოს და დაუბრუნდეს მოედანს, როგორც კი გამოჯანმრთელდება. საკუთარი თავი არ უნდა დააღანაშულოს ამასი, ტრავმა ტრავმაა“, - ლეონარდო ცდილობს, რომ დაამშვიდოს შეგირდი. დიეგო მილიტომ ამ სეზონში 16 მატჩში სულ 5 გოლი გაიტანა.

ეროვნული

### გივილიაშვილი



დიეგო მილიტო

## მაკლარენი გერმანიიდან გააგდეს



სტივ მაკლარენი

„მულსპურბის“ დირექტორმა დიტერ შიონესმა დაადასტურა, რომ გუნდის თავკაცი სტივ მაკლარენი თანამდებობიდან განთავისუფლებულია. „დიე ვოლფე“ ძალიან ცუდად ასპარეზობდა ინგლისელის ხელმძღვანელობით, გუნდს 23 ქულა აქვს 21 მატჩში და სულ ცოტათი უსრებს გავარდნის ზონას. „პირველი სეზონი ძალზე ცუდად ვითამაშეთ, შედეგები არც ახლა გვაქვს. სიტუაცია სავანგაშოა და ჩარევას საჭიროებს, ჩვენ მხოლოდ ერთი ქულა გვაშორებს გავარდნის ზონას, რომელსაც თავი, რაც შეიძლება მალე უნდა დავაღწიოთ“, - ვკითხულობთ „ვოლფსბურგის“ ოფიციალურ ვებსაიტზე.

სტივ მაკლარენმა ვერ შეძლო ინგლისის ნაკრების გაყვანა ევრო-2008-ზე, მაგრამ შემდეგ „ტვენტეს“ ერედვიზიის ტიტული მოაგებინა 2009/10 წლების სეზონში, საიდანაც გერმანიაში მოხვდა. დროებით გუნდს მწვრთნელის ასისტენტი და წარსულში გერმანიის ნაკრების ცნობილი გარემარბი პიერ ლიტბარსკი უხელმძღვანელებს. სტივ მაკლარენი 49 წლისაა, დამოუკიდებელი სამწვრთნელი კარიერა მან 2001 წელს „მიდლსბროში“ დაიწყო, მანამდე კი „მანჩესტერ იუნაიტედში“ მუშაობდა ასისტენტად.

ნიკოლოზ ნაწარნიძე

## ლევან ნოიკი გაგარია, გაგარია კითილია

ბერმანის ნაკრების ყოფილი მეკარე იენს ლემანმა „შალკესა“ და ბუნდესგუნდის ამჟამინდელი კიბერი მანუელ ნოიერი თან შეაქო და თან გააკრიტიკა. ლემანის თქმით, ნოიერს ყველა წინაპირობა აქვს იმისათვის, რომ ყველა დროის ერთ-ერთი საუკეთესო მეკარე გახდეს. თუმცა ლემანი მანუელში სისუსტესაც ხედავს.

„ერთადერთი, რაც მასში არ მომწონს, ისაა, რომ ძალიან კეთილია. მეკარე ცოტა უფრო აგრესიული უნდა იყოს და უფრო მეტად უნდა გაუნიოს ორგანიზება მცველების თამაშს. თუ უნდა, რომ მსოფლიოს საუკეთესო მეკარე გახდეს, უფრო ხშირად უნდა დაარტყას მუშტი მაგიდაზე“, - უთხრა ლემანმა „ბილდს“.

გოტფრიდ ლენცი

## გოვასი იტალიასთან არ ითამაშებს

„ბარინისა“ და გერმანიის ნაკრების თავდამსხმელი მარო გომესი შაბათს, „კოლინთან“ მატჩში (2:3) დაშავდა, რაც იმას ნიშნავს, რომ ხვალ ბუნდესგუნდს იტალიასთან ამხანაგურ მატჩში ვერ დაეხმარება. ბუნდესლიგის საუკეთესო ბომბარდირმა, რომელსაც ნაკრებში 41 მატჩი აქვს ჩატარებული, იოახიმ ლიოვს ტრავმის შესახებ გუშინ შეატყობინა. თუმცა გომესის ტრავმა სერიოზული არაა - მარო ვარჯიშს ოთხშაბათს ან ხუთშაბათს განაახლებს. ლიოვი გომესის ნაცვლად სხვა ფეხბურთელის გამოძახებას არ აპირებს.

გოტფრიდ ლენცი

**აქაინი ინვესტიციები**

თქვენი ბალანსი

- ბარინისპირაული შედეგები და ხარისხი
- უახლესი აპირაციული განვითარებები
- გადამხადილი თბა მუდმივი ინვესტიციები და პრემია
- გადამხადილი ნაწილობრივი (ბარინი, ლიონი) და ა.შ.)
- თქვენი მზანის რიანგისპირა და გეგმარება

თბილისი, ვაჟა-ფშაველას ქ. 116 №12  
www.hairline.ge  
E-mail: hairline@yahoo.com

**T: 30 00 30 893 62 32 62**

**კონსულტაცია უფასოა**



ქართული სპორტი

ბერძნულ-რომაული ძილეობა

# ეპროპაზა ლიდერების ბარეში

## ნახაპორი და ქართული მიდი-მოდი - ბერძენ-რომაელი წავიდნენ, თავისუფლები - მოვიდნენ

ბერძნულ-რომაული სტილით მოჭიდებულ ნაკრები სომხეთში, მაღალმთიან კურორტ ნახკაძორში გაემგზავრა, სადაც ფიზმომზადების შეკრებას გაივლის. ბეგი დარჩიას განკარგულებაში 18 სპორტსმენია, ნაკრების უკლებლო ყველა პირველი ნომერი მძიმეწონისან გურამ ფერსელიძის ვარდა. როგორც საქართველოს ჭიდაობის ფედერაციის მხრივ პრობლემები აღმოაჩნდა - გამოკვლევამ გულზე დარღვევები გამოავლინა და ამ ეტაპზე მისი ჭიდაობა გამოირიცხა. ის ვერც 25-27 თებერვალს გასამართავ ნიკოლა პეტროვის მემორიალზე იჭიდავებს ბულგარეთში და, შესაბამისად, ვერც ევროპის პირველობაზე გამოვა. მისი მავალითი კიდევ ერთხელ ადასტურებს, რაოდენ მნიშვნელოვანია საქართველოში თანამედროვე აპარატურით აღჭურვილი კომპლექსური სამედიცინო ცენტრის არსებობა - ამ შემთხვევაში არც ჯანმრთელობის მსგავსი ვადანერები გამოირჩება. საქმეს კლინიკებში შესამოწმებლად გაგზავნა არ შეეძლოს - ლაპარაკია კომპლექსურ გამოკვლევაზე, თორემ ახლა ისე ხდება, სპორტსმენებს ძირითადად იმაზე ამონებენ, რაც კონკრეტულ მომენტში აწუხებს. არადა, ამ დროს, შესაძლოა, სხვა რაღაც უფრო პრობლემური იყოს, მაგრამ ის მხედველობის მიღმა რჩება...

ამასობაში პეტროვის მემორიალზე წასაყვანი შემადგენლობაც გაირკვა: **ლაშა გოგიტაძე (55), რევაზ ლაშვი (60), არჩილ თურმანიძე (66), გენადი გოგიშვილი, ანტონ მამაგვიშვილი (74), ვლადიმერ გეგეშიძე (84), სოსო ჯაბიძე, ალექსანდრე დინამინჯია (96), დიმიტრი ჯაბა-ხიშვილი (120)**, თუმცა ჯაბახიშვილის ჭიდაობა ვერ კიდევ არაა გადაწყვეტილი.

როგორც ვხედავთ, იანვარში სტამბოლში გამართულ ვები ემერს მემორიალის მსგავსად, საქართველოს შარშანდელი საუკეთესო სპორტსმენი, ევროპის ბრინჯაოსა და მსოფლიოს ვერცხლის პრიზიორი მანუჩარ ცხადაია (66) არც ახ სიაშია - სამწუხაროდ, მან ვერც ვერ მოიპოვრა საქართველოს ჩემპიონატზე მიღებული ჭიანჭის შერყევის ავბედითი კვალი. მართალია, ის ნახკაძორში წაიყვანეს, მაგრამ სრული დატვირთვით ვერ იჭიდავებს და ვერ მოასწრებს მომზადებას. ანუ, მას არ ექნება სატურნირო პრაქტიკა, საქმის ასეთი განვითარება კი გვაფიქრებინებს, რომ ევროპის პირველობაზე არც ცხადაია გვეყოლება. თუმცა საბოლოოდ გადაწყვეტილი არც ეს საკითხია და მთავარი სიტყვა მწვრთნელებზეა. სამაგიეროდ, კონტინენტის პირველობას ჩვენი გუნდის ლიდერები, ევროპის, მსოფლიოსა და ოლიმპიური ჩემპიონი მანუჩარ კვიციანი (74) და ევროპის ორგზის, მსოფლიოს ჩემპიონი და ოლიმპიადის ვერცხლის პრიზიორი რამაზ ნოზაძე (96) რომ გამოტოვებენ, ეს ერევანში წასვლამდე დარჩაიამაც დაგვიდასტურა. ჩვენი სახელოვანი სპორტსმენები წლებადეულ სეზონში აქციეს 12-18 სექტემბერს სტამბოლში გასამართავ მსოფლიოს პირველობაზე აკეთებენ - იქ ლონდონის ოლიმპიადის საგზურებზეც გაიცემა, ყოველ წონაში 6-6.

პეტროვის ტურნირის სია ზოგიერთ წონაში იმ დასკვნის გაკეთების საშუალებასაც გვაძლევს, ვინ შეიძლება ვინილოთ 29 მარტიდან 3 აპრილის ჩათვლით დორტმუნდში გასამართავ ევროპის ჩემპიონატზე. ალბათ, იქ წასვლა ორმა ფალავანმა საბოლოოდ გაიხსნა - თურმანიძემ და გეგეშიძემ, რადგან ორივესთვის ეს სასტარტო შეჯიბრებაა. ახალგაზრდებში ევროპის შარშანდელი ვიცე-ჩემპიონი და მსოფლიოს ბრინჯაოს პრიზიორი თურმანიძე დარჩიას რჩეულთაგან ერთადერთი იყო, ვინც ემერს მემორიალზე მედლისთვის იჭიდავა. მართალია, მაშინ ბრინჯაოსთვის გამართული შეხვედრა წააგო, მაგრამ ის უტყუარად პირველად გამოდიოდა უფროსებში და ამის კვალობაზე საკმაოდ კარგად იასპარეზა. თან საქართველოს პირველობაც მოიგო. ასევე საქართველოს ჩემპიონია გეგეშიძეც, რომელიც ემერზე შეგნებულად დასავენეს - არ სჭირდებოდა ამდენი შეჯიბრება. ცოტა გაურკვეველია გოგიშვილის საკითხი - მან ემერს ტურნირი ტრავმის გამო გამოტოვა, თუმცა არადაც დარჩიამ იქ არავინ გამოცადა, ახლა კი ბულგარეთში გოგიშვილს მიჰყავს, ეტყობა, სავეროვოდ ფსონს მინც ამაზე ჩადის. 96-ში ჯაბიძე პოსტრავმულ პერიოდს

გადის - ნაავადმყოფარი კაცის კვალობაზე ემერზე ცუდად თითქოს არც ის გამოსულა, ბულგარული შეჯიბრება კი სატურნირო დეფიციტს შეუქცებს. აქ მწვრთნელს საქართველოს ჩემპიონი დინამინჯიაც მიჰყავს, მაგრამ ის ვერ კიდევ ახალგაზრდული ნაკრების წევრია (გულშინის იქაც მოიგო ქვეყნის პირველობა) და, შესაძლოა, ახლა მხოლოდ გამოცდილების მისაღებად მიჰყავს. ვფიქრობთ, ამ ეტაპზე ყველაზე გაურკვეველი მდგომარეობა მაინც 60, 74 და 120 კილოგრამ წონით კატეგორიებშია, თუმცა ეს მინც ჩვენი ვარაუდია, საბოლოოდ დასკვნას კი მწვრთნელები იღებენ.

როგორც ვთქვით, ბერძენ-რომაელები წავიდნენ ნახკაძორში, „თავისუფლები“ კი დაბრუნდნენ იქიდან - ორკვირიანი შეკრება გაიარეს ასევე ფიზმომზადებაში, 10 თებერვალს კი სტამბოლში გაემგზავრებიან ვები ემერს სახელობის „ოქროს დიდი პრიზის“ მეორე ტურნირზე. თურქეთში ჩვენი ნაკრები ასეთი შემადგენლობით გამოვა: **ვლადიმერ ხინჩგაშვილი (55), მალხაზ ზარქუა (60), კობა კაკალაძე, ილია ხუციშვილი (66), დავით ხუციშვილი (74), დავით მარსაკიშვილი (84), ბელდუზ გაგაშვილი (96), დავით მოძმანაშვილი (120). ზაზა თურმანიძე** დანაპირებს ასრულებს და ევროპის პირველობისთვის მოსამზადებელ ეტაპზე გუნდი საქართველოს ჩემპიონებით დააკომპლექტა. გამონაკლისი მხოლოდ 66 კილოგრამია, სადაც ქვეყნის ჩემპიონ ცოტა ბარამიძეს მოკალაქეობს ის შეცვლის შესახებ არსებულ რეგლამენტში შეტანილი ახალი კანონით ჭიდაობის საერთაშორისო ფედერაცია ჩვენი სახელით

გამოსვლის უფლებას არ აძლევს. ამიტომ მწვრთნელი აქ ქვეყნის ვიცე-ჩემპიონ ხუციშვილსა და ბრინჯაოს პრიზიორს, ევროპის ვერცხლისმედალოსან კაკალაძეს ცდის. შეიძლება გადაჭრით ითქვას, რომ ევროპის ჩემპიონატზეც ამ გუნდს იხიზავთ, თუმცა გაურკვეველია ევროპისა და მსოფლიოს ჩემპიონის, ოლიმპიადის პრიზიორ გიორგი გოგეშვილის (96) საკითხი - მიეცემა თუ არა შანსი. მან და ოლიმპიადის ბრინჯაოს, მსოფლიოს ვერცხლის პრიზიორმა **ოთარ თუშიშვილმა (66)** საქართველოს ჩემპიონატი გამოტოვეს, თუმცა თუშიშვილი რომ კონტინენტის პირველობასაც დააკლდება, ამას ლამის გადაჭრით ამბობენ.

აქვე გეტყვით, რომ ბერძენ-რომაელებისთვის პეტროვის „თავისუფლებისთვის“ კი დოგუს მემორიალი ბოლო სასტარტო შეჯიბრება იქნება ევროპის ჩემპიონატის წინ - ამის შემდეგ შეჯიბრებებში აღარ გამოვლენ.

დასასრულს, ერთი მოსალოდნელი დოპინგ-სკანდალის შესახებ, რომელიც ოფიციალურად ვერ არ განმარტებულა - ამბობენ, რომ ემერს ტურნირზე დოპინგზე ჩავარდა აზერბაიჯანელი ირანელი ნატურალიზებული ფალავანი, ქურთული წარმოშობის მსოფლიოს მედალოსანი **სამან ტახმასიზი (84)**, ეს ცნობა ოფიციალურად ვერ იმ უბრალო მიზეზის გამო არ გამოქვეყნებულა, რომ საერთაშორისო ანტიდოპინგური სააგენტო (WADA) მეორე ტესტის ჩატარებას, უბრალოდ, ვერ მოასწრებდა, მანამდე კი ოფიციალურად ვერ დადასტურებს. სამაგიეროდ, ეს ამბავი ჩვენ დავაზუსტეთ - აზერბაიჯანელებს პრობლემის მოსაგვარებლად კონსულტაციები ქართველ კოლეგებთან გაუვლიათ, თუმცა როგორც ესენი ამბობენ, ამ საქმეს არაფერი ემგველება. ისიც დავაზუსტეთ, რომ ტახმასიზის ფურსიმიდის კვალი აღმოუჩინეს, რომელიც თვითონ არაა სტიმულატორი, მაგრამ შარშანდელია და მას ხშირად იყენებენ ორგანიზმიდან დოპინგის კვალის გამოსაღწევად. სწორედ ამიტომაც ის აკრძალულია. ისიც შევიტყვეთ, რომ თურმე პირველ ტესტზე დადებითი პასუხი მავან აზერბაიჯანელ დიუდოსტსაც აღმოჩენია, ჩვენ კი დავძენთ, რომ სწორედ ფურსიმიდის გამო დღემდე იხდის სასჯელს დიუდოში აზერბაიჯანელთა მსოფლიოს პრიზიორი **ნიჯატ შიხალაძე (60)** - 20 წლის ასაკში ის მეორედ ჩავარდა დოპინგზე და ამიტომ ძალზე მკაცრად, ოთხწლიანი დისკვალიფიკაციით დასაჯეს. ისე, ტახმასიზი აზერბაიჯანში გადასვლის შემდეგ იმდენად კარგად აჭიდავდა, ცოტა კი გაგვიკვირდა, ასე ძლიერი თუ იყო, ირანის ნაკრებში რატომ დაკარგა ადგილი.

ირაკლი თავაძე



ირაკლი ცირეკიძე

ძილეობა

# სირიის ტაბაზა დაბრუნდა

საქართველოს პირველობაზე წონის ვერჩაბარებამ ყველაფერი თავდაყირა დააყენა. თუ სპორტი არ უნდა და არ ივარჯიშებს, ჩვენ მოქალაქე ირაკლი ცირეკიძეს ბინას არ ვუჭირავებთ - ასეთი იყო ოლიმპიური კომიტეტის პოზიცია. ვინც საქართველოს ჩემპიონატი გამოტოვა, მისთვის წლეულს ნაკრების კარი დახურულია - ეს უკვე ძიუდოსტთა ეროვნული გუნდის თავკაც **სოსო ლიპარტიანი**ს ვერდიქტი იყო. აი, სწორედ მაშინ დაირსა ხმები ოლიმპიური ჩემპიონის დიდი სპორტიდან წასვლის შესახებ. თუ ხელმძღვანელობას სურს, მე ისევ ვიჭიდავებ - ამ ყველაფრის საპასუხოდ მშვიდად განაცხადა ცირეკიძემ, რომელიც მის ირგვლივ აგორებულ ხმებსაც ისევე მშვიდად შეხვდა, როგორც - ტოკიოში მომხდარ უსაიმოვნო ამბავს.

ეტყობა, უკვე ყველა პოზიცია საბოლოოდ შეჯერდა - ცირეკიძემ ვარჯიშები განაახლა, საცხოვრებლად კი თბილისში, ოლიმპიური კომიტეტის მიერ დაქირავებულ ბინაში გადმოსახლდა. ვერჯერობით გაურკვეველია, მისცემენ თუ არა მას სალიცენზიო ტურნირებში ან მსოფლიოს ჩემპიონატში გამოსვლის უფლებას, თუმცა თავად ამისი ეიმედება. ის ნაკრებთან ერთად ივარჯიშებს. „ლიაზ, ვარჯიშები მართლაც განვაახლე, თბილისში ვივარჯიშებ და აქვე ვიცხოვრებ. ამ ეტაპზე ნაკრების მწვრთნელებთან ერთად მოვემზადებო ბურაბ ზვიდაურის აქაა, პეტერ ზაიზენბახერის, სოსო ლიპარტიანის და სხვების. ვიმედოვნებ, მსოფლიოს პირველობაზეც მოვახერხებ გამოსვლას და სხვა შეჯიბრებებშიც ჩავერთვები. ერთი სიტყვით, ლონდონის ოლიმპიადის საგზურისთვის ვიბრძობ“, - განაცხადა ცირეკიძემ.

ირაკლი თავაძე

ძილეობა



# ახალი მესვეურების ბრძელვადიანი პროგრამა

## მოსაოვრი შიქმანა ქართული ძილეობის ფედერაცია

ბაშული წლის ბოლოს შეიქმნა ქართული ძილეობის ეროვნული ფედერაციის პრეზიდენტი და პრეზიდენტის შემადგენლობა. ერთი თვის შემდეგ ახალმა გუნდმა განვითარების ოთხწლიანი პროგრამა უკვე შეიმუშავა. პროგრამაში განსაკუთრებული ადგილი ეთმობა სოფლის სკოლებში ქართული ძიდაობის გაკვეთილების დაწესებას, დახურული და ღია მოედნების მოწყობას, პარტნიორულ ურთიერთობას სხვადასხვა ქვეყნების ეროვნული ძიდაობის ფედერაციებთან. აგრეთვე ჭიდაობის საერთაშორისო ფედერაციის (ფილას) ტრადიციული ჭიდაობის კომისიასთან. პროგრამის ძირითადი მიზანი ცხოვრების ჯანსაღი წესის დანერგვის გარდა არის უშუალოდ ქართულიდან ჭიდაობის სხვადასხვა სახეობაში ნაკრები გუნდების შეგება. ერთი ციკლი, ანუ ერთი წელიწადი 400 000 ლარი დაჯდება. რაც შეეხება წლეულდელ შეჯიბრებებს, ის 18-19 თებერვალს, დიდშის სპორტკომპლექსში 1995-1996 წლებში დაბადებულ ჭაბუკთა პირველობით დაიწყება და წემებერში საქართველოს ფალავნობით დამთავრდება.

განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ინიციატივით 20-30 მარტს, რაიონული, 20-30 აპრილს - რეგიონალური, 20-30 ივნისს კი ფინალური ფესტივალი გაიმართება საქართველოს მოსწავლეთა შორის სპორტის სხვადასხვა სახეობაში. სამინისტრომ ეროვნული ჭიდაობაც ჩართო ფესტივალის კალენდარში. ამ ყველაფრის, თუ ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის იდეას საკლებო (გუნდურ) ტურნირსაც დაუმატებთ, რომელიც 2011 წლის ზაფხულ-შემოდგომაზე ნოიული სისტემით იმართება, ქართული ჭიდაობის მესვეურებს წლეულს ზღვა სამუშაო ელთი. როგორც წესი, „პრეზიდენტის თასი“, რომელიც უკვე ოთხჯერ ჩატარდა, 2011-შიც გათამაშდება. აქვე ქართული ჭიდაობასთან დაკავშირებულ ერთ ამბავსაც გავაცნობთ. რუსეთში (მოსკოვში) შეიქმნა ქართული ჭიდაობის ფედერაცია. ვიცით, მხოლოდ ერთი რამ - მისი პრეზიდენტი ვინმე გიორგი ქიაიაა.

გაბრიელ ბარჯაძე

სკანდალი



ბაშო ბაჟაძე, იასონია შოკოია

იასონიაში არნახული სკანდალი - იმის გამო, რომ რამდენიმე სუმიოსტი ჩანყობილ ორთაბრძოლებში გამოიჭირეს, სუმიოს ასოციაციამ საერთოდ გააუქმა...

SMS-ს არქივებში კი საინტერესო მესიჯები აღმოაჩინეს ახლა უკვე ჩანყობილ ორთაბრძოლებზე...

ნიკოლოზ ნაჭარიძე

სამოთხილავრობა

იასონი ფორბაში არ არის

ჩვენი ნაკრების ლიდერ იასონ აბრამაშვილზე ძალიან ცუდად იმოქმედა ერთთვიანმა იტლებითა უქმობამ სამშობლოში...

ჯიბრბაში გამოვიდა მას მერე. კვირას მან გერმანულ ბად ვიზუში საკმაოდ წარმომადგენლობით სლალომში ისრიალა...

ნიკოლოზ ნაჭარიძე

როგორები

ანა მიღვანელი იწყებს

ორშაბათი ჩოგბურთში რეიტინგების განახლების დღეა და ჩვეიც მსოფლიო კლასიფიკაციაში ქართველ სპორტსმენთა ახალ მდგომარეობას გაცნობთ...

მალიორკაში კალა მიორის კორტებზე 10-ათასიან ტურნირში იყოჩაღა. მალიორკაშივე ახალი, ანალოგიური საპრიზო ფონდის შეჯიბრება იწყება...

ნიკოლოზ ნაჭარიძე

კალოსნობა

სინკლარის ბაბუა ავლენს რჩეულებს

ჩვენი ქვეყნის 90 ძალოსანი მონაწილეობდა საქართველოს ლიგის პირველ ტურში, რომელსაც გლდანის ოლიმპიური რეზერვის მომზადების ეროვნულმა ცენტრმა უმასპინძლა...

გაცნობთ პირველი ტურის შედეგებით 6-6 საუკეთესო სპორტსმენისა და მწვრთნელის ვინაობას: ძალოსნები. ვია მაჭავარიანი (აჭარა, 395,2 ქულა), ალუდა მანავაძე (ქუთაისი, 382,1), ვაჟა ლონდაძე (ქუთაისი, 381,4), ნიკა ნანაძე (თბილისი, 353,5), შოთა მიშველიძე (ქუთაისი, 348,5), ზაურ დევაძე (თბილისი, 346,4). მწვრთნელები: ავთანდილ გაბოკიძე (აფხაზეთი, 1792,2), ბეჟან ჭიჭინაძე (ზუგდიდი, 1610,8), ზურაბ ანთაური (თბილისი, 1602,7), აბესალომ ბასილია (აჭარა, 1518,1), გურამ მამიაშვილი (წყალტუბო, 1421,8), თემურ ჯანჯღავა (თბილისი, 1415,9).

პირველი თებერვლიდან საქართველოს ნაკრების 10 ნევრი ორ მწვრთნელთან ერთად დუშეთის ბაზაზე იმყოფება და იქ ზედიზედ სამ სასწავლო შეკრებას გაივლის. მთავარი ორიენტირია პარიზის სალიცენზიო მსოფლიოს ჩემპიონატი...

ვაჟა დანელია

კარაქი

ყაბარისთვის კაბნიძეს მიხალჩიშინი მოაზადავს

ბიზრალტარის საჭადრაკო ფესტივალი, ტრადიციულად, მსოფლიოში უძლიერეს საერთაშორისო ტურნირად მიიჩნევა, რადგან მასში სახელოვანი დიდოსტატები იყრიან თავს. წლეულს შეჯიბრებაში 46 ქვეყნის 232 წარმომადგენელი მონაწილეობდა...



სალომე მელია (მარცხნივ) და ნანა ძაგნიძე

გუმინ საქართველოს ჭადრაკის ფედერაციაში გიბრალტარის გამარჯვებულებს შეხვედრა მოუწყვეს. ნანა ძაგნიძე: ხუთი ნელინაია, ახალ სეზონს გიბრალტარის ტურნირით ვინყვებ. 2009 წელს ქალეში პირველი ადგილი დაიკავე, თუმცა წლევეანდელი წარმატება ჩემთვის უფრო მნიშვნელოვანია...

რუ (ინდოეთი, 2607), ანტონეტა სტეფანოვა (ბულგარეთი, 2546), ჰია კრამლინი (შვედეთი, 2516), მაია ჩიბურდანიძე (საქართველო, 2502), მარი სებაგი (საფრანგეთი, 2489), ჟუ ჩენი (ყაზანი, 2497), ელინა დანიელიანი (სომხეთი, 2454), სოი იუშუა (ჩინეთი, 2484), ბათუიაგ მონგონთული (მონგოლეთი, 2410), ლილით მკრტიჩიანი (სომხეთი, 2475), მარტა ფიერი (ეკვადორი, 2363)...


ნიკოლოზ ნაჭარიძე

გულშემატკივრებს შეგახსენებთ, რომ ფიდეს ქალთა გრან-პრის ნინა სამ ეტაპზე ძაგნიძე პირველი, მეორე და მესამე ადგილები დაიკავა. სამი ეტაპის ჯამში 390 ქულით იგი მეორე ადგილზეა ჩინელი მსოფლიოს ჩემპიონის ჰოუ იფანის (410) შემდეგ...

სალომე მელია გიბრალტარის საჭადრაკო ფესტივალში პირველად მონაწილეობდა და დებოუტი იმითაც აღინშნა, რომ ვაჟთა დიდოსტატობის პირველი ნორმატივი შეასრულა. შეჯიბრებაზე საქართველოს ჩემპიონატის დამთავრებისთანავე გავემზადვარე, - გვითხრა სალომემ. - ცუდ ხასიათზე ვიყავი, რადგან ჩემპიონის ტიტული დავთმე. ზოგ დამაბრკოლებელ მიზეზთან ერთად საკუთარ თავსაც ვადანაშაულებ - პირველობისთვის სათანადოდ ვერ მოვემზადე...

ნიკოლოზ ნაჭარიძე

ლიღარობა განიგაჩიხას



თბილისის ჭადრაკის სასახლეში გრძელდება 18 წლის მოჭადრაკეთა საქართველოს პირველობა. გუმინ მე-6 ტურის შეხვედრები გაიმართა. გოგონებში ლიდერობა განიმტკიცა მერი არაბიძემ, რომელმაც თეთრი ფიგურებით ლიზი ტრა-

პაიძეს სძლია და 5,5 ქულით მეწინავეობს. მას ნახევარი ქული ჩამორჩება ლიკა კობეშვიცი. გუმინ მან ანა კუჭავა და-ამორცხა. გათამაშების ცხროლში ქულა ჩაინარა ნატო იმნაძემ (მარიამ ვალიშვილს მოუგო) და 4-4 ქულით ნანი უნაფქოშვილთან ერთად მესამე-მეოთხე ადგილებს იყოფს. უშუალოდ წარმართა ვაჟთა ტურნირიც: ნოდარ ლორთქიანი-ზურაბ ჯავახაძე 1:0, ირაკლი ბერაძე-გიორგი სიბაშვილი 1:0, ნიკოლოზ ქუშიასვილი-კახაბერ ნურეთელი 0:1, შალვა ნადირაშვილი-ალექსანდრე ებრაელიძე 1:0, გიორგი ნიკოლაშვილი-ნიკა ვოლკოვი 1:0. ექვსი ტურის შემდეგ 5,5 ქულით ლორთქიანიძე ლიდერობს. 4,5-4,5 ქულით მას კვალში მიჰყვებიან ჯავახაძე, ნადირაშვილი, ნურეთელი და ბერაძე. დღეს მე-7 ტურის ორთაბრძოლები გაიმართება. გოგონებში იმნაძე-არაბიძე, კობეშვიცი-უნაფქოშვილი; ვაჟებში. სიბაშვილი-ლორთქიანიძე, ჯავახაძე-ნადირაშვილი, ნურეთელი-ბერაძე.

ნიკოლოზ ნაჭარიძე



კალთბურთი

# მარკოვიჩი: გადმოვიხალეთ მეორე საფეხურიდან



აველინი-ვირტუსი. ვიქტორ სანიკიძის მორიგი სამჭულანო

იტალიის ჩემპიონატში წარმატებულ სვლას განაგრძობს „კანტუ“, რომელსაც ტრავმის მოშუშების შემდეგ მანუჩარ მარკოვიჩი დაუბრუნდა. კანტუელეებმა ბოლო ტურში ვეროლიგის წარმომადგენელ „რომას“ უმასპინძლეს და დაძაბულ ბრძოლაში 79:74 დაამარცხეს.

მანუჩარმა მატჩი სათადარიგოთა სკამიდან დაიწყო, 17 წუთში 7 ქულა, 3 მოხსნა და თითო ჩაჭრა-პასი მიითვალა. მან გამოცემა „ბასკეტენტისგან“ 6.5 ბალი დაიმსახურა.

კანტუელთაგან ყველაზე მეტი მაიკ გრინმა ჩააგდო - 18 ქულა, 10 მოხსნა.

ნამატჩევს მარკოვიჩმა ასეთი კომენტარი გააკეთა:

„იტალიის ჩემპიონატში მეორე ადგილზე ვართ, რაც ძალიან სასიამოვნოა. ეს იმას ნიშნავს, რომ ჩვენს შრომას შედეგი მოაქვს. თუმცა, გაჩერება არ შეიძლება, წინ გრძელი გზაა და ასევე მონდომებით უნდა ვიაროთ. დღეს ტაბულა მარკოვიჩი გვაკლდნენ, რომლებსაც გუნდში დიდი როლი ეკისრებათ, მაგრამ მათ გარეშეც ვაგვიმარჯვეთ, თუმცა შეცდომები გვქონდა. ახლა იტალიის თასისთვის უნდა მოვემზადოთ, სადაც წარმატებით თამაში ნამდვილად შეგიძლია.“

„აველინი“-„ვირტუსის“ მატჩის მიმოხილვას გაზეთ „კორიერე დელო

სპორტში“ ასე ჰქვია: „შევიჩი, ურავანი ბოლონიელთათვის“. მართლაც, პოლონელი შიმონ შევიჩის შეჩერება სტუმრებს ძალიან გაუჭირდათ. მან 36 ქულა და 17 მოხსნა მოაგროვა.

ვიქტორ სანიკიძემაც ორმაგი დუბლი შეასრულა - 17 ქულა და 12 მოხსნა. სწორედ ვიქტორს შეეძლო შევიჩის თამაში გაეფერმკრთალებინა - „აველინი“ დაემარცხებინა: სირენამდე 7 წუთით ადრე „აველინიელები“, რომელთა სათადად იგდოთა სკამზე მერაბ ბოქოლიშვილი იჯდა, 78:70-ს იგებდნენ. ნაგების საშიშროება რომ იგრძნო ვიქტორმა, თამაში საკუთარ თავზე აიღო, ჯერ სამჭულანო ჩააგდო, შემდეგ ჩატენა, ისევ სამჭულანო მიითვალა და - 80:80. ამის შემდეგ თამაში ქულა-ქულაში მიმდინარეობდა და ფრედ დასრულდა - 89:89. ოვერტიმში სანიკიძემ შეტევაშიც მოხსნა, თანაგუნდელებს პასითაც შეეცვლა, მორიგი ჩატენა მიითვალა, მაგრამ „ვირტუსი“ მარცხისგან მაინც ვერ იხსნა.

ვიქტორის თამაში გაზეთმა „ბასკეტენტმა“ 7 ქულით შეაფასა.

„კანტუს“ 13 მოგება აქვს და სატურნორო ცხრილში მე-2 ადგილზეა. მეოთხეა „აველინი“ (10 გამარჯვება), ხოლო „ვირტუსი“ მეექვსე პოზიციაზეა (9-9 მოგება-ნაგება).

10 თებერვალს იტალიის თასის გათამაშება დაიწყება. მეოთხედფინალში „კანტუ“ „ბიელას“ შეხვდება, „ვირტუსი“ - „მონტეგრანაროს“, ხოლო „აველინი“ - „მილანს“.

## ელისის გასროლა

მას შემდეგ, რაც ნიკა ციტიშვილი „ლაგუნ აროს“ მწვრთნელ პაბლო ლასოსთან პრობლემები მოაგვარა, თვითონაც კარგად თამაშობს და გუნდიც, ორმატჩიანი უქმობის შემდეგ ციტიშვილს ამდენივე მატჩი ითამაშა და ორივეში 12 ქულა ჩააგდო. ბოლოს ეს ვოკა ბოისას ყოფილ კლუბ „მენორკასთან“ საშინაო მატჩში გააკეთა.

ნიკამ შეხვედრა სათადარიგოთა სკამიდან დაიწყო, 16 წუთი ითამაშა და 12 ქულას 3 მოხსნა მიამატა. მან თამაშიდან 50-პროცენტით სიზუსტით ისროლა - 2-დან 1 ორქულიანი, 4-დან 2 სამიანი, ხოლო ოთხი საჯარიმოდან ერთიც არ აუცილებია.

სან-სებასტიანის „ლაგუნ აროს“ მე-17 ადგილზე მყოფი „მენორკას“ ძლევაც ცოტა გაუჭირდა: მეორე პერიოდი 21:11 მოიგო და დიდ შესვენებაზე 13-ქულიანი უპირატესობით გავიდა, თუმცა კუნძულელებმა ფარ-ხმალი არ დაყარეს, მესამე პერიოდი 20:10 მოიგეს და მეოთხე რაუნდში თამაში ქულა-ქულაში წარმართა. საბოლოოდ გამარჯვება სან სებასტიანელებმა მოიპოვეს - 77:72.

სეზონის პირველ ნახევარში ხშირი იყო შემთხვევა, როცა საქართველოს ნაკრების ყოფილი უკანახაზული ტაიორ ელისი მოედანს უჭულოდ კოვებდა. იანვრის ბოლოდან კი იგი ბომბარდირულ თვისებებს იბრუნებს.

„ესტუდიანტისის“ ბოლო მატჩში ელისმა სულაც 25 ქულა ჩააგდო და მადრიდელებს კატალონიამში ქუინტონ ჰოსლის „ხუვენტუდთან“ მოაგებინა - 95:86.

ელისმა ქულათა უხვი რაოდენობა 22 წუთით მოაგროვა (5-დან 2 ორქულიანი, 11-დან 7 სამიანი), რასაც 3 მოხსნა მიამატა. ტაიორის თანაგუნდელი სერხიო სანჩესი დაეხმარა - 16 ქულა, 10 პასი.

...ხოლო, საქართველოს ნაკრების კიდევ ერთი ლეგიონერის, ჰოსლის დამაჯერებელი თამაში „ხუვენტუდს“ წარმატებისთვის არ იყო. ქუინტონმა 32 წუთში 18 ქულა, 9 მოხსნა და 3 პასი მიითვალა.

დაგვრჩა კიდევ ერთი ქართველ-ამერიკელი, ტორინ გრინი, რომლის „გრან კანარიამ“ მეოთხეადგილოსან „კახა ლაბორალს“ 70:68 სძლია.

კანარელებმა პირველი ტაიმი 27:37 წააგეს, თუმცა მესამე პერიოდში თამაში გამოასწორეს და ბოლო ნახევარში თანაბარი ბრძოლა მიმდინარეობდა. ვინ გამარჯვდა და რა სხვაობით, ზემოთ გითხარით.

ტორინ გრინმა 22 წუთი ითამაშა და მონაგარი მხოლოდ 1 პასით შეივსო (5 სამჭულანო ააცილა).

აქვე გეტყვით, რომ ბუქა ბურჯანაძის „კახასოლმა“ „ალიკანტეს“ სტუმრად 77:67 აჯობა. ქართველი ახალგაზრდა განაცხადში არ იყო.



ციტიშვილმა მოგებით გაიხარა

გრინისა და ბურჯანაძის გუნდებს 20 მატჩიდან 10 აქვთ მოგებული და მეცხრე-მეათე ადგილებს ინანილებენ. ერთი მეტი გამარჯვება აქვს ჰოსლის „ხუვენტუდს“, რომელიც საპლიოფო ზონაშია (მე-8 ადგილზე). „ესტუდიანტისს“ 9 მოგება უნერია და მე-12 პოზიციაზეა, ერთი ნაკლები გამარჯვებითა და ამდენივე საფეხურით ქვემოთაა ციტიშვილის „ლაგუნ არო“.

ესპანეთში უახლოესი მატჩები 10 თებერვალს გაიმართება. სამეფო თასზე „გრან კანარია“ და „ხუვენტუდი“ იასპარეზებენ. პირველი „რეალს“ დაუპირისპირდება, მეორე - „ბარსელონას“.

## თექვსეათიანი რეკორდი



შიროკისთან ოლიმპიას შერმადინი გაუძლვა

ალბანეთის თასზე ლიდერობა დათმო გიორგი შერმადინის „ოლიმპიამ“. სლოვენელებმა კვირას ღამით ბოსნიამში „შიროკის“ წინააღმდეგ ითამაშეს და მინიმალური სხვაობით დათმეს - 85:86.

20 ტურის შემდეგ ოლიმპიელებს 12 მოგება აქვთ და ცხრილში მესამე ადგილზე არიან. პირველ-მეორე პოზიციებს ინანილებენ სერბული „პარტიზანი“ და სლოვენური კრკა. მათ 13-13 გამარჯვება უნერიათ.

გიორგი შერმადინმა ბოსნიამში 21 წუთში 16 ქულა ჩააგდო, რაც მისი სავერობო რეკორდია (ოფიციალურ შეხვედრებში). როგორც ჩანს, იგი მონაგარს ნელ-ნელა აუშფოტებს: „ბარსელონასთან“ 14 ქულა ჰქონდა, „მაქაბისტანს“ - 15, ახლა - 16. გიორგიმ „შიროკისთან“ 8-დან 7 ორქულიანი და 3-დან 2 საჯარიმო გამოიყენა. 16 ქულის გარდა მის ანგარიშზე 5 მოხსნა და 2 ჩაჭრა. „ოლიმპიას“ ბომბარდირი სასტარტო ცენტრი კვინი პინკნი გახდა, რომელმაც 19 წუთში 22 ქულას მოუყარა თავი. განაცხადში იყო და არ უთამაშია ვლადიმერ ბოისას.



ეროვნული ზიგლიროთეკა

თორნიკე შენგელია ლუუვენთან მატჩისას

## შენგელიას სეზონის მატჩი: სამი შვილიანი და ერთი ჩვილიანი

საქართველოს ნაკრების ახალგაზრდა ფორვარდმა თორნიკე შენგელიამ ბელგიის ჩემპიონატში საუკეთესო მატჩი ჩაატარა. მან „ლუუვენთან“ სტუმრად გამართულ შეხვედრაში 24 წუთი ითამაშა, 17 ქულა, 7 მოხსნა, 1 პასი და 3 ჩაჭრა მოაგროვა. თორნიკემ 8-8 ორქულიანი და საჯარიმო ისროლა, რომელთაგან 6 ორიანი და 5 თავისუფალი ტყორცნა გამოიყენა. საყურადღებოა, რომ 7-დან 5 მოხსნა მან მეტოქის ფარზე მიითვალა. კიდევ ერთი შვილიანი შენგელიამ მეტოქეებს ნესები სწორედ 7-ჯერ დაარღვევინა. თორნიკეს (რომელიც 7-ნომრიან მისსურს ატარებს) პარალელურად კარგად ითამაშა მისმა თანაგუნდელმა სტეფონ ჯექსონმა, რომელმაც 25 ქულა ჩააგდო. მათი დამაჯერებელი გარჯა „პეპინსტერს“ გამარჯვების საწინდარი გახდა, რომელმაც „ლუუვენს“ სტუმრად 83:73 სძლია.

მატჩის შემდეგ თორნიკემ გვითხრა: - პირველ ნრეში „ლუუვენთან“ მოგება გვერნდა დაგვემლო, მაგრამ მე-

ტოქემ ჩვენსავე მოედანზე დაგვამარცხა. მას მერე „პეპინსტერში“ ბევრი რამ შეიცვალა და განმეორებით შეხვედრაში დამსახურებულად მოვიგეთ. ძალიან საინტერესო მატჩი გამოვიდა. მეც კარგად ვითამაშე და მილიანად გუნდმაც.

შეიძლება ზოგმა არ იცის, რა ცვლილებები განხორციელდა „პეპინსტერში“ პირველი წრის მერე. მოვახსენებთ: ჩემპიონატის დასაწყისში წარუმატებელი გამოსვლის გამო მთავარი მწვრთნელი შეცვალეს და გუნდის თავკაცად აარონ მაქკარტის დანიშნის შემდეგ მდგომარეობა უკეთესობისკენ შეიცვალა: მოგებების რაოდენობამაც იმატა და შენგელიას სათამაშო დრომაც.

სადლისოდ, „პეპინსტერს“ 5 გამარჯვება, 10 ნაგება აქვს და სატურნორო ცხრილში მეხუთე ადგილზეა. მერე პოზიციას პეპინსტერელებმა თავი სწორედ ბოლო ტურში, „ლუუვენის“ ძლევით დააღწიეს.

## საქართველოს 16-წლამდელთა ნაკრები

### რაპოზ?

საქართველი-საქართველო 89:51

23:15, 18:8, 20:18, 28:10

საქართველო: პოლქვაძე (13ქ), ამირხანაშვილი, ლოლაშვილი (9ქ), ჯაფარიძე, ქობლაძე (2ქ), აბულაძე (2ქ), კ. ტომარაძე (2ქ), დარახველიძე (18ქ, 11მ), პულუზაშვილი, ლურსკაია, ქიხარია, ლომთაძე.

ჩინეთი-საქართველო 108:35

27:8, 29:2, 28:16, 24:9

საქართველო: ამირხანაშვილი (6ქ), ლოლაშვილი, ქობლაძე, აბულაძე (14ქ), ტომარაძე (2ქ), დარახველიძე (11ქ, 9 მ), პულუზაშვილი (2ქ), ლურსკაია, ქიხარია, ლომთაძე.

საქართველოს 16-წლამდელთა ნაკრები თურქეთის ქალაქ ვაზიანთებში საერთაშორისო ტურნირში მონაწილეობს. ჩვენმა გუნდმა ვაგუფური ეტაპის ორი მატჩი ჩაატარა და ორივეში დიდი

სხვაობით დამარცხდა. საფრანგეთთან 51:89 დათმო, ხოლო ჩინეთთან 35:108.

ასეთი ანგარიშების ხილვა ქართული კალათბურთის პერსპექტივაზე მოფიქრალთ ნამდვილად გულს „ჩაუნთავდა“ - ნუთუ, ჩინეთსა და ქართველებს შორის მართლა 73-ქულიანი სხვაობაა? თუ ჩინელები ბევრი იყვნენ?!

რატომ ფიქსირდება ასეთი დიდი სხვაობა? ამ კითხვაზე პასუხს ნაკრების მწვრთნელი გია კახანჯიანი გვეტყვის, რომელსაც ყველაზე მეტად სურდა ისეთი შემაგდებლობის შერჩევა, რომელიც მეტოქეებს ღირსეულ წინააღმდეგობას გაუწევდა. მაგრამ, ფაქტია, რომ ვერ შეარჩია და ისიც ფაქტია, რომ ბევრთა კალათბურთის განვითარების დონით ჩინელებსა და ფრანგებს საგრძნობლად ჩამოვრჩებით.

ეს საკითხი საფუძვლიანადაა შესასწავლი და მისახები, თორემ მონაწილეობა ერთხელ ნიჭიერი კალათბურთელის გამოჩენა და ნაკრების წარმატება „გაზაფხულს“ ვერ მოიყვანს.

P.S. საქართველოს კადეტთა ნაკრებმა გუშინ ირანელ თანატოლებთან 50:62 წააგო.

გვერდი მოაზრდა ვაჟა სიმონიშვილმა

ორ წელიწადში ერთხელ ნიჭიერი კალათბურთელის გამოჩენა და ნაკრების წარმატება „გაზაფხულს“ ვერ მოიყვანს

● **ერთა თასი**

**ნაკრებში სამი სვლილება**



საპარტიველს მორაგბეთა ნაკრები ერთა თასის ნლეგანდელი გათამაშების მეორე ტურის მატჩისთვის მზადებას შეუდგა. მომავალი მეტოქე 12 თებერვალს ესპანეთის ნაკრებთან იქნება, რომელმაც პირველ ტურში შინ ნაგო რუსეთის ნაკრებთან - 2:4:28.

„ბორჯღალოსნები“ ტრადიციულად ნახტომი, „ქორთინი“ მერდოტი და „ბანაქი“ გუნდის შემადგენლობაში რამდენიმე ცვლილებაა. პირველ ტურში, უკრაინასთან მატჩში დამაჯერებელი გამარჯვებით დაამარცხა მესამეხარისხიანი ნაკრები (მაცონი), მის ნაცვლად რიგი დიქსონმა რუმინეთის

„ფარულს“ მოთამაშე ლაშა თავარტილაძეს უხმო.

ფრანგულ კლუბებთან შეთანხმების საფუძველზე ნაკრების ბანიკი დარჯავილაძე (კლერმონი) და დავით ხინჯავილაძე (ბრივი). მათ ნაცვლად ნაკრების კვარტის მობირებელი ანტონ ფეიქრიშვილი (კასტრი) და ბექა შეყელაშვილი (აუენი).

საფრანგეთიდან ჩამოვიდა და ასევე სანგრეთელ შეკრებაზე იმყოფება მეორეხარისხიანი ლაშა თავარტილაძე (სენ რადანელი). ჯანმრთელობაზე და გუნდთან

ერთად ვარჯიშობს შუამარბი თედო ზიზიბაძე (პერიგო). დიქსონმა ესპანელებთან სათამაშოდ იხმო ქუთაისის „აიას“ გარემარბი ირაკლი ჩხიკვაძე.

**საპარტიველს ნაკრები**

პირველი სვლი: ანტონ ფეიქრიშვილი (კასტრი), ვასილ კაკოვინი (ბრივი), ბექა შეყელაშვილი (აუენი), ირაკლი ნატრიაშვილი (სტიაუა), ჯაბა ბრეგვაძე (ვისოლი/სოჩები).

მეორე სვლი: ლევან დათუნაშვილი (ფიუჟაკი), შალვა სუთიაშვილი (მასი), ვასტანგ მასისურაძე (სენ ნაზერი), ილია ზედგინიძე (სენ რადანელი).

მესამე სვლი: გია ლაბაძე (ლა სეინი), გიორგი ჩხიბიძე (მონპელიე), ლაშა თავარტილაძე (ფარული), ზივიად მასისურაძე (ლოკომოტივი).

№9: ბიძინა სამხარაძე (სტიაუა), ირაკლი აბუსერიძე (ოსერი).

№10: ლაშა მალაღურაძე (მეზი), მერაბ კვიციანიშვილი (ფიუჟაკი).

№12-13: დავით კაჭარავა (ნიცა), თედო ზიზიბაძე (პერიგო), ირაკლი გიორგაძე (ვალენსი).

№11-14: ლევან გუგავა (ლელო), ირაკლი მანანაშვილი (მაცონი), ბექა ურჯუკაშვილი (ფიუჟაკი), ირაკლი ჩხიკვაძე (აია).

№15: ბესიკ ხამაშურიძე (აია).

**II ტური. 12 თებერვალი**

საქართველო-ესპანეთი, რუსეთი-პორტუგალია, უკრაინა-რუმინეთი.

● **მსოფლიო ალაფა**

**ნილი ნაყარია, საქართველო B ჯგუფშია**

თბილისის ნლეგანდელი მსოფლიოს ახალგაზრდული ჩემპიონატის შესარჩევ ტურნირს უმასპინძლებს, რომელსაც ოფიციალურად „მსოფლიოს ახალგაზრდული ალაფა“ ჰქვია. შეჯიბრება 24 მაისს დაიწყება და 5 ივნისამდე გასტანს.

გუნდის სასტუმრო „რედისონში“ გამართულ პრესკონფერენციაზე ტურნირის დირექტორმა ფილიპ ბურდარისმა ტურნირის მნიშვნელობაზე ისაუბრა და ოფიციალურად გააცხადა, თუ როგორ გადანიშნავენ A და B ჯგუფში გუნდები.

**ფილიპ ბურდარისი:** „მოხარული ვარ, რომ თბილისში მეორედ ვიმყოფები და მეორედ მაქვს შანსი, განთქმული ქართული სტუმართმოყვარეობით ვისარგებლო. ძალიან მომწონს თქვენი სამზარეულო და ქართული, თბილი, კარგი ხალხი ხართ.“

ჩემი ამჟამინდელი ვიზიტის მიზანია, შევეჯიბნებინა, რადგან ახლა ტურნირის მოსამზადებელი ეტაპი, როგორც ვნახეთ, დასახულ გრაფიკს ბევრად ეუსწრებთ, რაც, ცხადია, მახარებს. იმედი მაქვს, რომ ტურნირის დაწყებისას ყველა პირობა შესრულებული იქნება.

დარწმუნებული ვარ, ტურნირი საინტერესო გამოვა. ამაში დიდად გვეხმარება სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტრო და ქალაქის მერია. მათი ძალისხმევით გარეშე შეჯიბრების გამართვა შეუძლებელი იქნებოდა.

საგულისხმობა, რომ ტურნირის მსვლელობისას, შესაძლოა, მსოფლიო რაგბის მომავალი ვარსკვლავები ვიხილოთ. ეს შეჯიბრება ახალ ზეღანდაში გასამართ მსოფლიო თასამდე ოთხი თვით ადრე ტარდება და გამოირჩევა არაა, რამდენიმე მორაგბე თავინთ ეროვნულ ნაკრებშიც მიიწვიონ.

თბილისში მსოფლიოს ახალგაზრდული ალაფაზე რვა გუნდი იასპარეზებს. ისინი ორ - A და B ჯგუფში გაეშენიან. საქართველოს ნაკრები B ჯგუფში მოხვდა. მას მეტოქეობას იაპონიის, კანადისა და ზიმბაბუეს ნაკრებები გაუწევენ. A ჯგუფში კი სამოა, რუსეთი, ურუგვაი და აშშ-ს გუნდები იასპარეზებენ.

თამაშებს „ავტალისა“ და „შეარდენის“ სტადიონები უმასპინძლებენ. ტურნირი 24 მაისს საქართველოსა და კანადის ნაკრებების მატჩით გაიხსნება. ფინალური შეხვედრა კი 5 ივნისს „ავტალის“ სტადიონზე გაიმართება.

აქედ უნდა აღინიშნოს, რომ უკვე მიღწეული მოლაპარაკება ადგილობრივ ტელევიზიასთან რვა მატჩის პირდაპირი ტრანსლაციის თაობაზე. თამაშების ხილვა ინტერნეტითაც იქნება შესაძლებელი IRB-ის ოფიციალურ ვებგვერდზე.

ტურნირის მომსახურებთან მსაჯები ურუგვაიდან, რუმინეთიდან, სამოა-დან, აშშ-დან და იაპონიიდან. თანამსაჯები იქნებიან სპორტულად, აქტიური, ბელადები, ესპანელი და ორი ქართველი რეფერი, ვია ამირხანაშვილი და უჩა ნარიშკინი. ვეფერობ, როგორც მოთამაშეებისთვის, ისე მსაჯებისთვისაც ეს ტურნირი შესანიშნავი სკოლა იქნება. მეტიც, ჩვენ გავხედებით საერთაშორისო მოვლენის მომსწრენი. საშუალება



მარცხნიდან: ლაშა ხუციანი, ფილიპ ბურდარისი, გიორგი გალდავა და მერაბ ჩიქობავა

გვექნება ვიხილოთ სხვადასხვა სტილის მიმდევარი გუნდების თამაში, რაც შეეჯიბრებას მეტ ელფერს შესძენს.“

**გიორგი გალდავა, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრის მოადგილე:**

„სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტრო და თბილისი მერია ყველაფერს აკეთებენ, რომ ეს ტურნირი მაღალ დონეზე ჩატარდეს. საამისოდ, რაგბის კავშირთან ერთად ყველაზე მოტივირებული ვართ. თვით ფაქტი, რომ ასეთი მაღალი დონის შეჯიბრების გამართვის უფლება მოგვცეს, ჩვენი ქვეყნის მიმართ გამოცხადებული დიდი ნდობის დასტურია. ტურნირის დასრულების შემდეგ დარწმუნდებით, რომ არჩევანში არ შემეცდარან.“

**მერაბ ჩიქობავა, თბილისის მერიის სპორტის სამსახურის უფროსი:**

„ხაზგასმით მინდა აღვნიშნო, რომ რაც ითქვა საქართველოს რაგბის კავშირის მიზანმიმართული, სწორი მუშაობის დასახურებას. მინდა მადლობა გადავუხადო ჩვენს სტუმარს მის მიერ უკვე განუხლები სამუშაოსთვის.“

ჩვენ ყოველ ღონეს ვიხმართ, რომ შეეჯიბრება მაღალ, ორგანიზაციულ დონეზე ჩატარდეს. ასეთი მაღალი დონის ტურნირების საქართველოში, კერძოდ კი თბილისში გამართვის ძალიან დიდი მნიშვნელობა ენიჭება. ამიტომ, დარწმუნდებით, რომ ყველაფერს გავაკეთებთ, რომ მზად დავხვედეთ“

**A ჯგუფი:** სამოა, რუსეთი, ურუგვაი, აშშ  
**B ჯგუფი:** იაპონია, საქართველო, კანადა, ზიმბაბუე

**I ტური. 24 მაისი**

რუსეთი-ურუგვაი, საქართველო-კანადა, სამოა-აშშ, იაპონია-ზიმბაბუე

**II ტური. 28 მაისი**

რუსეთი-აშშ, საქართველო-ზიმბაბუე, სამოა-აშშ, იაპონია-კანადა

**I ივნისი**


ურუგვაი-აშშ, კანადა-ზიმბაბუე, სამოა-რუსეთი, იაპონია-საქართველო

**ფინალი. 5 ივნისი**

**მსაჯები:** ხოაკიმ მონტესი (ურუგვაი), რადუ პეტრესკუ (რუმინეთი), ტიუ კომიტე (სამოა), ტიმ ლასკომბი (აშშ), ტაძო პირაბაიაში (იაპონია).

**თანამსაჯები:** ალფონსო ნოვიერა (პორტუგალია), ხორხე მოლაპერეისი (ესპანეთი), კენ ლამბრეტსი (ბელგია), ვია ამირხანაშვილი, უჩა ნარიშკინი (ორივე-საქართველო).

● **კვსიკარი**



**გოგნი თუ ვილკო?**

მეხსიერის ნლეგანდელი გათამაშება კარდინო, უელსისა და ინგლისის ნაკრებებს დაპირისპირებით გაიხსნა. პირთამდე გადამდებელი „მედიოქსი“ ქომამა შესანიშნავი მატჩი იხილა. „ომიგმა“ მაღალი დონის თამაში აჩვენეს და მასპინძლები, 26:19 დამარცხეს.

საგულისხმობა, რომ ინგლისის ნაკრების თავკაცმა მარტინ ჯონსონმა მსოფლიოს ერთ-ერთი საუკეთესო მგეზავი (თუ ყველაზე უკეთესი არა) ჯონი ვილკინსონი სათადარიგოთა შორის გაამწვინა. ძირითად გუნდში კი მისი ადგილი ტომი ფლუდმა დაიკავა, რომელიც მატჩის საუკეთესო მოთამაშედ დაასახელეს და ტურის სიმბოლურ ნაკრებშიც მოხვდა.

ტომი მართლაც შესანიშნავად ითამაშა და მე-14 წუთზე გარემარბ კრის ეშტონის მიერ გატანილი პირველი ლელო მთლიანად მისი დამსახურება იყო. ამას ისიც დაუმატეთ, რომ რაც დაარტყა, ყველა გაიტანა და გუნდს 13 ქულა მოუტანა (სამი საჯარიმო და ორი გარდასახვა).

ვილკინსონმა ფლუდი მატჩის 67-ე წუთზე შეცვალა და ერთი საჯარიმის გატანა მოახერხა.

უხვირო და საკმაოდ ცუდი სანახავი გამოდგა რომში, იტალიისა და ირლანდიის ნაკრებების დაპირისპირება. „სამყურებს“, როგორც ჩანს, მძიმე დროება უდგას და, რომ არა მათი ლიდერი ბრაიან ოდრისკოლი, მარცხს ვერ გადაურჩებოდნენ. გამარჯვება კი სტუმრებს ოდრისკოლის თაობის მეგზავმა, შეცვლაზე შესულმა რონან ოგარამ მოუტანა არეკნით - 13:11.

პირველ ტაიმში მირკო ბურგამასკოს ორ საჯარიმოს ჯონსონი სექს-ტონმა ერთი უპასუხა და „სკუადრა აჭურა“ 6:3 მოიგო. შესვენების შემდეგ ოდრისკოლი იყოჩაღა და 44-ე წუთზე, ინდივიდუალური ოსტატობის წყალობით, მსოფლიოს ლელო გაუტანა. სექს-ტონმა გარდასახა - 10:6.

თამაშის დამთავრებამდე ექვსი წუთით ადრე მასპინძლები ფულბეკ ლუკ მაკლინი წუთით დანინაურდნენ - 11:10. სამ ლელო ოგარამ არეკნი დაჰკრა და „სამყურები“ სამარცხენი მარცხისგან იხსნა.

ყველაზე საინტერესო და შოტლანდიის ნაკრებების მატჩი გამოდგა. პარიში, „სტად დე ფრანსზე“ „ლე ბლეშ“ მეტოქე 34:21 დამარცხდა. მასპინძლებმა „სკოტები“ აშკარად გაამარჯვებინა და პირველ ტაიმში საჯარიმო ლელოც კი გამოიშუშვეს.

„ნარმავებმა“, რომლებიც ახალ ზეღანდაში გასამართ მსოფლიო თასზე

საქართველოს ნაკრების მეტოქეები არიან, მონინალდმდეგეს უკანა ხაზის მწიკრი თამაში უპასუხეს. დინამიკაში არც მორიგე და საბოლოოდ სამი ლელო გაიტანეს.

თუმცა ფრანგებმა ერთი მეტის გატანა შეძლეს და სასახეობა დასახურებლობაში გამოჩნეული გარემარბი მაქსიმ მედარი იყო. შესანიშნავად ითამაშეს პირველხარისხილი ტომი დომინგო და ვილიამ სერვა.

ქართული ნარმობის ცხრა ნომერი დიმიტრი იაშვილი თამაშში 53-ე წუთიდან ჩაერთო და გუნდს შვიდი ქულა შესძინა (ორი გარდასახვა და ერთი საჯარიმო).

**კვსიკარი**

საფრანგეთი-შოტლანდია 34:21  
საფრანგეთი: 4ლ - მედარი, არინდო-კი, ტრაი, საჯარიმო. 4გ - პარა (2), იაშვილი (2), ს - იაშვილი. ა - ტრინ-დუკი.

შოტლანდია: 3ლ - კელოკი, ბრაუნ, ლა-მონტი. 2გ: პარქსი (2), ჯექსონი.

უელსი-ინგლისი 19:26  
უელსი: ლ - სტოდდარტი. გ - ს.ჯოუნსი. 2ს - ს.ჯოუნსი, ჰუკი.

ინგლისი: 2ლ - ეშტონი (2), 2გ - ფლუდი. 4ს - ფლუდი (3), ვილკინსონი.

იტალია-ირლანდია 11:13  
იტალია: ლ - მაკლინი. 2ს - ბურგამასკო. ირლანდია: ლ - ოდრისკოლი. გს - სექს-ტონი. ა - ოგარა.

**საბურთალოს მდგომარეობა**

	მ	გ	ფ	გ	ბ	ქ
1. საფრანგეთი	1	1	0	0	+13	2
2. ინგლისი	1	1	0	0	+7	2
3. ირლანდია	1	1	0	0	+2	2
4. იტალია	1	0	0	1	-2	0
5. უელსი	1	0	0	1	-7	0
6. შოტლანდია	1	0	0	1	-13	0

**II ტური. 12 თებერვალი**

ინგლისი-იტალია, შოტლანდია-უელსი, ირლანდია-საფრანგეთი

**I ტურის სიმბოლური ნაკრები**


15. ბენ ფოდნი, 14. კრის ეშტონი (ორივე-ინგლისი), 13. ჯო ანსბრო (შოტლანდია), 12. მაქსიმ მედარი, 11. მაქსიმ მედარი (ორივე-საფრანგეთი), 10. ტომი ფლუდი, 9. ბენ ინგვუ (ორივე-ინგლისი). 1. ტომი დომინგო, 2. ვილიამ სერვა (ორივე-საფრანგეთი), 3. მარტინ კასტროფოვანი (იტალია), 4. რიჩი გრი (შოტლანდია), 5. ბრედლი დევისი (უელსი), 6. ტომ ვუდი (ინგლისი), 7. ტიერი დუსოტუარი, 8. იმანოლ არინდო-კი (ორივე-საფრანგეთი).

გვირდნი მოამზადა  
ბესიკ ჯანგაძე



### უახლოესი სპორტი

#### ● ფორმულა 1



## გაიხანით მარუსია

მწიბრი გუნდი, რომელმაც მოახლოებული სეზონისთვის ახალი მანქანის პრეზენტაცია გაართვა, „მარუსია ვირჯინ რეისინგი“ გახდა. მოკრძალებული ცერემონია ლონდონში BBC-ის ტელესტუდიაში შედგა, სადაც ხელმძღვანელობამ გუნდის რესტრუქტურისა და სამომავლო გეგმებზე ისაუბრა.

MVR-02 - მეორე მანქანაა, რომელიც CFD-ის გამოთვლით აეროდინამიკული სისტემის გამოყენებით არის შექმნილი. მისი დებიუტი ხუთშაბათს შედგება - სწორედ ამ დღეს განახლდება ხერესში ოფიციალური ტესტები.

„2011 წელს ჩვენი მიზანი - პროგრესი და კარგი შედეგებია. პილოტების შესანიშნავი შემადგენლობა გვყავს - გამოცდილი ტიმო გლოკი და დებიუტანტი ჟერომ დამბროზიო, ხოლო ახალი მანქანა სერიოზული ნაბიჯია წინ ყველა მიმართულებით. სწორედ ასეთია პოლო 12-თვიანი დაბაჟული მუშაობის შედეგი“, - ამბობს გუნდის ხელმძღვანელი ჯონ ბუტი.

მარუსია ეს გუნდი „ვირჯინის“ სახელით გამოდის, მაგრამ რუსების მიერ მისი აქციათა პაკეტის შექმნის შემდეგ საჯინბოს ასე უწევა - „მარუსია ვირჯინ რეისინგი“.

#### ● სპორტული ოსკარები


## ნადალი და პონი

მწიბრულ დაბინძურებულ სპორტულ პრემიას - Laureus Sports Awards-ის დაჯილდოების ცერემონია გაიმართა. ტრადიციულად, 2010 წლის შედეგების მიხედვით „სპორტული ოსკარები“ რამდენიმე ნომინაციაში დარიდა.

წლის საუკეთესო მამაკაცი სპორტსმენი გახდა ესპანელი ჩოგბურთელი რაფაელ ნადალი, ქალებს შორის ანალოგიური პრიზი ამერიკელმა სამთომთხილამურემა ლინდსი ვონმა მოიპოვა.

„წლის გუნდის“ ნომინაციაში ესპანეთის საფეხბურთო ნაკრებმა გაიმარჯვა, „წლის დაბრუნებულ“ იტალიელი მოტობროლი ვალენტინო როსი მოინათლა. კარიერაში მიღწეული წარმატებებისთვის გამოარჩიეს ლეგენდარული ფრანგი ჩოგბურთელი ზინედინ ზიდანი.

შეგახსენებთ, რომ წლის საუკეთესო ათლეტებს 46 ცნობილი სპორტსმენის გამოკითხვის შედეგად ავლენენ, რომლებიც Laureus Sports-ის აკადემიის წევრები არიან.



ნადალის ახალი პრიზი

#### ● ამერიკელი ფეხბურთი

## აბილარამ აურია

14-წლიანი შესვენების შემდეგ „გრინ-ბეი პეკერზი“ ამერიკული ფეხბურთის ლიგის ჩემპიონი გახდა.

ამერიკული ფეხბურთის ფინალს „სუპერბოული“ ეწოდება და ის აშშ-ში წლის მთავარ სპორტულ მოვლენად მიიჩნევა. გადამწყვეტ მატჩში ერთმანეთს ხვდებიან ამერიკული საფეხბურთო კონფერენციისა და ეროვნული საფეხბურთო კონფერენციის გამარჯვებულები. „გრინ-ბეი პეკერზისა“ და „პიტსბურგ სტილერსის“ მატჩს ტელევიზორით 100 მილიონზე მეტმა ადამიანმა უყურა. შესვენებებზე 30-წამიანი სარეკლამო დროის ფასი სამ მილიონ დოლარს აღწევდა.

ფინალს დალასის Cowboys Stadium-მა უმასპინძლა, სადაც სარეკორდო რაოდენობის მაყურებელი შეიკრიბა - 105

ათასი. რაც შეეხება თამაშს, პირველ მეოთხედში წინ გასვლის შემდეგ „პეკერსმა“ მხოლოდ მატჩის ბოლოსკენ მისცა მეტოქეს დანების საშუალება. მაგრამ დასრულებამდე ორი ნუთით ადრე შეისონ კროსბის გოლმა ისევ თავის ადგილას დააყენა ყველაფერი - 31:25 „გრინ-ბეის“ სასარგებლოდ.

„პიტსბურგ სტილერსისთვის“ ეს იყო მეორე ფინალი არსებობის ისტორიაში, „გრინ-ბეი პეკერსისთვის“ - მეხუთე. ეს უკანასკნელი მეოთხედ გახდა ჩემპიონი, „პიტსბურგი“ კი ექვსჯერ ჩემპიონია.

ფინალის წინ კურიოზული შემთხვევა მოხდა - ცნობილმა მომღერალმა კრისტინა აგილერამ ამერიკის ეროვნულ ჰიმში სტრიქონები აურიო, რის გამოც ამერიკული ყვითელი პრესის პირველ გვერდებზე მოხდა.



აგილერამ ჰიმნი გადააკეთა

#### ● ფორმულა 1

## ბონს მოვიდა, მარუსია...

ძალიან ცუდად განვითარდა „ლოტუს რენოს“ პოლონელი პილოტის რობერტ კუბიცას ორი დღის წინანდელი ავარიის ისტორია. „ანდორას რალის“ მეხუთე კილომეტრზე ფორმულა 1-ის პილოტს მანქანა მოუსრიალდა, ტრასიდან გადავარდა და პირდაპირ დამცავ ბარიერს შეეჯახა. მანქანის წინა ნაწილი მთლიანად დაიშხრა.

კუბიცამ გონება დაკარგა, მის ჩეხ მტურმანს იაკუბ გერბერს დაზიანება არ ჰქონია და მან დამოუკიდებლად დატოვა მანქანა. ხელოვნური სუნთქვის მიღებით კუბიცა ვერტმფრენით სასწრაფოდ გადაიყვანეს გენუასთან ახლოს მდებარე საავიაციო ჰოსპიტალში.



კუბიცა კომაში იყო

პოლონელის სიცოცხლეს საფრთხე არ ემუქრებოდა, მაგრამ ხელი ისე ჰქონდა დაზიანებული, რომ მისი ამპუტაციის საკითხი დადგა. ოპერაცია თითქმის ხუთ საათს გაგრძელდა, რომლის მსვლელობისას ექიმები ცდილობდნენ დაზიანებული მარჯვენა ხელის ფუნქციის აღდგენას. საავადმყოფოში სასწრაფოდ გამოიძახეს პროფესორი იგორ როსტი, რომელიც ხელის ქირურგიაზე სპეციალიზირდება.

სწორედ მისი წყალობით პილოტს ზედა კიდური შეუნარჩუნეს. ოპერაციის შემდეგ როსტიმ უზრუნველყოფის გასრულებას, რომ დაზიანებული ხელის სრულად აღდგენას მინიმუმ ერთი წელი დასჭირდება.

„მაქსიმალური გავაკეთეთ, - განაცხადა პროფესორმა. - ოპერაციამ წარმატებით ჩაიარა, მაგრამ აღდგენის ზუსტ ვადებზე ვერ ნაადრევია ლაპარაკი. ჩემს პრაქტიკაში ყოფილა მსგავსი შემთხვევები. ზუსტად შემიძლია განვაცხადო, რომ კუბიცა წელიწადზე ადრე მწყობრში ვერ ჩადგება“.

„ლოტუს რენოს“ ბოსმა ერიკ ბუიემ აღიარა, რომ გუნდი ძალიან რისკავდა, როცა კუბიცას რალიში გამოსვლის ნებას აძლევდა: „კუბიცასთვის რალიში მონაწილეობის უფლება მიზნების ან ფულის გამო არ მიგვიცია. რობერტისთვის ეს პიზი იყო. მსგავსი ტურნირები მას გარკვეული ბალანსის მოძებნისა და ზედმეტი დამაჯერებლობის მოპოვებაში სჭირდებოდა. გვესმოდა, რომ ეს ყველაფერი ერთგვარ რისკთან იყო დაკავშირებული, მაგრამ პილოტის საინააღმდეგოდ არ ნავედით. მით უმეტეს ვიცოდით, რომ კუბიცა ყოველთვის პასუხისმგებლობით ეკიდებოდა თავის ნებისმიერ საქციელს“.

ამ დაზიანებების გამო უკვე დამაჯერებლად შეიძლება იმის თქმა, რომ კუბიცა გამოტოვებს 2011 წლის სეზონს. ბუიემ უკვე ირბა და დადასტურა, რომ პოლონელის შემცველი ბრანდილი ბრუნო სენა იქნება: „გუნდში დავუძახებ იმას, ვინც იდეალური ვარიანტი იქნება ჩვენი გუნდისთვის. ასეთად მე ბრუნო სენა მიმაჩნია“.

P.S. გუშინ გვიან გახდა ცნობილი, რომ კუბიცა ნარკოზიდან გამოვიდა და თითქმის აამოძრავა. ამავდროულად, საავადმყოფოს წარმომადგენელმა განაცხადა, რომ პოლონელ პილოტს კიდევ ერთი ოპერაცია დასჭირდება. გარდა ამისა, სამი-ოთხი თვე იქნება საჭირო ფეხის ძვლების შესაზრდელად.

#### ● კალათბურთი. NBA რეპუტარული ჩემპიონატი

## 12 ქულას საქმარისია

ლაბრუნ ჯეიმსმა ბოლო კალენდარულ წელიწადში მისთვის ყველაზე უარესი თამაში აჩვენა. ბოლოს 12 ქულა მატჩში „მეფემ“ 2010 წლის 27 იანვარს „მინესოტასთან“ მატჩში დააგროვა. ამიერიდან, სწორედ „კლიპერსის“ ლებრონისთვის ყველაზე უხერხული მეტოქე, რადგან კალიფორნიელების წინააღმდეგ 16 მატჩში მან საშუალოდ „მხოლოდ“ 23.1 ქულა დააგროვა.

თუმცა ლებრონის დაბალ შედეგებთან „მაიამისთვის“ ზარალი არ მოუტანია. მატჩის დებიუტი უცნაური გამოდგა. ჯეიმსი და დუეინ უეიდი მარტივ შეცდომებს უშვებდნენ, თავის მხრივ, ფლორიდლებს კარგად ჰყავდათ ჩაქვილილი „კლიპერსის“ ლიდერი ბლეიკ გრიფინი. უსაბამისად, თამაში თანაბარ ბრძოლაში წარიმართა. „კლიპერსს“ პრობლემები მეორე მეოთხედში დაეწყო, როცა მოედანზე რეზერვისტები გამოჩნდნენ. მასპინძელთაგან თამაშში მხოლოდ რაიან გომესი ჩაერთო წარმატებით, მთლიანად მატჩი კი ფლორიდლების კარნახით წარიმართა. დიდ შესვენებამდე 5 ნუთით ადრე კრის ბოშის ჩატენის შემდეგ „პიტის“ უპირატესობა 10 ქულამდე ავიდა.

წუთითა და 42 წამით ადრე დუაიტ „ბინტონად“ დაუფარა პერკინსმა, „სუპერმენმა“ ვერ მოითმინა და მსაჯეს უღრიალა, რის გამოც ტექნიკური ვარიანტი მიიღო. ეს მატჩის გარდამტეხი მომენტი იყო. სულ მალე რეი ალენმა სამქულიანი გაათანაბრა ანგარიში. მართალია, ბოსტონელები პირველად მატჩში წინ მეორე მეოთხედის ბოლო წუთზე გავიდნენ, მაგრამ მასპინძლებმა სრულიად დამსახურებული უპირატესობა მოიპოვეს დარჩენილ სამი მეოთხედი „ბოსტონმა“ მოიგო. მართალია, განადგურება არ ყოფილა, მაგრამ გასაოცარი გახლდათ ის დამაჯერებლობა, რომლითაც „კელტები“ ჯალოქერებს უსწორდებოდნენ.

როგორც ჩანს, სწორად მოიქცნენ „ინდიანას“ შეფები, როცა მწერთნელი შეცვალეს და გუნდი დროებით ფრენკ ვოგელს ჩააბარეს. ამ სპეციალისტის ხელმძღვანელობით „პეისერსმა“ ზედიზედ მეოთხე გამარჯვებას მიაღწია და გაიმყარა პოზიციები პლეი ოფის საგურისთვის ბრძოლაში. ამჯერად გრენჯერისა და კომპანის მსხვერპლი გახდა „ნიუ ჯერსი“, რომელიც უმედეგოდ ცდილობს აღმოსავლეთის ცხრილის ფსკერიდან ამოსვლას.

<b>მაიამი-ჰლიპერსი</b>	<b>97:79</b>
20:19, 27:17, 23:25, 27:18	
მ: უილი (28+8 მოხსნა+8 პასი+3 დაფარება), ბონი (16+7 მოხსნა), პაუსი (15), ჯეიმსი (12+6 მოხსნა+4 ჩაჭრა).	
კ: გრიფინი (21+16 მოხსნა), ფოი (15+5 მოხსნა), დევისი (14+6 პასი+5 ჩაჭრა), გომესი (12).	
<b>ნიუ ჯერსი-ინდიანა</b>	<b>86:105</b>
24:33, 19:23, 24:25, 19:24	
ნ: ლოპესი (13+5 მოხსნა), პარისი (13+7 პასი), მოროუ (11+5 მოხსნა).	
ო: უონსი (18), დანლივი (17), ფორჯი (14+6 მოხსნა), პეტერსი (11), გრინგერი (11), მაკრობერტსი (8+9 მოხსნა).	
<b>ნიუ იორკი-ფილადელფია</b>	<b>117:103</b>
31:24, 24:27, 31:29, 31:23	
ნ: სტაუდმბერი (41+7 მოხსნა+4 დაფარება), ფოლსი (25+10 მოხსნა), ფელტონი (13+13 პასი+3 ჩაჭრა), ჩენდლერი (12), დუგლასი (10), გალინარი (10+5 მოხსნა).	
ფ: ბრენდი (28+5 მოხსნა), უილიამსი (19), იანგი (16+5 მოხსნა), იგუოდლა (14+5 მოხსნა+8 პასი).	
<b>ბოსტონი-ორლანდო</b>	<b>91:80</b>
17:22, 29:21, 24:18, 21:19	
ბ: რონდო (26+7 პასი), პორსი (18+5 პასი), გარნეტი (16+9 მოხსნა), ალენი (11+5 მოხსნა), დევისი (11+6 მოხსნა).	
ო: პოვარდი (28+13 მოხსნა+3 ჩაჭრა), ანდერსონი (12+7 მოხსნა), რიჩარდსონი (10), ნელსონი (10).	



პოვარდს ნერვები მოუშალეს

დღის მატჩი, რა თქმა უნდა, „ბოსტონისა“ და „ორლანდოს“ დაპირისპირება იყო, რომელიც „სუპერმენ“ დუაიტ პოვარდის ბრწყინვალე თამაშითა და „მეფის“ შთამბეჭდავი საპურტით დაიწყო - 14:2. შაკილ ო'ნილის გარეშე მოთამაშე „სელტიქსმა“ ვერაფერი მოუხერხა სტუმრების ცენტრს. ანგარიში მხოლოდ მაშინ შემცირდა, როცა სემი პრედენმა თვალში თითი ატაკა პოვარდს და „სუპერმენი“ დასასვენებლად გაუშვა.

მასპინძლებმა კარგად იმოქმედეს პოვარდის ნერვებზე. დიდ შესვენებამდე 8

სამთო-სათხილამურო სპორტი

ბოლო რეაქცია გავლილია

ლინდსი ჰონი ჩემპიონატის სტარტს გამოტოვებს

სამთო მოთხილამურეებმა დაასრულეს მზადება მსოფლიოს ჩემპიონატისთვის...

ყველა გააკვირვა ამერიკელი ბოდე მილერის მესამე ადგილმა...

რაც შეეხება საერთო ჩათვლის ლიდერ ივიცა კოსტელიჩს...

რაც შეეხება მსოფლიოს ჩემპიონატის ერთ-ერთ ფავორიტ ლინდსი ჰონს...

აქ ბოლოს სლალომში შეჯიბრება ოთხი წლის წინ ჩატარდა...

რაც შეეხება გერმანულ გულმემატკვირებს...

სამაგიეროდ გერმანულმა პუბლიკამ მეორე დღეს გაიხარა...

რეზენსბურგის ოილი გამარჯვება იმითაც იყო განპირობებული...

თუ ცვიხელში მყურებელმა ლოგიკური შედეგები იხილა...

ჰანეს რაიპელტი სუპერგიგანტში უძლიერესა შორის არასოდეს შედიოდა...



ვიქტორია რეზენსბურგა

საერთო ჩათვლა

1. მარლის შილი (ავსტრია) - 1:55.19; 2. ვერონიკა ზუხულოვა (სლოვაკ) - +0.68; 3. ტანია პოლტაინენი (ფინ) - +1.78; 4. მანუელა შიგელი (იტალია) - +2.41; 5. სარკა ზაროზკა (ჩეხ) - +2.63; 6. კატრინ ცეტელი (ავსტრია) - +2.76...

საერთო ჩათვლა

1. ვიქტორია რეზენსბურგი (გერ) - +1:36.96; 2. ფედეროვა ბრინიონე (იტა) - +0.53; 3. კატრინ ცეტელი (ავსტრია) - +0.89; 4. ანემონ მაროტანი (საფ) - +0.97; 5. ელიზაბეტ გიორგლი (ავსტრია) - +0.97; 6. ანდრეა ფიშბახერი (ავსტრია) - +1.08...

საერთო ჩათვლა

1. მარია რიში (გერ) - 1:25.6; 2. ლინდსი ჰონი (ავსტ) - 1:10.0; 3. ელიზაბეტ გიორგლი (ავსტრია) - 6:78; 4. ტანია პოლტაინენი (ფინ) - 6:76; 5. ჯულია მანკუსო (ავსტ) - 5:74; 6. მარლის შილი (ავსტრია) - 5:44...

საერთო ჩათვლა

1. ჰანეს რაიპელტი (ავსტრია) - 1:43.91; 2. ბენჯამინ რაიხი (ავსტრია) - +0.34; 3. ბოდე მილერი (ავსტ) - +0.93; 4. კარლო იანკა (შვეიც) - +1.15; 5. ივიცა კოსტელიჩი (სლო) - +1.19; 6. ალექსის პინტურალი (საფ) - +1.24...

საერთო ჩათვლა

1. ფილიპ შერგოფერი (ავსტრია) - 2:46.44; 2. ჩიტოლ იანსრუდი (ნორ) - +0.17; 3. კარლო იანკა (შვეიც) - +0.20; 4. ჰანეს რაიპელტი (ავსტრია) - +0.21; 5. მარკ ბერტო (შვეიც) - +0.41; 6. დიდი უში (შვეიც) - +0.47...

საერთო ჩათვლა

1. ივიცა კოსტელიჩი (სლო) - 1:24.9; 2. დიდი კუში (შვეიცარია) - 7:25; 3. აქსელ ლუნდ სვიდლო (ნორ) - 7:13; 4. სილვან ცურმბორგენი (შვეიც) - 7:03; 5. რომედ ბაუმანი (ავსტრია) - 5:75; 6. კარლო იანკა (შვეიც) - 5:74...

სხელი სპორტი

უახლესი შედეგები

პარაბატი-შახტარი 1:0

ინგლისი League Trophy

მესამეტი-პრინციპალი 1:2

იგალია სერია B

ლივონო-ვიჩინა 0:1

სლალომი II დივიზიონი

სელტა-ნუვასია 4:0

გერმანია II ბუნდესლიგა

მიუნხენი-ფორტუნა 1:1

საუარაგათი II დივიზიონი

ტური-ვიანი 1:0

პოლანია II დივიზიონი

ტელსტარი-ბალვიკი 0:1

ალჰერი-მასტრისტი 2:4

ეროვნული

საერთო ჩათვლა

ოფი-ონიონი 3:1

ეთნიკი-დიამონა 4:3

პოკი დანი

სინდარი-სი-ოლგოვი 3:2

როგოვო ATP. კოზა და საუნი

ვოლანდრი-პანესკუ 7:5, 6:1

ATP. სანდოვი

ჩილი-ზვერევი 6:2, 6:4

დავიდენკო-ლორა 3:6, 6:7

ტრიტი-პორელი 6:2, 7:6

ტურსუნოვი-გოლუბევი 6:4, 7:5

მელცერი-პუტა გალუნგი 6:4, 6:4

ATP. სან სოსა

რასელი-კუნეცოვი 6:4, 6:2

შმიცი-ფარა 7:5, 3:6, 6:3

WTA. პარიზი

ბენეშოვა-ბაროსი 7:5, 4:6, 4:6

WTA. პაბანი

კუკოვა-ჟანგი 4:6, 2:6

ლერტჩევიკარი-კრეიბასი 3:6, 3:6

ჩანი-პენგი 6:7, 0:6

ბრიანტი-კირილენკო 0:6, 6:4, 2:6

სხელი სპორტი

8 თებერვალი. საშაბათი

HTB-პლუსი (სპორტი)

04:00 ჰოკეი. NHL რეგულარული ჩემპიონატი...

HTB-პლუსი (ოფლინი)

22:55 მძღვოსობა. საერთაშორისო ტურნირი...

HTB-პლუსი (კალათბურთი)

04:00 NBA რეგულარული ჩემპიონატი...

SPORT+

19:40 ფრენბურტი. ჩემპიონთა ლიგა...

EUROSPORT

13:30 სამთო-სათხილამურო სპორტი...

აზხაბი

კრივი

ვალენს ზაფხული ვალით

ცნობილი რუსი მიმდევროსანი ნიკოლაი ვალუევი...

ვერჯერობით ეს მხოლოდ ვარაუდია...

შეგახსენებთ, რომ ვალუევიმ გასული წლის ბოლოს...

უიკი

ბოსტონელი სპორტი დანსკული

„ბოსტონ რეპლიკის“ ერთ-ერთი წამყვანი ფორვარდი მარკ სავარი...

კალათბურთი

შაიკი ოლ სპარაფა ვერ ითამაშებს

„ბოსტონ სელტიკის“ ვეტერანი ცენტრმა შაკილი ო'ნილმა...

ამჯერად უთამაშებლობის მიზეზი აქტიურობის მცდელობა...

გვერდი მოახზადა გაი თვალაპიჯივინა

ჰოკეი. NHL რეგულარული ჩემპიონატი

ფორსბერგი დაბრუნდა

ლინდსი ჰონმა შედემა ჰოკეისტმა პეტერ ფორსბერგმა...

დებიუტი 9 თებერვალს „მინესოტასთან“ მატჩში...

შედი ფორვარდი 1991 წლის დრაფტის მეექვსე ნომერი იყო...

ჩემპიონი-პრინციპალი 3:0

1:0, 1:0, 1:0

გოლები: 1:0 ლიონი-11 (ერსკინი-7, მ. პერი-6), 2:0 იოპანსონი-7 (მულცი-7), 3:0 ნუბლი-13 (პენდრიქი-9).

მონკალი-ნიუ ჯერსი 1:4

0:2, 1:1, 0:1

გოლები: 0:1 ზუბრუსი-10, 0:2 კოვალენკო-16 (კ. უაიტი-3, ზაიცი-21), 0:3 ზაიცი-9 (ვოლჩენკო-4), 1:3 სუბანი-6 (გომბი-21, პასიორტი-8), 1:4 კოვალენკო-17 (ზაიცი-22).

ბაზა ბუი-სტ. ლუისი 4:3 (ო)

1:0, 2:3, 0:0, 1:0

გოლები: 1:0 სტეკოსი-40 (ბ. კლარკი-13, სენტ ლუისი-43), 1:1 ბერგლუნდი-12 (სტინი-24, ომი-10), 2:1 მური-9 (სტეკოსი-30, მ. ბერგერი-1), 2:2 ბეკი-17 (სტინი-25, დ. აგოსტინი-15), 2:3 ნიკოტინი-1 (მაკლენი-10), 3:3 დაუნი-6 (სტეკოსი-31, სენტ ლუისი-44), 4:3 ლეკავალი-9 (მ. ბერგერი-2, სტეკოსი-32).

კრივი

ჩემპიონმა ხართან ნაბო

50 ქილოგრამამდე წონით კატეგორიაში WBA-ის ჩემპიონმა ლუის კოსტესონმა...

ლუისი ქრილობის მიღებისთანავე საავადმყოფოში გადაიყვანეს...

25 წლის კოსტესონის პროფესიულ რინგზე 23 ბრძოლა აქვს ჩატარებული...

პანამელმა 22 გამარჯვება (17 - ნოკაუტით) მოიპოვა და ერთხელ დამარცხდა.

როგორ

ტენისის მსოფლიო

როგორ დაიწყო

ბასსულ კვირას ATP-ის ტურში გამართული სამი ტურნირიდან ორში მასპინძლობა ჩოგბურთელებმა მოიპოვეს მთავარი პრიზი.

იოჰანესბურგში ადგილობრივი გულშემატკივრების გასახარად პირველობა იზიმა კევინ ანდერსონმა. გადამწყვეტმა ტიქსის მეთოქე ინდოელი სომდე დევარმანი იყო. მეთოქეებს აქამდე არასოდეს მოეგოთ ATP-ის ტურნირი. გარდა ამისა, სამხრეთ აფრიკის წარმომადგენელს პროფესიულ ტურში 2005 წლის შემდეგ არ გაემარჯვათ - ექვსი წლის წინ ტოკიოში შეძლო პირველობა ვესლი მუდმი.

ანდერსონი სწორედ იოჰანესბურგში დაბადებული და გულშემატკივრებისგან განსაკუთრებული მხარდაჭერა ჰქონდა. სხვათა შორის, კევინმა სეზონი კარგად დაიწყო - ამ ფინალის გარდა, წელს მის აქტივში ერთი ნახევარფინალიცაა. რაც შეეხება ინდოელ ჩოგბურთელს, ის კარიერაში მეორე ფინალი თამაშობდა და მეორედაც დამარცხებულია დატოვა კორტი.

საერთო ჯამში ფინალი ორ საათსა და 20 წუთს გაგრძელდა. ამ დროის განმავლობაში სამხრეთაფრიკელმა ჩოგბურთელმა 11 ეისი ჩააწოდა და ათი ბრეიკ-პოინტიდან ოთხი გამოიყენა. ეს ოთხი ბრეიკი მეორე და მესამე სეტებზე მოდის, პირველი პარტია კი დევარმანს დარჩა.

ასევე ადგილობრივმა ჩოგბურთელმა გაიმარჯვა ზაგრებში. ივან დოდიგმა ზედიზედ მესამე გამარჯვება მოუტანა ხორვატიას (წინა ორ გათამაშებაში მთავარი პრიზი მარინ ჩილიჩს დარჩა).

საინტერესოა, რომ დოდიგს მეთოქე გადამწყვეტმა ტიქსში - გერმანელი მიხაელ ბერერი აქ ზედიზედ მეორედ გავიდა ფინალში და ამჯერადაც წაგებული დარჩა.

გუმინდლამდე არც დოდიგსა და არც ბერერს მოგებული არ ჰქონდა ATP-ის ტურნირი და ამჯერად ხორვატ ჩოგბურთელს გაუმართლა. მასპინძელმა საათსა და 38 წუთში 16 ეისი ჩააწოდა. მართალია, მეორე მონოდეტა არ უვარგოდა, მაგრამ ივანმა მინც დამარცხებულად დამარცხა ბერერი.

წელს დოდიგს პროგრესი აშკარაა. სხვათა შორის, ის ერთადერთი ჩოგბურთელი იყო ავსტრალიის ღია პირველობაზე, ვინც ჩემპიონ ნოვაკ ჯოკოვიჩს სეტი მოუგო. ეს მეორე წრეში მოხდა.

კარიერაში საიუბილეო - მეათე ტიტული მოიგო ტომი რობრედო. ესპანელი

წელმა ჩილეს დედაქალაქ სანტიაგოში აჯობა ყველას.

ფინალური შეხვედრა, ისევე როგორც ამ ტურნირის მატჩების უმრავლესობა, სამ სეტამდე გაინელა. საინტერესოა, რომ ფინალში წაგებულმა კოლუმბიელმა სანტიაგო ხირალდომ ჯამში მეთოქეზე ერთი მეთი გათამაშება მოიგო.

რობრედოსთვის ეს იყო მე-17 ფინალი კარიერაში. პირველ სეტში და მეორეს დასაწყისში ესპანელმა ზედიზედ ექვსი გეიმის აღება შეძლო, თუმცა მეორე პარტიაში მეთოქეს პირობებს ხირალდო კარნახობდა, რომელმაც ეს სეტი ისევე დამარცხებულად მოიგო, როგორც რობრედომ პირველი პარტია. ასე რომ, ყველაფერი გადაწყვიტა მესამე სეტის ტაი-ბრეიკმა, სადაც უფრო ძლიერი გამოცდილი ესპანელი ჩოგბურთელი იყო.

გასულ წელს რობრედოს აშკარა ჩავარდნა ჰქონდა და მთელი სეზონის განმავლობაში მხოლოდ 20 მატჩი მოიგო. ახლა კი 2011 წლის სეზონის დაწყებიდან ხუთი კვირა გასული და ტომი ცხრა მოგებითა და მხოლოდ ორი წაგებით იწონებს თავს.

**ATP**  
**Movistar Open**  
სანტიაგო (ჩილი). გრუნტი  
საპრიზო ფონდი: 398 250 აშშ დოლარი

**1/2 ფინალი**  
სანტიაგო ხირალდო (კოლ, 8) - პოტიტო სტარაჩე (იტა, 5) 4:6, 7:6(2), 6:1; ტომი რობრედო (ესპ, 6) - ფაბიო ზონინი (იტა, 7) 4:6, 6:2, 6:3.

**ფინალი**  
ტომი რობრედო (ესპ, 6) - სანტიაგო ხირალდო (კოლ, 8) 6:2, 2:6, 7:6(5).

**PBZ Zagreb Indoors**  
ზაგრები (ხორვატია). ხალიჩი  
საპრიზო ფონდი: 398 250 აშშ დოლარი

**1/2 ფინალი**  
ივან დოდიგი (ხორ) - ვილერმო ვარსია-ლოპესი (ესპ, 3) 4:6, 7:6(5), 6:4; მიხაელ ბერერი (გერ, 8) - ფლორიან მაიერი (გერ, 5) 6:1, 6:4.


**ფინალი**  
ივან დოდიგი (ხორ) - მიხაელ ბერერი (გერ, 8) 6:3, 6:4.

**SA Tennis Open**  
იოჰანესბურგი (ს. აფრიკა). ჰარდი  
საპრიზო ფონდი: 442 500 დოლარი

**1/2 ფინალი**  
კევინ ანდერსონი (ს. აფრიკა, 4) - ადრიან მანარიო (საფ, 6) 6:7(3), 6:0, 6:4; სომდე დევარმანი (ინდ) - იზაკ ვან დერ ბერგი (ჰოლ) 6:2, 6:4.

**ფინალი**  
კევინ ანდერსონი (ს. აფრიკა, 4) - სომდე დევარმანი (ინდ) 4:6, 6:3, 6:2.

ტენისის პრევიუ



ქალები ბრუნდებიან

ამ კვირას საჩოგბურთო სეზონი ერთბაშად ხუთი ტურნირით განახლდება. ავსტრალიის ღია პირველობის შემდეგ პროფესიულ ტურს ქალი ჩოგბურთელები უბრუნდებიან.

**ATP**  
**Brasil Open**  
კოსტა დე სოივა (ბრაზილია). გრუნტი  
საპრიზო ფონდი: 527 000 დოლარი

მონანილეთა შემადგენლობა: ნიკოლას ალმაგრო, ალბერტ მონტანიესი, ტომას ბელუჩი, ალექსანდრ დოლგოპოლოვი, ზუან იგნასიო ჩელა, ტომი რობრედო...

ლათინურ ამერიკაში სათიხნარო სერიის რიგით მეორე ტურნირი ბრაზილიაში გაიმართება - ღამაზ საჩოგბურთო კომპლექსში ატლანტის ოკეანის სანაპიროზე.

აქ დიდ ინტერესს იწვევს ავსტრალიის ღია პირველობის მთავარი სენსაციის, უკრაინელი ალექსანდრ დოლგოპოლოვის გამოსვლა. მელბურნის ჰარდზე წარმატებული თამაშის მიუხედავად, დოლგოპოლოვისთვის სწორედ გრუნტის საყვარელი საფარი, ამიტომაც უკრაინელი ტურნირის ერთ-ერთ მთავარ ფავორიტად მიიჩნევა.

თუმცა უკრაინელის გარეშეც ამ ტურნირს ფავორიტები არ აკლია. უნდა ვახსენოთ ბრაზილიელი ტომას ბელუჩი, რომელსაც საშინაო არენაზე გულშემატკივრების იმედს იქნება; ესპანელი ტომი რობრედო, ვინც წინა კვირას სანტიაგოს გრუნტი დაიპყრო და ეისაც კოსტა დე სოივაში 2009 წელს გაუმარჯვია; გრუნტზე ხუთი ტურნირის მომგები ესპანელი ალბერტ მონტანიესი ან მისი თანამემამულე ნიკოლას ალმაგრო - მას აქ 2008 წელს აქვს მოპოვებული მთავარი პრიზი.

აღსანიშნავია, რომ ბოლო სამი წელია აქ ესპანელები იმარჯვებენ (ალმაგრო, რობრედო, ზუან კარლო ფერერო).

**ABN AMRO World Tennis Tournament**  
როტერდამი (ჰოლანდია). ჰარდი  
საპრიზო ფონდი: 1.45 მლნ აშშ დოლარი

მონანილეთა შემადგენლობა: რობინ სიოდერლინგი, ენდი მიურეი, დავიდ ფერერი, ტომას ბერდიხი, იურგენ მელცერი, მიხაელ იუჟინი, ივან ლუბიჩიჩი, ჟო-ვილფრედ ცონგა...

როტერდამის ტურნირს დიდი ტრადიცია და ისტორია აქვს. შეჯიბრებამ გამოჩენისთანავე დირსეული ადგილი დაიკავა საჩოგბურთო რუკაზე.

ტურნირი 1974 წლიდან ტარდება და აქ ისეთ დიად ჩოგბურთელებს გაუმარჯვიათ, როგორც არიან - ჯიმი კონორსი, ბიორნ ბორგი, ბორის ბეკერი, სტეფან ედბერგი. მათ გვერდით დგომა ბევრს მოუწოდებდა და შეიძლება ეს არის მიზეზი, რომ წელს ტურნირზე ძლიერი შემადგენლობა შეიკრიბა.

სამხუზაროდ, ბოლო მომენტში თქვა უარი როტერდამში თამაშზე სერბმა ნოვაკ ჯოკოვიჩმა - ავსტრალიის ღია პირველობის ჩემპიონმა მხრის ტრავმა მოიმიზეზა. ამიტომაც მთავარ ფავორიტად ავსტრალიის ღია ფინალისტი, ბრიტანელი ენდი მიურეი მიიჩნევა. მისი მთავარი კონკურენტი კი შვედი რობინ სიოდერლინგი იქნება. სხვათა შორის, ორივეს მოგებული აქვს როტერდამში - სკანდინავიელს ერთი, ბრიტანელს კი ორი წლის წინ. აქ კიდევ ერთი წინა ჩემპიონს ვიხილავთ - რუსი მიხაელ იუჟინი სამჯერ იყო ფინალში და ერთხელ გაიმარჯვა - 2007 წელს.

საერთო ჯამში, ამ კვირის ტურნირებიდან ეს ყველაზე წარმომადგენლობითი და საინტერესო იქნება.

**SAP Open**  
სან ხოსე (აშშ). ჰარდი  
საპრიზო ფონდი: 600 000 დოლარი

მონანილეთა შემადგენლობა: ფერნანდო ვერდასკო, გაველ მონფილი, სემ კუერი, ქსავიერ მალისე, დენის ისტომინი, ბენჯამინ ბეკერი, ლეიტონ ჰიუიტონ...

ეს ტურნირი ასაკის მიხედვით მეორეა ამერიკაში მიმდინარე შეჯიბრებებს შორის. პირველად აქ გამარჯვებული შორეულ 1889 (I) წელს გამოვლინდა. აქაც ყოფილი გამარჯვებულების სია მთამბეჭდავია: არტურ ეში, ჯონ მაკინროი, როდ ლეიფერი, ჯი-

მი კონორსი, სტეფან ედბერგი, ივან ლენდლი, პიტ სამპარსი, ანდრე აგასი, ლეიტონ ჰიუიტონი, ენდი მიურეი, ენდი როდრიკო...

თუმცა ამჯერად მასურებული დიად ჩემპიონს ვერ იხილავს, რადგან სატურნირო ბაღეში ATP-ის საუკეთესო ათეულის მხოლოდ ერთი წარმომადგენელს ვხვდებით. მაგრამ ამასთან, შემადგენლობა არც ისე ცუდად გამოიყურება და ის მეტად თანაბარია.

პირველ სამ ნომრად განთესილ ჩოგბურთელებს გამარჯვების თანაბარი შანსი ექნებათ - მათგან რომელიმეს წინ დაყენება ძალიან რთულია. ესპანელი ფერნანდო ვერდასკო სხვებზე მაღლა დგას რეიტინგში, მაგრამ ის ხასიათის ადამიანია; ფრანგ გაველ მონფილს შეუძლია ფანტასტიკური ტურნირი ჩაატაროს და თავის გზაზე ყველას „გადაუაროს“, მაგრამ არ დაევიწყოთ ფრანგის არასტაბილურობა; ამერიკელ სემ კუერის კი აქ ტრიუმფებიც დაეძმარებიან.

არ ღირს გერმანელი ბენჯამინ ბეკერისა და ავსტრალიელი ლეიტონ ჰიუიტონის დაგინება, რომლებსაც ბევრი სიუპრისის შემოთავაზება შეუძლიათ.

**WTA**  
**Open GDF Suez**  
პარიზი (საფრანგეთი). ჰარდი  
საპრიზო ფონდი: 618 000 დოლარი

მონანილეთა შემადგენლობა: კიმ კლაისტერსი, მარია შარაპოვა, პეტრა კვიტოვა, ნადეჟდა პეტროვა, ანდრეა პეტკოვიჩი, იანინა ვიკაიერი...

ფედერაციის თასის მატჩებით გამოწვეული პაუზის შემდეგ ქალთა პროფესიული ტური გვიბრუნდება და თავიდანვე მაღალი დონის ტურნირით გვანებიერებს - პარიზში თამაშებს ავსტრალიის ღია პირველობის ჩემპიონი კიმ კლაისტერსი. ბუნებრივია, სწორედ ბელგიელი უნდა მივიჩნიოთ საფრანგეთის დედაქალაქში გამარჯვების ყველაზე რეალურ პრეტენდენტად.

რა თქმა უნდა, თუ კიმი თავის საფირმო თამაშს აჩვენებს, კონკურენტებს წარმატების მინიმალური შანსი ექნებათ. მარია შარაპოვას, კაია კანეპისა და პეტრა კვიტოვას ოსტა-ტობა არ დაეწუნებათ, მაგრამ ისინი სათამაშო დონით მნიშვნელოვნად ჩამორჩებიან მსოფლიოს მეორე ჩოგანს. კიმს თუ არ ჩავთვლით, მთამაშეთა დონე თანაბარია და კლაისტერსის ნაფორხილების შემთხვევაში რთულია იწინასწარმეტყველო მომავალი გამარჯვებული.

შარპან აქ რუსმა ელენა დემენტიევამ გაიმარჯვა, რომელმაც დაასრულა კარიერა. ასე რომ, წელს პარიზის ტურნირს ახალი ჩემპიონი ეყოლება.

**PTT Pattaya Open**  
პატაია (თაილანდი). ჰარდი  
საპრიზო ფონდი: 220 000 დოლარი

მონანილეთა შემადგენლობა: ვერა ზვონარევა, ანა ივანოვიჩი, მარია კირილენკო, დანიელა ჰანტუხოვა, რობერტა ვინჩი, შუაი პენგი, ჟი ჟენგი, სარა ერანი...

აქაც ერთი გამოკვეთილი ფავორიტი - რუსი ვერა ზვონარევა, რომელმაც ავსტრალიის ღია შემდეგ რეიტინგში მეორე პოზიცია დაკარგა. სხვათა შორის, ვერას პატაიაში ორჯერ გაუმარჯვია და ახლა პეტ-თორის შესრულებას ეცდება.

მესამე ნომრად განთესილი მარია კირილენკო ტრადიციულად ძალიან წარმატებულად თამაშობს აზიაში. კარიერის განმავლობაში 24 წლის რუსი ხუთი ტიტული აქვს მოგებული და სამი სწორედ ამ რეგიონში (პეკინი - 2005, კალკუტა - 2007, სეული - 2008).

რა თქმა უნდა, არ გვავიწყდება ანა ივანოვიჩი და დანიელა ჰანტუხოვა. სერბი პირველივე წრეში გამოეთიშა ავსტრალიის ღია და ახლა საკუთარი მასურების თვალში რეაბილიტაციას ეცდება. ჰანტუხოვამ კი ძალიან ცუდად ითამაშა გასულ კვირას ფედერაციის თასზე - ორივე ერთეულთა მატჩი დათმო.

